სპორტიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 6 ივლისი 1999 №125 (898) | ფასი 50 თეთრი

3 დემეტრაძეს არსენალიც აკვირდება

რუსული პრესის ცნობით, 10 მილიონ დოლარად შეფასებული „ალანიას“ ქართველი თავდამსხმელის შეძენას ინგლისის ვიცეჩემპიონი, ლონდონის „არსენალიც“ ფიქრობს

4 ლაშა ჯაკობია ოპერაციას ვერ აცდა

ევროპის ჩემპიონატზე, შვედეთში ქართველ თვრამეტწლამდელებს ნაოპერაციევი მეგოლე ვერ დაეხმარება

5 ვოიო, პალერმოვ!

ასეთი რამ არავის ახსოვს — ერთ მატჩში ერთმა ფეხბურთელმა სამი პენალტი ვერ გაიტანა

4 მსოფლიო პრაღაში, ევროპა პარიზში

ამ უქმეებზე მძლეოსნებმა ძალიან იყოჩაღეს

EUROBASKET 99

იტალია!

REUTERS პარიზიდან

ესპანეთი — იტალია 56:64. ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებული იტალიელი გრეგორ ფუჩკა (ბურთით) ესპანელთა დაცვას არღვევს

ევროპის ჩემპიონობის გზაც საქართველოზე გადის

შესარჩევ ეტაპზე საქართველოს თანაჯგუფელმა იტალიამ ისტორია გაიმეორა: წლეულსაც, როგორც 16 წლის წინ, საფრანგეთში გამართულ კონტინენტის პირველობის ფინალში ესპანეთი დაამარცხა და საუკუნის ბოლო ევროპის ჩემპიონი გახდა

იხილეთ მეათე-მეთერთმეტე გვერდები

REUTERS პარიზიდან

ეს-ესაა, იტალიის ნაკრები ევროპის 1999 წლის ჩემპიონი გახდა

ამერიკის დღე, სამპრასის სასწაული

4 ივლისი ამერიკის დამოუკიდებლობის დღეა. კვირას უიმბლდონს შერჩენილმა ამერიკელებმა ეროვნული დღესასწაული მართლაც საკადრისად იზეიმეს: პიტ „პისტოლ“ სამპრასმა ფინალში ისე ითამაშა, იმ დღეს წყალზე გავლასაც შეძლებდა, არათუ ანდრე აგასის დამარცხებას და მწვანე „მეიჯორის“ მეექვსე ტიტულის მითვლას, ლინდსი დევენპორტმა კი თვით შვიდგზის ჩემპიონ შტეფი გრაფს მოუგო.

გამარჯვებულთა ნუსხა, ფინალური პერიპეტიებისა და ერთი აუნაზღაურებელი დანაკლისის ამბები იხილეთ მეცამეტე გვერდზე

REUTERS ლონდონიდან

ლინდსი დევენპორტი და პიტ სამპრასი

ახლა არსენალიო

ალანიური ტრადიცია და... ლონდონი?

გიორგი დემეტრაძე

რუსეთის ჩემპიონატში ყველაზე ძვირად შეფასებული „ალანიას“ ქართველი ფორვარდის, გიორგი დემეტრაძის შესახებ ინფორმაციებმა ლამის წალეკა იქაური სპორტული გაზეთების ფურცლები. ვლადიკავკაზელთა კლუბის მწვრთნელი, ვალერი გაზაევი, კვლავ დუმილის პოლიტიკას არჩევს და არ ასახელებს იმ გუნდების ვინაობას, რომელთა მესვეურებიც დაინტერესებულნი არიან დემეტრაძის გადაბირებით. თავად ფეხბურთელი კი ცალსახად ამბობს — ჩემს შესაძლო ტრანსფერზე არაფერი ვიციო.

გუშინ გაზეთმა „როსსპორტინფომ“ კიდევ ერთხელ განმარტა ათ მილიონ დოლარიანი ტრანსფერის მნიშვნელობა და ჩვენებურის მსურველი ერთ-ერთი კლუბიც დაასახელა — ლონდონის „არსენალი“.

მათი ცნობით, უახლოეს დღეებში რუსეთს ინგლისის ვიცე-ჩემპიონის სელექციონერები ესტუმრებიან და დაკვირვებას აწარმოებენ ალანიელ თავდამსხმელზე.

— „არსენალის“ მთავარი მწვრთნელი, არსენ ვენგერი, ახალი სეზონისთვის გუნდის საგრძნობლად გაძლიერებას აპირებს. კლუბის მესვეურებს მიაჩნიათ, რომ ინგლისურ ფეხბურთში დემეტრაძის სათამაშო მანერის კარგად გამოყენება შეიძლება. ქართველ თავდამსხმელს ფლანგზეც შეუძლია ნაყოფიერად მოქმედება და „არსენალის“ თავკაცობა მას მარკ ოვერმარსის შემცვლელადაც თვლის. ოვერმარსს მუხლის ქრონიკული ტკივილი აწუხებს, რაც გუნდისთვის სერიოზული პრობლემაა.

ინგლისში ქართველი ფეხბურთელების ავტორიტეტი გიორგი ქინქლაძის ალბიონზე მოღვაწეობის შემდეგ გაიზარდა. „ალანიაში“ ერთი ტრადიცია დამკვიდრდა. ამ კლუბის ლიდერები ყოველთვის ევროპული ქვეყნების კლუბებში გადადიოდნენ — თეთრაძე რომში, იანოვსკი პარიზში.

თუ თანხაზე შეთანხმდებიან, დემეტრაძეს მალე ლონდონში ვიხილავთო — წერს „როსსპორტინფო“.

ხვიჩა სანიკიძე

გემეზაშვილი მსოფლიოს ჩემპიონებთან

გიგლა იმნაძის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად ყოფნისას ირაკლი გემეზაშვილს რეგულარულად უხდებოდა ნაკრებში თამაში, ეს შესარჩევი ციკლის შეხვედრები იქნებოდა, თუ ამხანაგური მატჩები. მას შემდეგ, რაც ქართველი 21-წლამდელების მწვრთნელად მურთაზ ხურცილავა დაინიშნა, გუნდიდან გაქრნენ „იმნაძის ბიჭები“, მათ შორის ირაკლი გემეზაშვილიც. ისე მოხდა, რომ იგი თავის ახლა უკვე ყოფილ გუნდს, რუსეთის ჩემპიონატის პირველ დივიზიონში გათამაშების ცხრილის ქვედა ნაწილში მოტრიალე ელისტის „ურალანსაც“ დაშორდა და დარჩა უფეხბურთოდ. თუმცა გემეზა ინდივიდუალურ ვარჯიშებს მიეძალა, ეგებ როგორმე ფორმა შევინარჩუნოო. ახალგაზრდულ ნაკრებში რომ არ მიიწვიეს, ამას ირაკლი მშვიდად შეხვდა, ასაკის გამო გუნდში ვეღარც ვითამაშებდი, ალბათ სჯობს კიდეც, რომ 21-წლამდელთა გუნდს „ახალი სისხლი“ აქედანვე ეჩვევაო. ეს მანამდე იყო, ახლა კი...

ახლა გემეზაშვილი თბილისშია, სასურველ გუნდს ეძებს. რუსი ფიფას აგენტი იგორ ზავგოროდნი, რომელიც მისი მენეჯერია გემეზას შეჰპირდა, სულ მალე ძლიერი საფეხბურთო ევროპული ქვეყნის კლუბში მოგაწყობო:

— ზავგოროდნი ახლა მოსკოვშია და ვიზისთვის საჭირო ფორმალობებს აგვარებს. საფრანგეთში მივდივარ გასასინჯად, ერთი კარგი გუნდი მყავს შეგულებულიო, მითხრა აგენტმა. სამწუხაროდ, იმას არ მეუბნება, რომელი დივიზიონის გუნდია და რას წარმოადგენს. მანვე ისიც დაამატა, შეიძლება ბელგიის ვარიანტიც შემოგთავაზო, მაგრამ ბელგიას, ალბათ, საფრანგეთი აჯობებსო. ჰოდა, მეც საფრანგეთი ვარჩიე. პრინციპში, ჩემთვის ამ ეტაპზე, სიმართლე გითხრათ, მნიშვნელობა არა აქვს, რა გუნდი იქნება და რომელი დივიზიონის, შემოთავაზებულ პირობებზეც არ დავიწყებ წუწუნს, ჩემთვის დღეს მთავარი ერთია — ოღონდ ვითამაშო და სხვას არ დავეძებ. ფეხბურთის თამაში მომენატრა. ინდივიდუალურად ყოველდღე ვვარჯიშობ, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა სხვაა. ერთი სიტყვით, ველი კვირის ბოლოს, მე და ჩემი აგენტი, იგორ ზავგოროდნი საფრანგეთში წავალთ.

ასეა. თუ მოხდა და გემეზაშვილს გაუმართლა, გია გურულის შემდეგ იგი მეორე ქართველი ფეხბურთელი იქნება, რომელიც საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონთა ქვეყანაში ითამაშებს. მოგეხსენებათ, პირველი ფრანგული გუნდი ქართველისთვის „ლე ავრი“ იყო. სწორედ აქ გააგრძელა კარიერა გია გურულმა თბილისის „დინამოდან“ წასვლის შემდეგ და იქვე, IV დივიზიონის „დიუნკერკში“ დაასრულა. მერე იყო შალვა ხუჯაძის შესაძლო „მონპელიეს“ ვარიანტი, მაგრამ იგი არ შედგა. ახლა კი გემეზაშვილი... ვინ იცის, იქნებ მან მართლაც ითამაშოს საფრანგეთში.

გიორგი ვაშაკიძე

გვარამაძე სამარაში

კრილიამ — ვიყიდეთო, სკონტომ — ვათხოვეთო...

თბილისის „დინამოს“ ყოფილი მეკარე დავით გვარამაძე რამდენიმე დღეა, სამარის „კრილია სოვეტოვში“ ვარჯიშობს და სავსებით შესაძლებელია, მომავალი კვირიდან ამ გუნდშიც ითამაშოს. ქართველ ფეხბურთელსა და „კრილია სოვეტოვს“ შორის კონტრაქტი თითქმის მზადაა, რამდენიმე დეტალიღაა შესათანხმებელი. ხელს კი, ალბათ, ორ-სამ დღეში მოაწერენ.

კომკა, რომელიც „დინამოსთან“ ერთად ჰოლანდიაში გასამგზავრებლად და ჩემპიონთა ლიგის თამაშებისთვის ემზადებოდა, გეხსომებათ, რიგის „სკონტომ“ თავისთან იხმო, აქაოდა, ჩვენი საკუთრება ხარ და ამჟამად „სკონტოს“ სჭირდებიო. ასე კი შემოთვალეს ლატვიელებმა, მაგრამ მათი სიტყვები ძნელად სარწმუნო იყო. ამბობდნენ, გვარამაძეს რამდენიმე კლუბი ეპატიჟება, „სკონტოს“ მისი გაყიდვა გადაუწყვეტიაო.

რევაზ ძოძუაშვილის თქმით, რომელსაც გუშინ შევეხმიანეთ, დავით გვარამაძე „სკონტოს“ არც ამჯერად გაუყიდია, „დინამოს“ მსგავსად ქართველი მეკარე „კრილიასაც“ უთხოვია.

რუსული კლუბის მწვრთნელ ალექსანდრ ტარხანოვს კი განუცხადებია, რომ გვარამაძე უკვე მათ ეკუთვნის, „სკონტოსგან“ ქართველი „შევიძინეთ“ და უახლოეს მომავალში ჩვენს გუნდში ითამაშებს, ჯერ, უბრალოდ, მისი განაცხადში შეყვანა ვერ მოვახერხეთო.

მიდი ახლა და გაარჩიე ვინ სიმართლეს ამბობს, ვინ...

სკონტოელებს თუ დავით გვარამაძის გაყიდვა არ სურდათ, ვერ გაგვიგია, თბილისის „დინამოში“ მის თამაშს ხელს რაღა უშლიდა? თუ „კრილია სოვეტოვი“ ჩვენებურ ჩემპიონებზე მეტს უხდის „სკონტოს“? როგორც ჩვენთვის ცნობილია, გვარამაძის განათხოვრების ფასი ყველა გუნდისთვის ერთია.

კობა ინასარიძე

ჰოტცის საუკეთესო ნაბიჯი

ჯამარაულმა თურქებს თავი დააღწია



საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი გოჩა ჯამარაული საბოლოოდ გაშორდა თურქეთის „ტრაბზონსფორს“ და თავისი მომავალი ამჟამინდელ კლუბ „ციურიხს“ კიდევ სამი წლით დაუკავშირა.

მოგეხსენებათ, ჯამარაულმა მთელი მეორე წრე „ციურიხში“ გაატარა. მაშინ შვეიცარიელებმა ჩვენებური თურქული კლუბისგან სეზონის ბოლომდე ითხოვეს. გოჩას კარგმა თამაშმა „ციურიხის“ ხელმძღვანელობას მისი გამოსყიდვის სურვილი აღუძრა და ახლახან სიტყვა საქმედაც იქცა. „ციურიხში“ კარიერის გაგრძელება თავად ჯამარაულსაც ძალიან უნდოდა, რადგან „ტრაბზონთან“ მას არც თუ კარგი მოგონებები აკავშირებდა. შეგახსენებთ, 28 წლის ფეხბურთელმა სულ ერთი წელი დაჰყო თურქეთში, მაგრამ გუნდის მთავარი მწვრთნელის ილმაზის კაპრიზების გამო ძირითადად სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

რა თანხა დაუჯდათ შვეიცარიელებს გოჩა ჯამარაულის შეძენა უცნობია, თუმცა ამას ქომაგთათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, გოჩამ თავისთვის სასურველ კლუბს მიაგნო.

„ჯამარაულთან კონტრაქტის სამი წლით გახანგრძლივება საუკეთესო ნაბიჯია მათ შორის, რაც კი კლუბის პრეზიდენტმა სვენ ჰოტციმ ბოლო პერიოდში გადადგა“ — წერს შვეიცარიული პრესა, რომელმაც ქართველის შესყიდვის ფაქტი, სპორტული სამოსელის მწარმოებელ ცნობილ იტალიურ ფირმა „ფილასთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაზე წინ დააყენა.

ჯამარაული რომ მომავალ სეზონში გუნდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იქნება, ეს საწვრთნელ-საკონტროლო მატჩებშიც გამოჩნდა. „ციურიხის“ მზადების შესახებ ინფორმაცია გასულ შაბათსაც მოგაწოდეთ. წინა დღეს კი გუნდმა კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართა — „დელსბერგს“ 2:0 მოუგო. ორივე გოლი ჯამარაულმა გაიტანა. ეს მატჩი ერთ-ერთი ბოლო იყო ჩემპიონატის დაწყების წინ. იგი, როგორც იცით, ხვალ იღებს სტარტს. პირველ ტურში „ციურიხი“ ეროვნული ლიგის დებიუტანტ „ივერდონს“ ესტუმრება.

ვანო ოქროპირიძე

რეორგანიზაციასთან დაკავშირებით
შ.პ.ს. „ფილოველი-444“ განიცდის ლიკვიდაციას.
დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდით
შემდეგ მისამართზე: კრილოვის ქ. № 15
შ.პ.ს. „ფილოველი-444“-ის დირექცია

გენერლის სიტყვა

თუ ასე გაგრძელდა, თბილისის „არსენალი“ მეთერთმეტე ეროვნულ ჩემპიონატს შესაძლოა ძალიან გაახალგაზრდავებული და შემადგენლობაშეცვლილი შეხვდეს. ფინანსური კრიზისის გამო წამყვანი ფეხბურთელები გუნდიდან ერთიმეორეს მიყოლებით გარბიან. თემურ ჩლაიძისა და ლაშა ყოლბაიას აზერბაიჯანის „ყარაბაღში“ გადასვლის შესახებ ადრეც ვიუწყებოდით, ზაზა ზირაქიშვილი რომ ქუთაისის „ტორპედოში“ ვარჯიშობს, ამაზეც ვწერდით. ცოტა ხნის წინ კი მათ კვალს კიდევ სამი ფეხბურთელი გაჰყვა. არმიელთა მთავარმა დამრტყმელმა ძალამ, დავით ტარიელაშვილმა, მუხრან მაისურაძესთან ერთად აქტიური კარიერის საზღვარგარეთ გაგრძელება გადაწყვიტა. ადვილი შესაძლებელია, ეს დუეტიც ჩლაიძე-ყოლბაიას შეუერთდეს და „ყარაბაღში“ ქართული ლეგიონიც კვარტეტად იქცეს. ხოლო ვახტანგ გველესიანს თბილისის „ლოკომოტივის“ ახალმა თავკაცმა მურთაზ ხურცილავამ დაადგა თვალი და რკინიგზულ კლუბში მიიწვია. აღსანიშნავია, რომ გასულ სეზონში ექვსივე ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა.

ამ ამბავმა, ეტყობა, „არსენალის“ ხელმძღვანელები გვარიანად შეაფუცხუნა. მათაც გუშინ საგანგებო კრება მოაწყვეს და ფეხბურთელებს მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორებას დაჰპირდნენ. უახლოეს ორ-სამ დღეში ყველა ვალს მთლიანად გაგისტუმრებთო — მიუციათ პატიოსანი სიტყვა. ისიც უთქვამთ, ვეცდებით, ივლისის შუაგულისთვის თურქეთში შეკრებაც მოგიწყოთო. ვნახოთ, ნათქვამია აღდგომა და ხვალეო. თუ არმიელებმა დანაპირები აასრულეს, არ არის გამორიცხული, რამდენიმე გაქცეული ფეხბურთელი დაიბრუნონ კიდეც თუ არა და მეთერთმეტე ჩემპიონატში, „არსენალი 2“-ით მოუწევთ თამაში და, ალბათ, მეორე ლიგაში დაქვეითებაც არ ასცდებათ.

ვანო ოქროპირიძე

ქუთაისში, აბა, სად!

— ჩემის აზრით, ქუთაისის სტადიონი ულამაზესი იქნება საქართველოში, „ტორპედოს“ პრეზიდენტ მიხეილ ქორქიასთან ერთად ყველა ღონეს ვიხმართ, რომ „გივი კილაძე“ თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვიყვანოთ, — აი, ასე დამაიმედებლად დაიწყო ჩვენთან საუბარი კლუბ „ტორპედოს“ ვიცე-პრეზიდენტმა შედან ნანიკაშვილმა, ვინც დღესდღეობით სტადიონის რეკონსტრუქცია-შეკეთების მართლაც რომ საშურ საქმეს კურირებს.

— სადაცაა, თვე გაილევა, რაც „გივი კილაძეზე“ სამშენებლო სამუშაოები გაჩაღდა. რა მოასწარით ამ მოკლე დროში?

— მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. საქმე წინ მიიწევს. მაისის შუა რიცხვებში ჩვენი სტადიონი უეფას ინსპექტორმა ბოსნიელმა მეჰმედ სპახომ მოინახულა. მითითებები საკმაოდ მივიღეთ, მაგრამ მთავარი მაინც ტრიბუნებზე ინდივიდუალური სკამების დამონტაჟების საკითხი გახლდათ. სულ მცირე, 2 ათას სკამზე იყო საუბარი. ჩვენ ამ მხრივ უკვე გადავაჭარბეთ კიდეც — სადღეისოდ 4 ათასი სკამია დამონტაჟებული, თანაც გაჩერებას არ ვაპირებთ.

— ასეთი ტემპით 26 აგვისტოსთვის ტრიბუნებს მთლიანადაც შემოსავთ?

— რაც მოესწრება. საბოლოო ანგარიშში კი სკამებს სრულად დავამონტაჟებთ.

ბადრი ქიტიაშვილის ფოტო



შედან ნანიკაშვილი

— ჯერ მხოლოდ ლურჯი — ერთი ფერის სკამებს დგამთ...

— ჯერ ლურჯებს მოვილევთ, მერე ყვითელი ფერის სკამებსაც ჩამოგვისხამს სატრაქტორო ქარხანა. ნედლეული უკვე ადგილზეა.

არც მეტი, არც ნაკლები, 50 დღეც და სავარდ-მაისო ქალაქს, შარშანდელი ინტერტოტოს მსგავსად, უეფას თასის გათამაშებაც ესტუმრება. მოგეხსენებათ, 26 აგვისტოს „ტორპედოს“ ამ ევროტურნირის შესარჩევ ეტაპზე ესტონურ „ლანტანასთან“ საპასუხო თამაში აქვს, რომელიც, წესით და რიგით, ქუთაისურ „გივი კილაძეზე“ უნდა გაიმართოს. დიდი ხანი არ არის, რაც ამ სტადიონის საევროტურნირო მზადებასთან დაკავშირებული სამუშაოების შესახებ ვწერდით, მაგრამ დრო გადის და სათქმელიც გვემატება. სტადიონი ხომ დღითი დღე იცვლის იერს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, „გივი კილაძეს“ უეფას დასაწუნი არაფერი ექნება და ტორპედოელებიც „ლანტანას“ მეორედ სწორედაც რომ აქ დაუპირისპირდებიან.





„გივი კილაძის“ სტადიონზე სკამებსაც ცვლიან და მინდორსაც საგანგებოდ უვლიან

— პარალელურად სხვა სამუშაოებიც ხომ სრულდება.

— რა თქმა უნდა. მიუხედავად პრობლემებისა, სხვა სამუშაოებიც მიმდინარეობს. დამთავრების სტადიაშია გუნდების გასახდელების, საერთო სარგებლობის საპირფარეშოების კაპიტალური რემონტი. ისინი მაღალხარისხოვნად, მეტლახის ფილით მოვაპირკეთეთ. სტადიონის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე გავხსნით კაფეს, აქაც ცოტა საქმე დარჩა. სათამაშო მოედნის ახლოს არტეზიული ჭა გაიბურღა, ამ კვირაში ტუმბოს მივუყენებთ და მინდვრის მორწყვის პრობლემაც მოიხსნება. სტადიონის გაზონი ისეა, მოვლილი, არ დაიწუნება. სულ მალე, ალბათ, სამღებრო სამუშაოებს შევუდგებით. ხელოვნური განათების აღდგენის პროექტიც მზადაა.

— ყველაფერს ამას კლუბის საკუთარი სახსრებით ახერხებთ?

— რაც კეთდება, ჩვენი დამფინანსებლების მეშვეობით.

— ქუთაისის მერიის, კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებლის თანადგომა რაში გამოიხატება?

— მერია შეძლებისდაგვარად გვეხმარება. ხომ იცით, ბიუჯეტი რა დღეშია...

— უეფას თამაშებზე დასასწრები ბილეთის ფასი თუ განსაზღვრეთ?

— ეს საქმე მარტო ჩვენი გადასაწყვეტი არ არის — ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ. ადგილების მიხედვით განსხვავება ფასში, რა თქმა უნდა, იქნება. ვფიქრობთ, ბილეთი 10 ლარზე ნაკლები არ ეღირება. მერე რომ უხერხულობაში არ აღმოვჩნდეთ, გულშემატკივრებმა ეს უნდა იცოდნენ და აქედანვე მოემზადონ. სტადიონზე შემოპარვა გამორიცხულია, თანაც ერთი ზედმეტი კაციც რომ აღმოგვიჩინონ, ხომ იცით, შეიძლება კლუბის საქმე ცუდად წავიდეს, უმკაცრეს სანქციებს მიიღებენ... ეროვნული ჩემპიონატის მატჩებისას ბევრჯერ გაგვიწევია შეღავათი, უბილეთონიც შეგვიშვია სტადიონზე, მაგრამ ევროტურნირის თამაშებზე ამას ვერ ვიზამთ და არც გვაქვს უფლება.

— ეს იგი გადაწყვეტილი ამბავია, „ტორპედო“ უეფას მატჩებს (ვიმედოვნებთ რომ მატჩებს) „გივი კილაძეზე“ გამართავს?!

— უეფას ინსპექტორი დღესაც რომ ჩამოვიდეს, ჩვენ არაფრის გვეშინია. „ტორპედო“ ქუთაისში ითამაშებს.

იუზა ქაციტაძე
ქუთაისიდან

ძველ-ახალი სიო სიონში

ბოლნისის „სიონის“ ამბავი ყველასთვის ცნობილია — გუნდი რიხით იწყებს ჩემპიონატს, დიდი მონდომებით ატარებს საშინაო შეხვედრებს, თითოეულ მატჩში თავდაუზოგავად, მონდომებით იღწვის, შიგადაშიგ ლიდერებსაც ამწარებს და ბოლოს, ჩემპიონატის მიწურულს, პირველი ლიგიდან გავარდნის საფრთხის წინაშე დგება.

IX ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ბოლნისელებმა გადათამაშების წყალობით (პენალტების სერიაში ხაშურის „ივერიას“ სძლიეს), შეძლეს რჩეულთა შორის დამკვიდრება. გადათამაშება ბოლნისელებს წლეულსაც არ ასცდათ, ამჯერად ქვემოქართლელებს სტუდენტური ბარიერის დაძლევა მოუხდათ. ერთი სიტყვით ასეა, ლიგიდან გავარდნის მიჯნაზე მყოფი „სიონი“ არასდროს ვარდება — ბოლო მომენტში ბოლნისელები ყოველთვის ახერხებენ მობილიზებას.

დღესაც ამგვარი სიტუაციაა. წლეულს, სეზონის გასრულების შემდეგ, „სიონის“ ყოფნა-არყოფნის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. გუნდს საარსებოდ არავითარი საშუალება არ გააჩნდა, ფეხბურთელებმაც უსახსრო კლუბში თამაშს გაცლა ამჯობინეს. ფული იყო საჭირო ძველი ბოლნისური სარბიელის „ფერზე მოსაყვანად“ და, რაც მთავარია, „სიონს“ XI ჩემპიონატში მონაწილეობის განაცხადისთვის 10 000 ლარი უნდა დაერთო. ჰოდა, ამას წინათ არცთუ უსაფუძვლო ხმები აგორდა კლუბის დაშლის თაობაზე, გუშინ კი ყოველივეს ბოლო მოეღო. საბედნიეროდ, ეს ბოლო კეთილი გამოდგა.

— გადავწყვიტე, საქმე ბოლომდე მიმეყვანა, შეიძლება გავრისკე კიდეც, მაგრამ ეს მხარე უფეხბურთოდ ძნელი წარმოსადგენია — განაცხადა გუშინ ჩვენთან საუბარში ბოლნისის გამგებელმა, ზურაბ ჯაფარიძემ. ამ კაცს „სიონის“ და ბოლნისური ფეხბურთის წინაშე მართლაც დიდი წვლილი მიუძღვის და საკვირველი სულაც არ არის, რომ წამხდარი საქმის გამოსწორება ბოლო წუთს თვითონ ითავა.

პირველი, რაც ჯაფარიძემ გააკეთა, ის იყო, რომ „სიონის“ პრეზიდენტ შუქრი დევნოზაშვილის თხოვნა დააკმაყოფილა კლუბიდან განთავისუფლების შესახებ. გუშინ კი საერთო კრებაც მოიწვია. კრებას „სიონის“ ძველი ნაცნობიც დასწრებია და, როგორც ჩანს, მან ერთი ხანი ბოლნისში ყოფნაც მოუწევს — გუშინ სპარტაკ არჩვაძე „სიონის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. იგი ერთხელ უკვე ხელმძღვანელობდა ბოლნისურ

ბოლნისელებმა „სიონში“ სპარტაკ არჩვაძე დააბრუნეს

კლუბს — გასული ჩემპიონატის პირველ წრეში „სიონის“ საშინაო მარცხს „მერანთან“, გუნდის მთავარი მწვრთნელი ბორის დუდაური შეეწირა. და არჩვაძის ჯერიც დადგა. თუმცა მან სეზონის გასრულება ვერ შეძლო და კლუბს ფინანსური შეუთანხმებლობის მოტივით დაშორდა. დღეს კი, არჩვაძე კვლავ „სიონშია“. ოღონდ ძნელი სათქმელია, ამჯერად რა პირობები შესთავაზეს ქვემოქართლელებმა.

გუშინდელ კრებას დავუბრუნდეთ. ზურაბ ჯაფარიძემ კლუბს ახალი პრეზიდენტიც წარუდგინა. შუქრი დევნოზაშვილს დღეიდან გიორგი მგალობლიშვილი შეცვლის. იგი ამავე დროს გაერთიანება „კვარციტის“ დირექტორიცაა, თუმცა, როგორც ჩვენთან საუბარში ზურაბ ჯაფარიძემ განაცხადა, „კვარციტი“ აქ არაფერ შუაშია, მგალობლიშვილი მხოლოდ პირადი შესაძლებლობებით იმოქმედებს.

ბოლნისელ გულშემატკივართა ერთგულების ამბავი ყველასთვის ცნობილია, ჰოდა, კლუბის ხელმძღვანელობა ამ ფაქტორის „სიონის“ საკეთილდღეოდ გამოყენებას აპირებს. სეზონის დაწყების წინ „სიონის“ მესვეურთ აბონიმენტების გაყიდვა აქვთ გადაწყვეტილი და ამ გზით 80-90 ათასი ლარის მოზიდვასაც ვარაუდობენ.

— ყველანაირად შევეცდებით, გუნდის ძირითადი ბირთვი შევინარჩუნოთ, გადაწყვეტილი გვაქვს რამდენიმე მოთამაშის დამატებაც. ასე რომ, გარწმუნებთ, „სიონი“ თავს არ შეირცხვენს — აღნიშნა საუბრის დასასრულს ზურაბ ჯაფარიძემ.

პაატა ძვანტალიანი

ხობის კოლხეთი: რაცა ვართ, ესა ვართ!

ფრიდონ გოცირიძე

გახსოვთ ალბათ, ჯერ კიდევ სსრკის მეორე ლიგაში მოასპარეზე ხობის „კოლხეთი“, რომელიც საკმაოდ სიმპათიური გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა მერეც, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დაფუძნების შემდეგ, ბევრისთვის მრისხანე მეტოქეს წარმოადგენდა, მაგრამ... ატყდა ომი და უბედურება და 1992 წლის შემდეგ „კოლხეთიც“ დაიშალა, კარგა ხანს აღარ ასპარეზობდა, მაგრამ საქმის ფანატიკურად მოყვარულ ხალხს რა დალევს. სწორედ ადამიანებს შეძლოთ, გაერისკათ, ახალი გუნდი ჩამოეყალიბებინათ. ასე მოევლინა საქართველოს ჩემპიონატის მეორე ჯგუფს ხობის „ოლიმპია“, რომელსაც ორგანიზაციული ცვლილებების შემდეგ კვლავ „კოლხეთი“ ეწოდა.

წლევანდელი სეზონი კი ხობელებმა საკმაოდ საინტერესოდ, რაც მთავარია, შედეგიანად ჩაატარეს და დასავლეთ ზონაში პირველი ადგილი უპრობლემოდ მოიპოვეს. მერე იყო გადათამაშება, „კოლხეთი“ ვანის „სულორს“ დაუპირისპირდა და ეს ბარიერიც გადალახა.

...და შვიდწლიანი შესვენების შემდეგ „კოლხეთმა“ კვლავ რჩეულთა შორის დაიკავა ადგილი.

შუადღისას ხობში ჩასულს სტადიონთან რამდენიმე კაცი დამხვდა. ყველა ადგილობრივი და ფეხბურთთან ასე თუ ისე კავშირში მყოფი პიროვნება გახლდათ. უცხო თვალი უმალვე შეამჩნევდა მათ ფაცაფუცს, ეტყობოდათ, რომ ახალი სეზონისთვის სერიოზულად აპირებენ მომზადებას.

ხობელთა მთავარი მწვრთნელი ფრიდონ გოცირიძე და გუნდის ხელმძღვანელობა ადგილზე არ იყვნენ, მაგრამ მალე მოვლენო, დამამშვიდეს და ასეც მოხდა. ფრიდონ გოცირიძე გადაღლილი ჩანდა, მიზეზი მოგვიანებით ახსნა.

— მოგეხსენებათ, ხობელებმა ხანგრძლივი შესვენების შემდეგ პირველი ჯგუფის საგზური მოვიპოვეთ. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ახლა ეს წარმატება უნდა დავივიწყოთ და მომავალზე ვიფიქროთ. ახალი სეზონისთვის კარგად უნდა მოვემზადოთ, სწორედ ამიტომაც დავრბივარ, ამდენს ათასი საქმეა.

— ძნელი ყოფილა?

— რა თქმა უნდა ძნელია. აბა, პირველ ჯგუფში ადგილი რომ იყოს თამაში, ყველა იქ იქნებოდა. ყველაფერს თავიდან ვიწყებთ.

— გუნდში როგორი მდგომარეობაა?

— წინა სეზონში, როცა „კოლხეთი“ მეორე ჯგუფში გამოდიოდა, გუნდი სულ ადგილობრივი ფეხბურთელებისგან იყო დაკომპლექტებული. მათთან კონტრაქტები მხოლოდ სეზონის ბოლომდე გვქონდა. აუცილებელი, რომ, ხელშეკრულებებს ვადა გაუვიდა, ახალი კი ჯერ არ გაგვიფორმებია. ისე, დიდი დანაკლისი არ გვაქვს, მხოლოდ ორი ფეხბურთელი მოგვაკლდა. როინ ონიანი მოლდოვაში გაემგზავრა ოტაჩის „ნისტრუში“ გასასინჯად. ასევე გადაწყვეტილია ლევან გვაზავას წასვლა. მისი თქმით, ისიც უცხოეთში აპირებს თამაშს. ჯერჯერობით დანარჩენები ადგილზე არიან და უახლოეს მომავალში ახალ კონტრაქტებს შევთავაზებთ.

— მხოლოდ ამ ძალებით აპირებთ პირველ ჯგუფში თამაშს?

— მხოლოდ ეს რომ არ გვეყოფა, მეც კარგად ვიცი. ჩემი აზრით, გუნდს 4-5 ახალი ფეხბურთელი სჭირდება, მაგრამ ეს მარტო ჩემზე არაა დამოკიდებული. მთავარი ფინანსებია.

— აქამდეც მოვედით. ნუთუ დებიუტანტ გუნდს ფული არა აქვს? არავინ გეხმარებათ?

— არა, ამის თქმა არ მინდა. წინა სეზონში რომ გავიმარჯვეთ, ამაში ლომის წილი ჩვენს გამგებელ ანგული მიქავას მიუძღვის, მაგრამ წლეულს მეტია საჭირო და ამ საქმეს მარტო ვერ აუვა. ერთს კი შეგვპირდა, ფედერაციაში შესატან საწევროს 10 ათას ლარს გადაგიხდით და შემდეგშიც დაგეხმარებითო. მადლობის მეტი რა გვეთქმის. აგერ თვითონაც ხედავთ, აქაც ხალხია შეყრილი. ესენი ყველანი გვეხმარებიან. ზოგი სტადიონს გვირემონტებს, ზოგიც ტრანსპორტით გვემსახურება და ასე ყველა ერთად ვეწევით ჭაპანს.

— ამ სეზონში რა მიზანი დისახეთ?

— როცა ფინანსური პრობლემები მოგვარდება, გუნდის ხელმძღვანელობა ამაზე მაშინ დაგველაპარაკება, მაგრამ თუ საქმეს რეალურად შევხედავთ, ამოცანა ნათელია. ახლა რომ გითხრათ, უეფაზე გავალთ-მეთქი, დამიჯერებთ? არარეალურიცაა და არც არის საჭირო. ვინც არასერიოზულად მოეკიდა საქმეს და თქვა, გინდა თუ არა, უეფა მინდაო, ხედავთ რა დღეშია? ჩვენ პირველ ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად ვიბრძოლებთ. თუ შევძელით, ხომ კარგი, თუ არადა...

— ინტენსიურ მზადებას როდის შეუდგებით?

— მზადებას ორ დღეში დავიწყებთ. არსად წასვლას არ ვაპირებთ. ადგილზე, ჩვენს ბაზაზე, მოვემზადებით. აქამდეც უნდა დაგვეწყო ვარჯიში, მაგრამ სანამ ფინანსური საკითხები არ გაირკვევა, ძნელია ფეხბურთელს დარჩენაზე, ახალს კი მოსვლაზე და სერიოზულ წვრთნაზე ელაპარაკო.

კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ლევან ლემონჯავამ აღნიშნა: „დღეს ჩვენი გამგებელი თბილისშია წასული. იქ თურმე რამდენიმე კაცს უნდა შეხვდეს, ხობელებს რომლებიც დედაქალაქში მუშაობენ და საკმაო ფინანსებსაც ფლობენ. დასხდებიან, მოილაპარაკებენ და ყველანი ერთად დაგვეხმარებიან. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი გუნდის გაძლიერებაზე. კლუბის პრეზიდენტი ჯოდო ქაჩიბაია ხობში უკვე რამდენიმე წელია არავის უნახავს. თბილისური შეხვედრის შემდეგ კი „კოლხეთს“ ახალი პრეზიდენტი ეყოლება. ვნახოთ, იმედი გვაქვს“.

რამდენიმე სიტყვა ხობელთა ცენტრალურ სტადიონზეც უნდა ითქვას. ტრიბუნები სამ მხარეზე აქვს და 10 ათას მაყურებელს იტევს. ერთ დროს მინდვრის საფარიც საკმაოდ ნორმალური ჰქონდა, მაგრამ...

მაისში, როცა „ოდიშმა“ დისკვალიფიკაციის გამო ორი შეხვედრა ხობში გამართა, სტადიონი სავალალო მდგომარეობაში იყო. მინდვრის საფარს საშინელი ეთქმოდა, ტრიბუნებზე მხოლოდ რამდენიმე ფიცარი იდო, გუნდებისთვის განკუთვნილი გასახდელები კი ფაქტობრივად არ არსებობდა. ერთი გუნდი, მსაჯებთან ერთად, სამხრეთი კარის უკან მდებარე შენობიდან გამოდიოდა, მეორე კი ლოჟის ქვევიდან. ასეთ მდგომარეობაში მყოფ სტადიონზე კი პირველი ჯგუფის გუნდს არავინ ათამაშებს. ხობში სფფ-ს წარმომადგენლებიც ყოფილან და უთქვამთ, თუ სტანდარტებს არ დაუახლოვდებით, თამაშებს სხვაგან გამართავთო.

ჰოდა, დაფაცურდნენ ხობელები. მინდვრის საფარზე ზრუნვა უკვე დაიწყეს და, როგორც ეტყობა, მალე მორჩებიან კიდეც. მსაჯთა ოთახი უკვე მზადაა, საშხაპეებიც, ხოლო გასახდელები უახლოეს დღეებში გაკეთდებაო, თქვა ლევან ლემონჯავამ. ტრიბუნებისთვისაც გარჯილან, ფიცრები უკვე უშოვიათ და რამდენიმე დღეში ისიც მოწესრიგდება. სეზონის დაწყებამდე, როცა სფფ-ის ინსპექტორები კვლავაც მოვლენ, მათმ თქმით, სტადიონი მზად იქნება.

სტადიონთან რამდენიმე ფეხბურთელსაც მოეყარა თავი. ასეთ ხალხს რომ ვხედავთ, უკვე აღარ გვეშინია. თუ გუნდი არ იქნება, სტადიონი რად უნდათ, ესე იგი, ჩვენც მოგვხედავენო, ხუმრობდნენ ისინი.

გუნდის ვეტერანი ფეხბურთელი *რევაზ ქაშიბაძე:*

— მინდა, გულშემატკივრებს მივმართო. ჩვენ მხარდაჭერა არასდროს გვაკლდა, მაგრამ წლულს ორმაგად გვჭირდება. პირველი წელია პირველ ჯგუფში და ყველაფერს რეალურად შეხედონ. ყოველ შემთხვევაში, კარგად თამაშს მათზე ნაკლებად ნამდვილად არ მოვინდომებთ. რაცა ვართ, ესა ვართ.

თენგიზ ქოჩუა ხობიდან

ნაოპერაციევი ჯაკობია 18-წლამდელებს დაემშვიდობა

ლაშა ჯაკობია

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲨᲘ, ევროპის ჩემპიონატზე, თვრამეტწლამდელთა ნაკრები შეტევის ლიდერს, ლაშა ჯაკობიას მოისაკლისებს. ტრავმამ თავისი გაიტანა, ჩვენი ვარაუდიც არ გამართლდა.

გერმანიაში, შეკრებაზე მყოფი ჩვენი გუნდი ამ ამბავს უკვე შეეგუა, ვახტანგ კოპალეიშვილს ახლა სხვა საფიქრალი ექნება. იგი არ დაელოდება თავდამსხმელს და გუნდის სათამაშო სქემასაც, ალბათ, გადააკეთებს.

წელიწადზე მეტია, ლაშა ჯაკობიას საზარდული აწუხებს, მაგრამ აქამდე ტკივილს არ ეპუებოდა, თუმცა ყველაფერს აქვს საზღვარი.

ბელგიელ ექიმებს თავიანთი გადაწყვეტილება არ შეუცვლიათ — თუ ჯაკობიას ფეხბურთის თამაში სურს, მაშინ ოპერაცია გარდაუვალიაო.

ჩვენი თვრამეტწლამდელებისთვის ცუდი დროა საოპერაციოდ, მაგრამ იმედისმომცემი თავდამსხმელის გაფუჭებას და დაკარგვას, ეს ვარიანტი, ალბათ, გაცილებით სჯობს.

ლაშამ გასულ პარასკევს ოპერაცია გაიკეთა. მართალია, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მაგრამ მსუბუქი ვარჯიშის დაწყება ჯაკობიას 6 კვირის შემდეგ შეეძლება, ხოლო უშუალოდ თამაშს 3 თვეში დაიწყებს.

იმედია, ჯაკობია მალე, ყოველგვარი გართულებების გარეშე გამოჯანმრთელდება, თუმცა საქართველოს, ალბათ, 21-წლამდელთა ნაკრებში დაუბრუნდება.

მამუკა კვანტალიანი

მუმუ მოლდოვაში

დავით მუჯირი შერიფს დამორჩილდა

ᲑᲝᲚᲚᲝ დროს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების, თბილისის „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ ყოფილი ფეხბურთელის დათო მუჯირის მოხელეთება გაძნელდა. სად აღარ ვურეკავდით მუმუს, შინ, მობილურზე, მაგრამ რა, პასუხი მხოლოდ ერთი იყო — დათო არ გახლავთ, გასულია.

დიახ, საუბარი სწორედ რომ დათო მუჯირზე, მუმუზე გვაქვს. მას სპეციალისტები, გულშემატკივრები და ჟურნალისტები ერთ-ერთ პერსპექტიულ და იმედისმომცემ ფეხბურთელად თვლიდნენ, მაგრამ მუმუმ ვერა და ვერ გაამართლა იმედები. მან მხოლოდ ერთი სეზონი ჩაატარა სრულად და... „სარბიელის“ ყოველწლიური გამოკითხვის შედეგად ჟურნალისტებმა საქართველოს 1997-98 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. თითქოსდა ამის მერე მუმუს ხელს აღარაფერი უშლიდა. ყველანაირი პირობა არსებობდა იმისთვის, რომ მას დიდი ფეხბურთი ეთამაშა, მაგრამ...

მას მერე დათო მუჯირი, როგორც ფეხბურთელი, ინერციითღა მიდიოდა. თვითონაც თქვა, საქართველოს ჩემპიონატის დონე არ მაკმაყოფილებს, უცხოეთში მსურს ძალების მოსინჯვაო.

მუჯირს ერთხანს კვლავ საქართველოში თამაშს, ამჯერად უკვე X ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ და თასის მფლობელ ქუთაისის „ტორპედოს“ უწინასწარმეტყველებდნენ, არაა გამორიცხული, დავით ყიფიანმა თავისთან, ქუთაისში წაიყვანოსო, გუშინ კი...

— დათო დღეს, ნაშუადღევს, მოლდოვაში გაფრინდა. ტირასპოლის „შერიფთან“ მხოლოდ იურიდიული ფორმალობებია მოსაგვარებელი. ფაქტობრივად გადაწყვეტილია. „შერიფთან“ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს და ამ ხნის მანძილზეც მოლდოვაში ითამაშებს — გვითხრა გუშინ მუჯირის მეუღლემ, როდესაც კიდევ ერთხელ ვცადეთ მუმუსთან დაკავშირება.

ესეც ასე. დათომ თავისას მიაღწია. რაც არ უნდა იყოს, საქართველოში ნაღდად არ ვითამაშებო და „იუვენტუსის“, „მეტროსტარზის“, „ტორპედოსა“ და სხვათა ნაცვლად ტირასპოლის „შერიფში“ აღმოჩნდა.

როგორ ფიქრობთ, საიდან უნდა მომხდარიყო „შერიფისა“ და მუჯირის დაახლოება? „შერიფის“ სელექციონერი ხომ ფიფას ერთადერთი ლიცენზირებული ქართველი აგენტი ილია კოკაიაა. ჰოდა, საქმეც გაიჩარხა. კოკაია რომ არა, იქნებ ტირასპოლელთა მთავარი მწვრთნელი, წარსულში მინსკის „დინამოს“ მცველი, სერგეი ბოროვსკი მუჯირით სულ არ დაინტერესებულიყო.

ასეა თუ ისე, დათო მუჯირი შერიფელია.

ჯერჯერობით კი „შერიფის“ უპირველესი საზრუნავი უეფას თასის მატჩებია.

წლევანდელი ევროთასების დებიუტანტი უეფას თასის შესარჩევ ეტაპზე საკმაოდ ძლიერ, ჩეხურ ოლომოუცის „სიგმას“ შეხვდება.

გიორგი ვაშაკიძე


დავით მუჯირი

ლანტანა კაპიტანს და ქულებს შეელია

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ „ტორპედოს“ მეტოქემ, ტალინის „ლანტანამ“ კვირას ესტონეთის ჩემპიონატის მეთორმეტე ტურის მატჩი გამართა. „ლანტანამ“ ცხრილის ქვემო მეზობელ „ლელეს“ უმასპინძლა და ფრედ, 1:1 ეთამაშა.

მასპინძლები 73-ე წუთიდან 0:1 აგებდა, მაგრამ კლუბის საუკეთესო და ჩემპიონატის მეორე ბომბარდირმა ვიტალი ლეიტანმა საფინალო სასტვენამდე 5 წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრა.

აღსანიშნავია, რომ მატჩამდე ორიოდ დღით ადრე „ლანტანა“ დაცვის ბურჯს, 25 წლის კაპიტან ანდრეი კრასნოპიოროვს შეელია. კრასნოპიოროვი მოსკოვის ცსკა-ში გასინჯვაზე იმყოფებოდა, თუმცა გუშინწინდელ ტურში მოსკოვის „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ არმიელთა სასტარტო შემადგენლობაში წარსდგა. ესტონელი ცსკა-მ 35 წუთში შეცვალა. ძნელი სათქმელია, ნიშნავს თუ არა ეს, რომ კრასნოპიოროვს ტალინის რეისზე ბილეთი აუღეს, მაგრამ მხოლოდ გასინჯვაზე მყოფ მოთამაშესაც რომ ჩემპიონატის ოფიციალურ მატჩში არ ათამაშებენ, ცნობილი ამბავია.

ერთი სიტყვით, დღესდღეობით ასეა, „ლანტანამ“ „ტორპედოსთან“ პირველ მატჩამდე 5 კვირით ადრე წამყვანი მცველი, ჩემპიონატის საშინაო მატჩში კი ორი ქულა მოიკლო და კვლავ მეექვსე ადგილზეა.

ვახტანგ ბზიკაძე

39a. Copa América Paraguay '99

ვოიო, პალერმოვ!

ერთადერთი და განუმეორებელი — მარტინ პალერმო, ერთ მატჩში სამი პენალტის ვერგამტანი ფეხბურთელი

A ჯგუფი

პარაგვაი 4:0 იაპონია

1:0 ბენიტესი (18), 2:0 სანტა კრუსი (40), 3:0 ბენიტესი (62), 4:0 სანტა კრუსი (86)

პარაგვაი: ტავარელი, არსე, აიალა (კანისა 51), გამარა, ტოლედო, გავილანი (პარედესი 65), ენსისო, აკუნია, ოველარი (კუევასი 76), ბენიტესი, სანტა კრუსი

იაპონია: კავაგუჩი, სიმა, საიტო, აკიტა, იჰარა, მორიოკა, იტო, ნანამი (ფუჯიტა 58), ფუკუნიში (მიურა 24), ლოპესი, ჯო (იოშიჰარა 67)

გაფრთხილება: ჯო (33), საიტო (74)

მსაჯი: არმანდო არხუნდია (მექსიკა)

იაპონია განადგურდა — „კოპა ამერიკას" სტუმრებმა მეორე შეხვედრაც წააგეს და მეოთხედფინალში გასვლის თეორიული შანსიც დაკარგეს. ფილიპ ტრუსიეს გუნდი შერცხვა, თუმცა თავად აზიელებს სამხრეთამერიკულ ტურნირში წარმატების იმედი არც ჰქონიათ.

— პარაგვაის თანაბრად ვეთამაშებოდით, თუმცა მეტოქე ტექნიკური თვალსაზრისით ამჯერად გვჯობდა. ჩვენი მარცხის მიზეზიც სწორედ ესაა — ასე ახსნა ტრუსიემ გუნდის საშინელი მარცხი.

საყვარელი გუნდის თამაშის საცქერლად 50 ათასი გულშემატკივარი შეიკრიბა. ქომაგები გოლებს ელოდნენ და ევერ ალმეიდას გუნდმაც ერთბაშად ოთხი ბურთი უძღვნა მაყურებელს. ბენიტესის პირველი გოლის შემდეგ მასპინძლებმა კიდევ სამჯერ დალაშქრეს იოშიკაცუ კავაგუჩის კარი, ამთგან ორი როკე სანტა კრუსმა თავით გაიტანა.

ერთი საგულისხმო ამბავიც: პარაგვაელთა მწვრთნელმა ევერ ალმეიდამ, რომელმაც გუნდი სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის დაწყებამდე თევზის დიეტაზე გადაიყვანა, ამ სიახლეზე უარი თქვა — გუნდი ბოლივიელებთან თამაშის მეორე დილიდან ჩვეულებრივ კვებაზე გადავიდა.

პერუ 1:0 ბოლივია

1:0 სუნიკა (87)

პერუ: იბანიესი, რებოსიო, რეინოსო, ხოსე სოტო, ხორხე სოტო, სოლანო, პერედა (სიურლისა 46), პალასიოსი, ხაიო, მაესტრი (სუნიკა 85), პისარო (ოლსენი 57)

ბოლივია: ფერნანდესი, რიბერა, პენია, სანდი, კასტილიო, ტუფინაო, სორია, კრისტალდო (ოჩოაისპური 65), სანჩესი (ლიენდო 82), გუტიერესი (ეჩევერი 61), მორენო

გაფრთხილება: სორია (28), სანდი (52), ტუფინიო (90)

გაძევება: სუნიკა (90)

მსაჯი: ლუის სოლორსანო (ვენესუელა)

— რაც დრო გადის, გუნდი სულ უფრო იკვრება, ფეხბურთელებს რწმენა ემატებათ, ამან კი, ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა მოიტანოს სასურველი შედეგი — განაცხადა პერუს ნაკრების მწვრთნელმა ხუან კარლოს ობლიტასმა, მას შემდეგ, რაც მისმა გუნდმა „კოპა ამერიკას" მეოთხედფინალში დაიბევა ადგილი.

განვლო მეოთხედმა საათმა და პერუელებიც საქმეს შეუდგნენ, გუნდი ნელ-ნელა, მაგრამ საბოლოოდ ეუფლებოდა უპირატესობას, ბოლივიელები საკუთარ ნახევარზე გადაჰყავდა, შეხვედრის მიწურულს კი მეტოქე კარსაც მიაჯაჭვა.

— სუნიკა იმიტომ ვათამაშე, რომ ვარჯიშებზე მისით ყველაზე მეტად მოვიხიბლე. თავდადებული ჩანდა და გამიმართლა კიდეც — ისევ და ისევ ობლიტასი.

22 წლის სუნიკამ გაამართლა, გამარჯვების მომტანი გოლიც გაიტანა, მაგრამ საქმეც გააფუჭა — ერთ-ერთ ბოლივიელს იმდენად ეუხეშა, რომ გაგდეს. სუნიკა, ბუნებრივია, მომდევნო შეხვედრას გამოტოვებს.

პერუ	2	2	0	0	4:2	6
პარაგვაი	2	1	1	0	4:0	4
ბოლივია	2	0	1	1	0:1	1
იაპონია	2	0	0	2	2:7	0

B ჯგუფი

ბრაზილია 2:1 მექსიკა

1:0 ამოროზო (20), 2:0 ალექსი (45), 2:1 ტერასასი (74)

ბრაზილია: დიდა, კაფუ, ოდვანი, ანტონიო კარლოსი, ემერსონი, ვამპეტა, რობერტო კარლოსი, ალექსი (ფლავიო კონსეისაო 78), რივალდო, ამოროზო (რონალდინიო 80), რონალდო (ფოგო კარლოსი 90)

მექსიკა: კამპოსი, პარდო, სუარესი, სანჩესი, კარმონა, ჩავესი (ტორადო 46), ლარა, გარსია ასპე (ტერასასი 46), გარსია (ოსორნო 64), ერნანდესი, ბლანკო

გაფრთხილება: გარსია ასპე (14), ოდვანი (21), ემერსონი (74), ანტონიო კარლოსი (86)

გაძევება: რივალდო (82)

მსაჯი: გუსტავო მენდესი (ურუგვაი)

უცნაური გუნდია მექსიკა, გამოუცნობი. ყველა შეხვედრაში განსხვავებული.

...მეოცე წუთზე რონალდომ შესანიშნავი გადაცემით ამოროზოს გოლის გატანის შანსი მისცა. იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმაც ცრუმოძრაობით მცველი ჩამოიშორა და ისე დაარტყა, ტანმორჩილი ხორხე კამპოსი ბურთს ვერ შესწვდა — 1:0. სხვათა შორის, ამოროზომ ნაკრების უკლებლივ ყველა, ბოლო ოთხივე შეხვედრაში ითამაშა და ყველა მათგანში გოლები გაიტანა. ვენესუელასთან თამაშამდე, რომელშიც მან ორი ბურთი შეაგდო, ამხანაგურ მატჩებში ორჯერ დალაშქრა ჰოლანდიელთა კარი.

მეორე ნახევარი სულ სხვა სცენარით წარიმართა — მექსიკელებმა უპირატესობა მოიპოვეს, ბრაზილიელებს მოქმედების არეალი შეუზღუდეს და დიდას კართან სახიფათო მომენტებს ხშირად ქმნიდნენ. ბრაზილიაც, ცხადია, უტევდა, მაგრამ იმდენად მწვავედ ვერა.

ბოლო თხუთმეტი წუთი დრამატული გამოდგა — ბრაზილიელთა მწვრთნელი ვანდერლეი ლუქსემბურგო იძულებული შეიქნა, სამივე თავდამსხმელი მცველებითა და ნახევარმცველებით შეეცვალა. მექსიკელებმა ძირითადად ერნანდესის, ბლანკოს და ოსორნოს წყალობით, ნახევარდაცვაში აშკარად აჯობეს მეტოქეს და დიდას კარისკენ მიმავალი გზაც გამონახეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბრაზილიელი მცველები, განსაკუთრებით კი ოდვანი და ანტონიო კარლოსი, სცოდავდნენ.

ბრაზილიელთა დასუსტება რივალდოს გაძევებამაც განაპირობა — ესპანეთის ჩემპიონი, რომელიც ივნისის დასაწყისში, ჰოლანდიელებთან ამხანაგურ შეხვედრაში ერთხელ უკვე გაგდეს, სალვადორ კარმონას ძალიან უხეშად ეთამაშა. სამართლიანადაც დაისაჯა.

ისააკ ტერასასის გარდა დიდას კარი ვერავინ დალაშქრა. ბრაზილიამ კი ამ მოგებით მეოთხედფინალში გაიანაღდა ადგილი. მექსიკაც, ალბათ, დაამარცხებს ვენესუელას და შემდეგ წრეში გავა, მაგრამ რას იზამს ჩილე?

ჩილე 3:0 ვენესუელა

1:0 სამორანო (5), 2:0 სიერა (21), 3:0 ტორტოლერო (66ს.კ.)

ჩილე: მარსელო რამირესი, ვარგასი, რეიესი, მიგელ რამირესი, პალასიოსი, აკუნია, ეროსი, ესტაი, სიერა (პარაგესი 46), სამორანო (გონსალესი 75), სალასი

ვენესუელა: ვეგა, ხიმენესი, ალვარესი, რეი, ეჩენაუსი, ტორტოლერო, ვერა, ბიდოლიო, ურდანეტა (ერნანდესი 60), მორანი (რონდონი 55), ნორიეგა (გარსია 55)

გაფრთხილება: სალასი (38), რეი (40), გარსია (58)

გაძევება: ალვარესი (18), ვარგასი (39), სალასი (69)

მსაჯი: ხუან ლუნა (ბოლივია)

აჰა, სალასიც გააძევეს. მას შემდეგ, რაც ჩილელთა პირველ და მესამე გოლში უშუალო მონაწილეობა მიიღო, რომის „ლაციოს" თავდამსხმელი ერთ-ერთი შეტევისას მეკარის საჯარიმოში წაიქცა და... მსაჯმაც სიმულიანტობა დასწამა. ბოლივიელმა არბიტრმა სიტყვიერ ბრალდებას ყვითელი ბარათიც მიაყოლა. რადგან სალასი მანამდე ერთხელ უკვე გაეფრთხილებინათ, თავდამსხმელი გააძევეს კიდეც.

„კოპა ამერიკის" სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, მარსელო სალასი, მანამდე გაძევებულ სხვა ფეხბურთელთაგან განსხვავებით, ერთის ნაცვლად ორ შეხვედრას გამოტოვებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სალასი ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩს ბრაზილიასთან ვერ ითამაშებს და თავისიანებს ვერც მეოთხედფინალში გასვლის შემთხვევაში დაეხმარება.

— ჩვენ გადაწყვეტილებას გავაპროტესტებთ. ვიდეოჩანაწერზე ნათლად ჩანს, რომ სალასს საჯარიმოში მართლა ეუხეშნენ და მას არაფერი გამოუგონია — განაცხადა ჩილელთა მწვრთნელმა ნელსონ აკოსტამ და გუნდის ზრახვები გაამხილა.

ბრაზილია	2	2	0	0	9:1	6
ჩილე	2	1	0	1	3:1	3
მექსიკა	2	1	0	1	2:2	3
ვენესუელა	2	0	0	2	0:10	0

C ჯგუფი

ურუგვაი 2:1 ეკვადორი

1:0, 2:0 სალაიეტა (72, 74), 2:1 კავიედესი (78)

ურუგვაი: კარინი, პილიპუსკასი, ლემბო, პიკუნი, ბერგარა (გიგოუ 55), კელიო (ვესპა 75), ფლეურკინი, გარსია, პაჩეკო (კალიეხასი 64), ალვესი, სალაიეტა

ეკვადორი: სევალოსი, ურტადო, მონტანიო, კინიონესი, ხორხე (მორეირა 66), დე ლა კრუსი, კარაბალი (სამორა 61), ბლანდონი, აგინაგა, გრასიანი (დელგადო 65), კავიედესი

გაფრთხილება: კარაბალი (21), ლემბო (61), სიმონა (70), კინიონესი (85)

მსაჯი: მარიო სანჩესი (ჩილე)

ეკვადორის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად ივან კავიედესი ითვლება, ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც ასეთი პატივი სიცოცხლეშივე ერგო. იგი ერთადერთია, ვისაც „კოპა ამერიკაზე" ეკვადორის სახელით გოლები გააქვს. არგენტინასთან იყო და საჯარიმო დარტყმიდან გაიტანა, ურუგვაისთან კი საჭირო ადგილას დროულად გაჩნდა და...

მანამდე ურუგვაიმ ორი გოლის გატანა მოასწრო. ორივე ბურთი, კავიედესის დარად, იტალიაში მოთამაშე მარსელო სალაიეტამ გაიტანა, რითაც გუნდს, მიმდინარე „კოპა ამერიკაზე" პირველი შეხვედრა მოაგებინა.

— ახლა არგენტინასთან ჭიდილი გველის. მძიმე თამაში იქნება, მაგრამ მოვიგებთ. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული — განაცხადა ურუგვაელთა მწვრთნელმა ვიკტორ პუამ.

არგენტინა 0:3 კოლუმბია

0:1 კორდობა (10პ), 0:2 კინგო (79), 0:3 მონტანიო (87)

მე-5 წუთზე პალერმომ (არგენტინა) ვერ გაიტანა პენალტი

48-ე წუთზე რიკარდმა (კოლუმბია) ვერ გაიტანა პენალტი

76-ე წუთზე პალერმომ ვერ გაიტანა პენალტი

90-ე წუთზე პალერმომ ვერ გაიტანა პენალტი

არგენტინა: ბურგოსი, ვივასი (იბარა 61), აიალა, სამუელი, სიმეონე, ძანეტი, რიკელმე, სორინი (კანია 46), გონსალესი, ბაროს შელოტო (გულიელმინპიეტრო 68), პალერმო

კოლუმბია: კალერო, კუინტანა, ბერმუდესი, კორდობა, ვივეროსი, ბოლანიო, ლოსანო, გრისალესი, ბეტანკურტი (მონტანიო 55), ბონილია (სამბრანო 61), რიკარდი (კინგო 78)

გაფრთხილება: რიკარდი (38), ვივასი (39), კუინტანა (74), კალერო (84)

გაძევება: ძანეტი (68)

მსაჯი: უბალდო აკუნინო (პარაგვაი)

ასეთი რამ არავის ახსოვს — ალბათ, არასდროს. მომხდარა, ერთ ფეხბურთელს სამი პენალტი ვერ გაეტანოს. პალერმოს თავს დატეხილი ამბავი გულშემატკივრებს და არა მარტო მათ კარგა ხანს ემახსოვრებათ.

უცნაური შემთხვევაა, სასწაულთა კატეგორიასაც მიეკუთვნება და ამავდროულად ტრაგიკულიც არის. როგორია, ერთ შეხვედრაში სამ თერთმეტმეტრიანს რომ ვერ გაიტან?

როცა მეხუთე წუთზე სამხრეთ ამერიკის გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელმა მარტინ პალერმომ პირველი პენალტი ვერ შეაგდო (ბურთი ხარიხამ აისხლიტა), თავი გაიმხნევა, თანაგუნდელებმაც, ალბათ, გაამხნევეს. მერე რა, ხელი ვის არ მოსცარვია? თან მთელი შეხვედრა წინ იყო და ანგარიშიც არ იყო გახსნილი.

76-ე წუთზე არგენტინელებმა კვლავ მოიპოვეს პენალტის დარტყმის უფლება. იმავე მარტინ პალერმომ, პირველი მომენტის დარად, იმდენი ქნა, სანამ კოლუმბიელებს თერთმეტმეტრიანი არ დასტყუა. ახლა აუცილებლად გავიტანო, ალბათ, გაიფიქრა კიდეც თავდამსხმელმა. დაარტყა... აცილა. ორი ბურთი გააფუჭა! ეს უკვე მეტისმეტია!

ამასობაში კოლუმბიელებმა მესამე გოლი გაიტანეს — ხონიერ მონტანიომ, მოედნის ცენტრს ცოტათი რომ გასცდა, უძლიერესად დაარტყა და ბურთი ბურგოსის კარში ჩაახვია. ძალიან ლამაზი გოლი იყო და ანგარიში 3:0 გახდა.

და ბოლო წუთზე. როცა შეხვედრის გამარჯვებული უკვე ცნობილი გახლდათ, პარაგვაელმა მსაჯმა არგენტინას მესამედ არგუნა პენალტი. პალერმომ ორ მეტოქეს ბურთი არ დაანება და ორთაბრძოლაში თერთმეტმეტრიანიც დასტყუა მსაჯს.

აქ უკვე ერთი კითხვა ჩნდება — განა არავინ იყო არგენტინელთა გუნდში ისეთი, რომელიც პენალტს დაარტყამდა? რა თქმა უნდა იყო, თან არაერთი, მაგრამ მოედანზე ხომ პალერმო იყო. ემოციებსაყოლილი კიდევ ერთხელ გაქანდა ბურთისკენ, ძველებურად, საშინელი ძალით დაარტყა და... ბურთი ისევ არ შევიდა კოლუმბიელთა კარში. მეკარე კალერომ კუთხე გამოიცნო და არც ამჯერად გაუშვა გოლი. ტრაგედიაცაა, საოცრებაც, ყველაფერი ერთად.

რაღაც სხვანაირი შეხვედრა იყო: ხუთი პენალტი დაინიშნა, მხოლოდ ერთი გავიდა, ერთმა მოთამაშემ სამი თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა, ორი გოლი არ ჩაითვალა, არგენტინელთა მწვრთნელი გააძევეს...

კოლუმბიელებმა კი 3:0 მოიგეს. მათ მართლაც კარგად ითამაშეს. შესაძლოა ზოგს არგენტინელთა ტერიტორიული უპირატესობა მოხვედროდა თვალში, ზოგს ის, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს უფრო მეტი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ გოლები ხომ კოლუმბიამ გაიტანა!

ამიტომაც მოიგო.

ლაშა გოდუაძე

კოლუმბია	2	2	0	0	4:0	6
ურუგვაი	2	1	0	1	2:2	3
არგენტინა	2	1	0	1	3:4	3
ეკვადორი	2	0	0	2	2:5	0

ბომბარდირები

ამოროზო (ბრაზილია)	3
რობერტო ოლსენი (პერუ)	2
რონალდო (ბრაზილია)	2
მარტინ პალერმო (არგენტინა)	2
მარსელო სალაიეტა (ურუგვაი)	2
მიგელ ბენიტესი (პარაგვაი)	2
როკე სანტა კრუსი (პარაგვაი)	2
ივან კავიედესი (ეკვადორი)	2

ქირავდება
ერთოთახიანი ბინა
ქავთარაძის ქუჩაზე
Tel: 93 15 72

იგივე, რაც ოლიმპიადაზე იყო

REUTERS ფოტო: ბორიდან

ჩინეთი — ნორვეგია 5:0. ნორვეგიელი სანდაუნი ჩინელ პუზე მაღლა გვართა და სხეულთა ზომების გამო უნდა ამხტარიყო კიდეც, მაგრამ...

WOMEN'S WORLD CUP USA 99

აშშ 2:0 ბრაზილია

1:0 პარლოუ (5), 2:0 აკერსი (80პ)

ჩინეთი 5:0 ნორვეგია

1:0 სუნი (3), 2:0, 3:0 ლიუ (14, 51), 4:0 ფანი (65), 5:0 სუნი (72პ)

ნახევარფინალი, მოგეხსენებათ, ორია. ასე განსაჯეთ ქალთა ჩემპიონატზეც. ოფიციალური რეგისტრაციის თანახმად კი მატჩი ნომერი 29 აშშ-ისა და ბრაზილიის ნაკრებებისას ეწოდებოდა, ხოლო მატჩი ნომერი 30 ნორვეგიისა და ჩინეთისას. ჩვენც ფიფას დანომრილ-მოწესრიგებულს მივყვეთ.

ქალთა მსოფლიოს მესამე ჩემპიონატის მასპინძელმა, ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა მნიშვნელოვანწილად მეკარის, ბრაიანა სკურის წყალობით, 2:0 მოუგო „სამბას დედოფლებად“ წოდებულ ბრაზილიელებს და შაბათს, ლოს ანჯელესში, ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელებმა შემტევი ფეხბურთით ერთობ სერიოზული გამოცდა მოუწყვეს მასპინძლებს, სკურის გატეხვა მათთვის შეუძლებელი ამოცანა გამოდგა. ამერიკელმა გოლკიპერმა ნაკრებში თავისი 52-ე მატჩი დიდებულად ჩაატარა, თამაშის მერე კი თქვა:

„ხუთი წელიწადია ეროვნულ გუნდში ვთამაშობ და ვფიქრობ, ამ მატჩის ბადალი არაფერი ჩამიტარებია. ნებისმიერი თამაში, რომელშიც ვმონაწილეობ, ჩემი ცხოვრების ნაწილია. ბედნიერი ვარ, რომ ქვეყანა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გავიყვანე და ვიმედოვნებ, ბოლო, გადამწყვეტ შეხვედრას კიდევ უკეთ ჩავატარებ“.

მეკარის ღვაწლი ორივე გუნდის მწვრთნელმა აღნიშნა.

„ბრაიანა სკური შეუდარებელი იყო. აშკარაა, ბრაზილიის ნაკრებთან შეხვედრაში ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი სწორედ ის გახლავდათ“ — განაცხადა ამერიკელთა თავკაცმა ტონი დიჩიკომ.

ბრაზილიის ნაკრების ხელმძღვანელი უილსონ დე ოლივეირა რიკა: „მეტოქემ საუცხოოდ ითამაშა, მაგრამ შეხვედრის უდიდესი ფეხბურთელი ბრაიანა სკური გახლდათ“.

ტურნირის მასპინძლებმა თითო ტაიმში თითო გოლი გაიტანეს. პირველი, მეხუთე წუთზე მოხდა, როდესაც ჯული ფაუნდიმ მარცხენა ფრთიდან ბურთი კარის წინ გაგზავნა. ბრაზილიელთა მეკარემ მარავილიამ ის-ის იყო მას ხელი სჭიდა, რომ ქალ გოლკიპერთათვის დამახასიათებელი საოცარი შეცდომა დაუშვა და როგორღაც გოლის გაშვება მოახერხა — სინდი პარლოუმ საჩუქარი მადლიერებით მიიღო.

დონი დიჩიკო: „საერთოდ, თამაშებს ნელა ვიწყებთ ხოლმე. ამიტომაც ვუთხარი გოგოებს, დღევანდელი შეხვედრა სრულიად სხვანაირად უნდა დაიწყოთ, მეთქი. ისინიც გავიდნენ მოედანზე და დასაწყისშივე გახსნეს ანგარიში, რამაც მატჩის დარჩენილ დროს თავისებური, ჩვენთვის სასარგებლო ელფერი მისცა“.

შესვენების შემდეგ ამერიკელებმა ინიციატივის შენარჩუნება ვერ შეძლეს. „სამბას დედოფლებმა“ სხარტი შეტევებით გვარიანი ოფლი ადინეს, მაგრამ... მე-80 წუთზე მია ჰამი ბრაზილიელთა საჯარიმოში მეკარესთან პირისპირ შედიოდა, როდესაც ძირს დასცეს. პენალტის დარტყმა მიშელ აკერსმა ითავა. აკერსის პირისპირ იდგა მარავილია, ქალი, რომელმაც ჯგუფური ტურნირის დროს იტალიელი ანტონელა კარტას დარტყმული მოიგერია, მაგრამ ამჯერად მარავილიამ ვეღარ იყოჩაღა.

„ვამაყობ ჩემი გუნდით. მან დიდი ბრძოლა გადაიტანა და დაამარცხა ძლიერი მოწინააღმდეგე. ახლა ჩვენ ჩავისუნთქავთ და ფინალს დაველოდებით“ — თქვა დასასრულ დიჩიკომ.

30-ე მატჩში კი სენსაცია მოხდა: ჩინელებმა მსოფლიოს ჩემპიონს, ნორვეგიას, 5:0 მოუგეს. ამრიგად, შაბათს, ლოს ანჯელესში, განმეორდება 1996 წლის ოლიმპიური თამაშების ფინალი: აშშ — ჩინეთი.

სენსაციური მატჩის შემდეგ აწ უკვე ექსჩემპიონთა მწვრთნელმა პერ-მათიას ჰოგმომ განაცხადა:

„უპირველეს ყოვლისა მსურს ჩინეთის ეროვნულ ნაკრებს ფინალში გასვლა მივულოცო. ჩინელებს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ და მან დამსახურებულად გაიკაფა გზა ლოს ანჯელესისკენ. მეტოქის თამაში სულ მცირე სამჯერ, საფუძვლიანად გვქონდა ნანახი და თითქოს მისი ყოველი სვლა გავთვალეთ კიდეც, მაგრამ იმან, რაც მოედანზე მოხდა, გამაოგნებლად იმოქმედა. არ ველოდით. ჩვენ კი ამიერიდან ახალი გუნდის აგებაზე მოგვიწევს ფიქრი. ნორვეგიაში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომელთაც შეუძლიათ წინა თაობის ჩაყრილ საფუძველზე მყარი შენობა აღმართონ. რაც შეეხება შაბათის ფინალს, მე თუ მკითხავთ, იქ აშკარა ფავორიტი ჩინეთია, თუმცა მას წინ აღუდგება უკიდურესი ენთუზიაზმით აღვსებული მასპინძელი ქვეყნის ნაკრები“.

ჩინეთის ნაკრების მწვრთნელი იუანან მა: „ვგონებ ჩინელებს ბოლო წლებში ასეთი ძლიერი გუნდი არ გვყოლია. შაბათს ამის დასადასტურებლად მომდევნო მეტოქესთან გვიწევს ჭიდილი. თან გაითვალისწინეთ, რომ ახლა ამერიკის დასავლეთ სანაპიროს კლიმატთან და დროში სხვაობასთან ვცდილობთ შეგუებას. გადავწიეთ საუზმე-სადილის დრო, რაც თავისთავად იწვევს ცვლილებებს ორგანიზმში. ფინალის ფავორიტზე რა მოგახსენოთ, ერთი თამაშია და მისი მოგება ორივე გუნდს შეუძლია“.

ბაბუნა კედია



REUTERS ჰელო ალტოდან

აშშ — ბრაზილია 2:0. ამერიკელი ოვერბეკი ქალურად მისდევს ბურთს ბრაზილიელი პრეტინია კი კაცურად წევს

რუსეთი

XIV ტური

როსტსელმაში 4:1 სატურნი

0:1 გრიაზინი (26), 1:1 ხანკევი (37პ), 2:1, 3:1 პესტრიაკოვი (55, 67), 4:1 მაციგურა (90)

შინიკი 1:1 ალანია

1:0 ნოვგოროდოვი (39პ), 1:1 დემეტრაძე (50პ)

სპარტაკი 2:2 დინამო

1:0 ტიხონოვი (19), 1:1 გოლოვსკოი (78), 1:2 გუსევი (79), 2:2 ევსეევი (84)

როტორი 0:0 ჟემჩუჟინა

ჩერნომორეცი 0:0 ურალანი

ზენიტი 3:1 კრილია

0:1 პეტროსიანცი (48), 1:1 კურტიანუ (64), 2:1 პოპოვიჩი (77), 3:1 ბაბი (89პ)

ტორპედო 3:2 ნ. ნოვგოროდი

0:1 ვიაზმიკინი (12), 1:1 სემშოვი (45), 1:2 ბისტროვი (68), 2:2 დაევი (70), 3:2 დურნევი (86)

ცსკა 1:0 ლოკომოტივი

1:0 შიშკინი (73)

რუსეთის მე-8 ჩემპიონატის მე-14 ტური ოთხშაბათს დაიწყო. ინტერტოტოს თასის გათამაშებაში მონაწილეობის გამო „როსტსელმაშს“ უფლება მისცეს, „სატურნისთვის“ 30 ივნისს ემასპინძლა. დონისპირელებმა იოლად მოუგეს უმაღლესი დივიზიონის დებიუტანტებს და მეხუთე საფეხურზე მყოფი „ალანია“ ჩამოაქვეითეს, თუმცა ვლადიკავკაზელებს ორი შეხვედრა ჰქონდათ მარაგში.

შარშანდელ სეზონში იაროსლავლის „შინიკისგან“ „უცნაურად დაბრიყვებული“ ვალერი გაზაევის გუნდისგან შაბათს ბევრი ელოდა გამარჯვებას. დიდი იყო ინტერესი ამ მატჩისადმი. ათ მილიონ დოლარად შეფასებულ და გასაყიდად გამზადებულ გიორგი დემეტრაძეს, უეჭველია, უამრავი სპეციალისტი ადევნებდა თვალს. ჩვენებურის განწყობილება გასაგებია. მისგან მხოლოდ უკეთეს შედეგს ითხოვენ, ივნისში რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული და სპორტული მასმედიისგან ქებით ცაში აყვანილი დემეტრაძისგან ყოველ შეხვედრაში გოლებს ელიან. გიორგიც ახერხებს ამას, მაგრამ 11 გატანილიდან 7 თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან დარტყმულზე მოდის და ეს მაჩვენებელი ოდნავ აუფერულებს ალანიელი ფორვარდის შთამბეჭდავ შედეგიანობას. თუმცა პენალტის უზადოდ შესრულებასაც ოსტატობა რომ სჭირდება, საკამათო როდია. „როტორის“ აღიარებულმა გოლეადორმა ვერეტენიკოვმა მაჩაჩალა „უემჩუჟინასთან“ მატჩში თერთმეტმეტრიანის გამოუყენებლობის გამო ძალზედ საჭირო ორი ქულა დააკარგვინა საკუთარ გუნდს. წლეულს ვერეტენიკოვმა მესამედ ჩაიდინა ასეთი რამ...

გიორგი დემეტრაძემ კი წლევანდელ სეზონში უკვე მოასწრო რუსული ჩემპიონატის რეკორდის დამყარება. მის მიერ შვიდჯერ დარტყმულმა პენალტმა მიზანს მიაღწია.

აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ ხსენებული 7 თერთმეტმეტრიანიდან, ისევე, როგორც „შინიკთან“ შეხვედრაში, დემეტრაძემ 5 თავად დაიმსახურა.

მე-14 ტურში ორი მოსკოვური დერბი გაიმართა. გათამაშების ლიდერმა კრიზისში მყოფ „დინამოს“ უმასპინძლა. ყველასთვის მოულოდნელად, „სპარტაკი“ მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა და კინაღამ მეორე დამარცხებაც იწვნია. თუმცა რუსეთის ჩემპიონებმა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინეს და გაძევებული ხლესტოვის გარეშე დარჩენილებმა მაინც შეძლეს ქულის გადარჩენა.

მეორე დედექალაქური დერბი ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივის“ წაგებით დასრულდა. ზედიზედ ცხრა გამარჯვების შემდეგ რკინიგზელები ზედიზედ მეორედ დამარცხდნენ. ცსკა თავისი სელექციონერების მუშაობით აშკარად კმაყოფილი უნდა იყოს. პარასკევს არმიელებმა განაცხადში შეიყვანეს მოლდოველი ოლეგ შიშკინი, რომელსაც კარგა ხანს აკვირდებოდნენ. დებიუტანტი 70-ე წუთზე შევიდა მოედანზე და 2 წუთში გამარჯვების გოლიც გაიტანა...

შიშკინის თანამემამულის, ალექსანდრ კურტიანუს დებიუტიც იღბლიანი გამოდგა „ზენიტისთვის“. ფოფხაძისა და წიკლაურის „კრილიას“ მეორე ტაიმში 0:3-ით დასამარებას სწორედ კურტიანუმ დაუდო სათავე. 46-ე წუთიდან თამაშში ჩართულმა მოლდაველმა ლეგიონერმა შიშკინის დარად 2 წუთში მოახერხა გოლის გატანა და ანგარიშის გათანაბრება.

„კრილიას“ მთავარმა მწვრთნელმა პრესკონფერენციაზე, რა თქმა უნდა შედეგით უკმაყოფილება გამოთქვა, თუმცა ტარხანოვი კლუბის მომავალს ოპტიმისტურად უყურებს. სანკტპეტერბურგში სამარელები მეკარე კოშელევმა გააწბილა. ტარხანოვი კარგა ხანს ეძებდა ღირსეულ შემცვლელს. მართალია, კლუბის ხელმძღვანელობა ფინანსურ კრიზისს განიცდის, მაგრამ მწვრთნელის დაჟინებული მოთხოვნით, „კრილია“ ქართველი გოლკიპერით გაძლიერდა. ლაპარაკია ყოფილ თბილისის დინამოელ დავით გვარამაძეზე, რომელიც რიგის „სკონტოს“ საკუთრებაა.

რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, მე-14 ტურში კიდევ ერთი წარმატებული დებიუტის მოწმენი გავხდით. მოსკოვის „ტორპედოს“ რიგებში გამოჩნდა რუმინელი ლეგიონერი დრეგუში. სწორედ მისი მოედანზე შესვლის შემდეგ შეძლეს მასპინძლებმა შეხვედრის ბედის შემოტრიალება და ნიჟნი ნოვგოროდელთა დამარცხება. არადა, სტუმრები ორჯერ იყვნენ დაწინაურებულნი ამ მატჩში.

პრობლემები აქვს ბადრი სპანდერაშვილის „ჩერნომორეცს“. ნოვოროსიისკელებს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაუშავდათ. ამ ფაქტორმა გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია „ურალანის“ წინააღმდეგ შეხვედრაში. მასპინძლები მხოლოდ უგოლო ფრეს დასჯერდნენ.

ხვიჩა სანიკიძე

ბომბარდირები

დემეტრაძე (ალანია)	11
ტიხონოვი (სპარტაკი)	11
ვერეტენიკოვი (როტორი)	8
ტერიოხინი (დინამო)	7

სპარტაკი	17	12	4	1	35:11	40
ლოკომოტივი	14	9	2	3	28:14	29
ცსკა	14	8	5	1	25:10	29
ტორპედო	15	7	7	1	16:9	28
ალანია	14	7	3	4	28:17	24
როსტსელმაში	14	7	3	4	18:15	24
დინამო	14	6	3	5	25:23	21
ზენიტი	14	5	5	4	18:14	20
ნ. ნოვგოროდი	14	4	4	6	17:20	16
როტორი	14	4	3	7	18:22	15
ჩერნომორეცი	14	3	4	7	15:25	13
ურალანი	14	3	3	8	9:17	12
კრილია	15	3	3	9	18:28	12
სატურნი	15	3	3	9	12:25	12
შინიკი	14	2	6	6	9:20	12
ჟემჩუჟინა	14	0	6	8	7:28	6

შვედეთი

მე-13 ტური. კალმარი — გიოტებორგი 0:1

იორგრიტე	13	7	5	1	26:9	26
ჰელსინგბორგი	12	8	1	3	20:11	25
ჰალმსტადი	13	6	3	4	22:13	21
აიკ	12	6	3	3	19:10	21
კალმარი	13	6	2	5	17:19	20
ტრელებორგი	13	5	4	4	24:19	19
იორებრო	12	6	1	5	13:15	19
ფრიოლუნდა	12	5	3	4	15:17	18
გიოტებორგი	12	3	5	5	12:18	14
მალმიო	12	3	3	6	15:21	12
ელფსბორგი	13	3	3	7	19:26	12
დიურგარდენი	12	3	3	6	15:23	12
ჰამარბიუ	13	2	5	6	14:21	11
ნორჩიოპინგი	13	2	5	6	11:20	11

ნორვეგია

მე-14 ტური. ტრომსო — მოლდე 1:2, ბოდო გლიმტი — ვალერენგა 1:1, კონგსვინგერი — სტრომსგოდსეტი 2:4, მოსი — როსენბორგი 1:4, გრელანდი — ვიკინგი 1:3, სკეიდი — სტაბეკი 1:3

როსენბორგი	13	10	2	1	37:9	32
მოლდე	13	9	2	2	22:9	29
სტაბეკი	13	8	2	3	31:17	26
ბრანი	12	8	0	4	22:19	24
ლილესტრიომი	12	7	2	3	26:19	23
ტრომსო	13	6	2	5	33:23	20
გრელანდი	14	5	2	7	16:29	17
ვიკინგი	13	5	1	7	20:19	16
ბოდო გლიმტი	14	4	3	7	25:32	15
ვალერენგა	12	4	2	6	16:20	14
სტრომსგოდსეტი	13	4	1	8	21:32	13
სკეიდი	14	4	1	9	15:33	13
მოსი	14	4	0	10	20:32	12
კონგსვინგერი	12	3	0	9	16:27	9

გულისტკივილი

ტედი შერინგემი

ტედი შერინგემს ბოლოხანს მოსმენილი ქება-დიდებაც ვერ დაავიწყებს იმ გულისტკივილს „უდაბნოში“ გატარებულმა თვეებმა რომ შეჰყარა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდი გასულ, ისტორიულ, სეზონში მოედანს ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაშიღა დაუბრუნდა და როგორც ფეხბურთის ასოციაციის, ასევე ჩემპიონთა თასის ფინალში გოლები გაიტანა. მოკლედ, ყველაფერი ღიმილითა და მილოცვებით დამთავრდა, მაგრამ შერინგემს კარგად ახსოვს უსიამოვნო განცდა, ძირითადი შემადგენლობიდან დიდი ხნით გარიყვას რომ სჩვევია.

მართალია ტრავმებმა სერიოზულად შეუშალა ხელი, მაგრამ ჯანმრთელ შერინგემსაც სკამზე სვამდნენ, ხოლო მოედანზე მანჩესტერული ზეიმის შემომქმედი დუეტი, დუაიტ იორკი და ენდი კოული, ტრიალებდა. ვის არ ახსოვს გოლები, რომელმაც შერინგემი „ოლდ ტრეფორდის“ გმირად აქცია, მაგრამ იმ ჯადოსნურმა წუთებმა ამაოების თვეებს ვერაფრით უშველა.

შერინგემი აღიარებს: „გარდასული დღეები და მათი მოგონება არაფერს მარგებს. მე ეს ყველაფერი გავიარე და შეცვლა აღარაფრის შემიძლია. ფეხბურთელს თამაში უნდა და თუ არ ათამაშებენ ბედნიერი ვერ იქნება. ეს ძალიან მარტივი ლოგიკაა. არასდროს დამავიწყდება, როგორ არ შემიყვანეს „უიმბლდონთან“ თამაშის წინ 16 ფეხბურთელში. ასევე მწარედ მახსოვს ნახევარფინალური მატჩი „არსენალის“ წინააღმდეგ. იქაც ივივე მოხდა. როდესაც კაცი ჯანზე ხარ, დაფრინავ და ამ დროს მნიშვნელოვან შეხვედრებში არ გათამაშებენ, მერწმუნეთ, უდიდესი იმედგაცრუებაა. მოკლედ, გარდასული დღეები აღარავის სჭირდება. ისინი ჩემს მეხსიერებაშია. ეს არის და ეს“.

მიუხედავად სევდისა, 33 წლის თავდამსხმელს არც რეალობის გრძნობა ღალატობს და იცის, რომ „იუნაიტედის“ მაგვარი გუნდის მოთამაშეები მზად უნდა იყვნენ, როგორც თამაშისთვის, ასევე სათადარიგოთა სკამზე ჯდომისთვის.

„მგონი, უმაღლეს დონეზე მოთამაშე ხალხს ასეთ ცხოვრებასთან შეგუება მართებთ. „მანჩესტერ იუნაიტედი“ მომავალ სეზონში კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი გუნდის შეკრებას აპირებს და ამიტომაც, თუნდაც წარმატებულ ფეხბურთელებს, სკამზე სხდომისგან ვერავინ დააზღვევს. ამასობაში, გამარჯვებებს მოწყურებული სხვა გუნდები მიზნის მისაღწევად თავის საუკეთესო ფეხბურთელებს მოედანზე უშვებენ. ასეა თანამედროვე ფეხბურთში, ყველაფერი გუნდის ზომასა და ხარისხზეა დამოკიდებული“ — ამბობს შერინგემი.

„იუნაიტედის“ ფეხბურთის ასოციაციის თასთან განშორებამ გუნდის ფეხბურთელებს მოპოვებული ტიტულის დაცვის საშუალება მოუსპო, თუმცა შერინგემი არ მალავს, რომ გასული სეზონის ენითაუწერელი წარმატების განმეორება მეტისმეტად დიდი მოთხოვნაა:

„ვეჭვობ, გასული სეზონის მიღწევათა განმეორების ცდაც კი გამართლებული იყოს. ეს გუნდის ჯოჯოხეთისთვის განწირვის ტოლფასია. ტიტულებზე ხომ მაისის ბოლო კვირებამდე ლაპარაკიც არ ყოფილა. სხვათაშორის ამ თემაზე მხოლოდ გარეთ საუბრობენ, თავად კლუბში კი ყველას კარგად მოეხსენება, რომ ეს ჯოჯოხეთია. განა, თუნდაც, სეზონის დამთავრებამდე ერთი კვირით ადრე გამორიცხული იყო საერთოდ უტიტულოდ რომ დავრჩენილიყავით? ამიტომ, მომავალი წლის ბოლოზე ფიქრი და მისი დაგეგმვა შეცდომაა. ყველაფერი სტარტიდან უნდა დაიწყო და იმედი იქონიო, რომ ბოლოს მიზანს მიაღწევ. კიდევ, თუ გარეგანი გავლენის ქვეშ მოექცევი, საქმე აუტანელი გაგიხდება. ბუნებრივია ჩვენ გასულ სეზონთან შედარებით განგვსჯიან, მაგრამ თავად ვალდებული ვარ რეალიზმის გრძნობა არ დავკარგოთ. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ერთ-ერთი უდიდესი თვისებათაგანი ისიცაა, რომ მას სხვათა აზრი მანამდე არ აინტერესებს, სანამ ის იმდენად კონსტრუქციული არ გახდება, თავად კლუბში განხილვის საგნად რომ იქცეს“.

იან ქრუზი, ინგლისი
ჟურნალისტი



ტონი ბენქსი

ვინ აიძულა იმპერია? ვინ აიძულა ფერგი?

ბრიტანეთის სპორტის მინისტრი, ტონი ბენქსი ამბობს, რომ დედამიწაზე ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციისგან, ფიფასგან გაფრთხილება-მუქარა მიიღო: თუ „მანჩესტერ იუნაიტედი“ კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წავიდოდა, ინგლისს 2006 წლის ნაკრებთა პირველობის მასპინძლობაზე უარს ეტყოდნენ.

ბენქსის განცხადებით, ფიფას ჩინოვნიკებმა მას ისეთი სურათი დაუხატეს, რომ მიხვდა, 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობას საფრთხე ემუქრებოდა.

„ჩემმა კარგმა ნაცნობმა ფიფას დიდმოხელეებმა ყველაფერი ნათლად განმიმარტეს. ამიტომაც, იძულებული გავხდი საქმეს საგანგებო სერიოზულობით მოვკიდებოდი და ყველაფერი სხვადასხვა პარტიებისთვის გამეზიარებინა“. — ბრძანა მინისტრმა, მაგრამ დასძინა, რომ მისი მხრიდან საკუთრივ „მანჩესტერ იუნაიტედზე“ რაიმე ზეწოლა არ ყოფილა. „იუნაიტედი“ არავის დაუვალებია მსოფლიოს კლუბთა ჩემპიონატზე თამაშის გამო ფეხბურთის ასოციაციის თასისთვის უარი ეთქვა.

გასული სეზონის ტრიუმფატორებმა თავად განუცხადეს თანხმობა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას ასეთ ვარიანტზე.

მისტერ ბენქსმა თქვა: „ფაქტია, რომ კლუბთა მსოფლიოს პირველობაზე გამოსვლა, საბოლოოდ, თავად „მანჩესტერ იუნაიტედმა“ გადაწყვიტა. იდეა, რომელიც პირადად მე შევთავაზე ძალიან საინტერესო იყო. ვიმედოვნებ, ქეყნის პრემიერ მინისტრი ტონი ბლერი ხვდება, რამდენად გავლენიანი კაცი ვარ როგორც ეროვნულ, ასევე მსოფლიო ფეხბურთში“.

ამ ისტორიის შესახებ „იუნაიტედის“ მწვრთნელმა, ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ მთავრობამ მას ფაქტობრივად არჩევანი არ დაუტოვა. მას „დიახ“ უნდა ეთქვა:

„გადაწყვეტილებემდე ხელისუფლებისგან დიდი ზეწოლა განიცადეთ. დღეს „მანჩესტერ იუნაიტედის“ გაკრიტიკება ყველასთვის იოლია, მაგრამ სპორტის მინისტრის, მისტერ ტონი ბენქსის წერილი რომ წაგეკითხათ, მიხვდებოდით, რომ იქ ფაქტობრივად ეს ეწერა: თქვენ უნდა წახვიდეთ. მერწმუნეთ, ძალიან მინდოდა ასოციაციის თასზე დავრჩენილიყავით და ტიტული დაგვეცვა, მაგრამ მთავრობამ ბრაზილიაში წასვლა გვაიძულა. მთავრობა ხომ მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის იბრძვის. მოკლედ, მსოფლიოს ჩემპიონატი რომ არა, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ბრაზილიაში არ წავიდოდა. აი, ასე მარტივად არის საქმე“.

მანჩინიც ლონდონში?

ლონდონის „ჩელსის“ მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ ერთ დროს სამპდორიელი თანაკლუბელი რობერტო მანჩინი გაისად ბრიტანულ კლუბში სათამაშოდ მიიპატიჟა. ასეთი განცხადება გაავრცელა ორშაბათს იტალიურმა გაზეთმა „კორიერე დელო სპორტმა“.

მანჩინის ახლანდელმა კლუბმა რომის „ლაციომ“ 34 წლის ფეხბურთელს მომავალ სეზონში მწვრთნელის თანამდებობა შესთავაზა, თუმცა ფეხბურთელის აზრი ამის შესახებ უცნობია.

— არ მინდა, გუნდს პრობლემები შევუქმნა. თუ ფეხბურთელი ჩვენთან გადმოსვლას გადაწყვეტს, კეთილი, თუ არა და თავისი საქმის თავად იცის — თქვა ჯანლუკა ვიალიმ და დასძინა — თუ მანჩინი იტალიაში თამაშს აღარ ისურვებს, მინდა, მან იცოდეს, რომ „ჩელსიში“ მისთვის ადგილი იქნება.

ვიალიმ, რომელიც ბოლო წელიწადნახევრის მანძილზე „ჩელსის“ მოთამაშე-მწვრთნელი იყო, ამ რამდენიმე ხნის წინ განაცხადა, რომ ფეხბურთელობას თავი დაანება და ამიერიდან მხოლოდ გუნდს გაწვრთნის.

ფრანგეგის საყვარელი სპორტსმენი

საფრანგეთის ყველაზე პოპულარული სპორტული მოღვაწე ეროვნული გუნდის მეკარე, ფაბიენ ბარტეზი, ყოფილა. გამოკითხვაში მან მეორე ადგილზე თანაგუნდელი ზინედინ ზიდანი მოიტოვა.

საკვირაო გაზეთის „ჟურნალ დიუ დიმანშის“ გამოკითხულმა მილიონ ცამეტმა ათასმა ადამიანმა გამორჩეული 15 სპორტსმენიდან მესამე ადგილზე აფროსანი ქალი ფლორენს არტო დაასახელა.

შედეგები ადგილების მიხედვით ასე განაწილდა: „მონაკოს“ ხოტორა მეკარემ ხმათა 56,7 პროცენტი მიიღო, ზიდანმა 52,5, ხოლო არტომ 38,6 პროცენტი.

ზედა ათეულში მოხვდა ხუთი ფეხბურთელი (ბუნებრივია, მსოფლიოს ჩემპიონი): ლორან ბლანი, დიდიე დეშამპი, ემანუელ პეტი და ის ორი, ზევით რომ ვახსენეთ.

საინტერესოა, რომ ინლისში ასე პოპულაული დავიდ ჟინოლა, რომელიც ეროვნული გუნდის მწვრთნელს, ემე ჯაკეს, შერისხული ჰყავდა, მე-12 ადგილზე გავიდა.

ათეულში შევიდნენ: ძიუდოისტი დავიდ დუიე, აფროსანი იზაბელ ოტისიე, ფორმულა 1-ის მრბოლი ჟან ალეზი



და სპრინტერი მარი-ჟოზე პერეკი.

დოპინგ სკანდალმა 30-ე ადგილზე დასწია ათეულის უეჭველი კანდიდატი, ველოსიპედისტი რიშარ ვირანკი.

ცოტას თუ წავიჭორავებთ, იმის თქმაც შეიძლება, რომ ბარტეზის პოპულარობა მარტო მისი მეკარეობით არ არის განპირობებული. ის ცნობილი მექალთანეა. ამბობენ, რომ მონაკოს პრინცესა სტეფანიას შვილის მამა სწორედ იგია, ხოლო ახლა ტოპ-მოდელ ლინდა ევანჯელისტასთან მეგობრობს.

ფეხბურთის რუკასთან

ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა პიერ ვან ჰოიდონკმა, თავის ყოფილ გუნდს, „ნოტინგემ ფორესტს“, ლანძღვის მორიგი ეტაპი დაატეხა თავს. ამჯერად ფეხბურთელმა კლუბს „საზიზღრად სამოყვარულო“ უწოდა. მოგეხსენებათ, ჰოიდონკი ერთი კვირის წინ „ნოინგემ ფორესტიდან“ ჰოლანდიურ „ვიტესში“ გადავიდა და ახლა მშვიდადაა. „ფორესტის“ შემადგენლობაში ჰოლანდიის რომელიმე გუნდის წინააღმდეგ რომ მომწეოდა გამოსვლა, შემრცხვებოდა“ — განაცხადა თავდამსხმელმა — „ნოტინგემში გადასვლა ჩემი ცხოვრების უდიდესი შეცდომა იყო“. პიერ ვან ჰოიდონკმა „ნოტინგემ ფორესტის“ შემადგენლობაში ორი უსიამოვნო სეზონი გაატარა, ხოლო შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, როდესაც გუნდში დაბრუნებას სამი თვის განმავლობაში ჯიუტობდა, ნოტინგემელებმა სატრანსფერო სიაში შეიყვანეს.

ინლისის ვიცე-ჩემპიონის, ლონდონის „არსენალის“ ვეტერანი მცველი, სტივ ბოულდი, „სანდერლენდში“ გადავიდა. გარიგების თანხაზე საზოგადოებრიობისთვის არაფერია ცნობილი. ამრიგად, მეთოფეებს ეგრეთწოდებული „ცნობილი ხუთეული“ დაერღვათ. „ცნობილ ხუთეულს“ წლობით შეზრდილ მცველებს: ბოულდს, ტონი ადამსს, ლი დიქსონს, ნაიჯელ უინტერბერნს და მარკ კიოუნს უწოდებდნენ. ბოულდის სხვა გუნდში გადასავლის გამო „არსენალმა“ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომელშიც 36 წლის ამაგდარს, მეთოფეებს 11 წლის განმავლობაში რომ უერთგულა, მადლობა უძღვნა. ბოულდის „არსენალიდან“ წასვლა ზედ მიჰყვა ბრაზილიური „კორინთიანსიდან“ ასევე მცველის სილვნოის შეძენას. „სანდერლენდმა“, რომელიც პრემიერლიგას ახლა შეუერთდა, ვეტერანს ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

ხორვატი თავდამსხმელი, რობერტ სპეჰარი საფრანგეთის ჩემპიონატში მოთამაშე „მონაკოდან“ იტალიური სერია A-ს „ვერონას“ შეუერთდა. სპეჰ არის ახალი კონტრაქტი სამწლიანი გახლავთ. „მონაკომდე“ ფორვარდი „ბრიუგეში“ გამოდიოდა, სადაც ბელგიის ჩემპიონატის 50 თამაშში 41 გოლი შეაგდო. „მონაკოში“ 1994 წელს გადასულმა სპეჰარმა გასული სეზონი უპირატესად სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

ესპანური „მალიორკა“ არგენტინაში დაეძებს ხეირიან ფეხბურთელებს. მას თვალი „არგენტინოს ხუნიორსის“ თავდამსხმელისთვის, ხორხე კინტეროსისთვის დაუდგამს და უკვე გაუხერხებია კიდეც მასთან ხუთწლიანი ხელშეკრულება. საგულისხმოა, რომ კინტეროსს არგენტინულის გარდა იტალიური პასპორტიც უდევს ჯიბეში, რაც მალიორკელებს ევროკავშირულ-ბოსმანური კანონების ლაბირინთში თუ გაკვლევინებს გზას. კინტეროსის გაყიდვამ „არგენტინოს ხუნიორსს“ 3 მილიონი დოლარი შემატა. აღსანიშნავია, რომ კუნძულის გუნდს არგენტინელ-იტალიელი მოთამაშე ივნისში 15,5 მილიონ დოლარად „ბარსელონაში“ გაყიდული დანი გარსიას შემცვლელად უნდა და თუ გამოადგა სარფშიც დარჩება. კინტეროსის შესახებ კიდევ იმის თქმა შეგვიძლია, რომ იგი 25 წლისა გახლავთ და ევროპაში, კერძოდ იტალიურ „პადოვაში“ ადრეც უცდია ბედი. მაშინ ფეხბურთელს დიდად არ გაუმართლა, ახლა კი უკეთესი მომავლის იმედადაა. „მალიორკას“ ოფისიდან გამოსული ხმების თანახმად, კლუბი კიდევ ერთ საქმეს აგვარებს არგენტინაში. მისი მიზანი „რივერ პლეიტიდან“ ხერმან ბურგოსის გადაბირებაა. ბურგოსი, მოგეხსენებათ, მეკარეა, რომელიც მალიორკელებს მორწმუნეობის გამო ფეხბურთიდან წასული კარლოს როას მაგივრად სურთ.

ინგლისურმა „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ განაცხადა, რომ „უიმბლდონისგან“ 6,31 მილიონ დოლარად ცენტრალური მცველი, კრის პერი შეიძინა. „ისეთ დიდ კლუბში თამაში, როგორიც „სპურზი“ გახლავთ ჩემი კარიერისთვის ფანტასტიკური შესაძლებლობაა“ — განაცხადა 26 წლის მოთამაშემ, რომლის სანაკრებო შანსები, „ტოტენჰემში“ სოლ კემპბელის მხარდამხარ თამაშ-თამაშ, შეიძლება ერთიორად გაიზარდოს. დღეს, ყველაფერი სამედიცინო შემოწმებაზეღაა დამოკიდებული.

ინგლისში ერთი მნიშვნელოვანი ტრანსფერი განხორციელდა — ლონდონის „ჩელსიმ“ მრისხანე თავდამსხმელი კრის სატონი შეიძინა. „ჩელსიმ“, რომელსაც იტალიელი ფეხბურთელყოფილი ჯანლუკა ვიალი წვრთნის, მოთამაშესთან ექვსწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სატონი აქამდე „ბლეკბერნში“ თამაშობდა.

პირველი მეშვიდე

ამ მაისურას „მილანის“ თავკაცობა ნომერსაც მალე შეურჩევს

ეს მარტში იყო. თბილისის აეროპორტში ხალხმრავლობა შეიმჩნეოდა. უკრაინის ეროვნული ნაკრების ლაინერი ქართულ მიწაზე დაეშვა და ფეხბურთელებმაც ნელ-ნელა იწყეს ტრაპზე გადმოსვლა. აი, შევჩენკო! — გაისმა ხმა. კიევის „დინამოს“ 22 წლის ფორვარდი უმალ მოექცა ჟურნალისტთა გარემოცვაში. ძალიან სიტყა-ძუნწი კაცის შთაბეჭდილება დატოვა, ინტერვიუზე ყველას თავაზიანად უთხრა უარი. დანარჩენები კი ენაწყლიანობდნენ. შევჩენკოს საქციელმა, ცოტა არ იყოს, გაგვაკვირვა. თუმცა სულ რაღაც 10 წუთში ყველაფერი ნათელი გახდა. იმ მომენტში ფეხბურთის უკრაინელი ვარსკვლავი მხოლოდ ერთზე — ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტთა კენჭისყრაზე ფიქრობდა, შინაგანადაც ძალიან ნერვიულობდა. მას მობილური ტელეფონი მოემარჯვებინა და წამდაუწუმ სადღაც რეკავდა. „ბავარია?!“ — აღმოხდა უცებ. აშკარად არ ესიამოვნა მიუნხენის „ბაიერნის“ მეტოქეობა. უკრაინელებმა სწორედ თბილისის აეროპორტში შეიტყვეს კენჭისყრის შედეგები.

„შერატონ მეტეხის“ ფოიეში კი სულ სხვა შევჩენკო ვიხილეთ. ბავშვურ სახეზე მღელვარება აღარ ეტყობოდა. ჟურნალისტებთანაც გაბა ბასი და სასტუმროს ნომერში გაუჩინარდა.

თითქოს რა ჰქონდა სანერვიულო. მისმა გუნდმა ხომ ისედაც ბევრს მიაღწია, თავადაც თითქმის სახელგანთქმული „მილანის“ წევრად ითვლებოდა. იმ კლუბისა, რომელიც ბავშვობის სანუკვარ ოცნებად მიაჩნდა. მაგრამ არა. 22 წლის ანდრე შევჩენკო პროფესიონალია. მისთვის არ არსებობს მიღწეულით დაკმაყოფილების სინდრომი, მისთვის უცხოა ეიფორია. შევჩენკო მთელი სულით და გულით თამაშობდა „დინამოში“, მიუხედავად იმ აჟიოტაჟისა, რაც მისი მილანური კლუბით დაინტერესებას სდევდა თან. შევჩენკო მხოლოდ ლობანოვსკის გუნდით ცხოვრობდა. დინამოელი იყო მანამ, სანამ ოფიციალურ ცერემონიაზე „მილანის“ მაისურას გადასცემდნენ. სწორედ ეს არის ამ ფეხბურთელის წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. იტალიელები დაახლოებით ერთი წელია, ეკურკურებოდნენ. მოსვენებას არ აძლევდნენ ჟურნალისტებიც. შევჩენკო კი მშვიდად აღიქვამდა ყოველივეს. ისე ეჭირა თავი, თითქოს განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა. არადა, საუბარი იყო ისეთ ტრანსფერზე, რომელიც მეშვიდე აღმოჩნდა ყველა დროის უმსხვილეს ტრანსფერთა შორის. საქმე ეხებოდა ფეხბურთელს, რომელიც ყველაზე ძვირად ღირებული გახდა ხმელეთის ერთ მეექვსედზე. საბჭოთა კავშირის ყოფილი სივრცედან ჯერ არც ერთ ფეხბურთელს არ ღირსებია ამგვარი პატივი. კიეველი ანდრეი შევჩენკოს სანაცვლოდ 25 მილიონი დოლარი გაიღო ევროპული გრანდის, იტალიური „მილანის“ პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ.

ზამთარში კიევის „დინამო“ იტალიურ შეკრებაზე იმყოფებოდა. ლობანოვსკის შეგირდები „სან სიროს“ სტადიონზე გაეჯიბრნენ „მილანს“, რომლის ფანებმაც შეხვედრის დროს პლაკატები გამოფინეს ტრიბუნაზე. „ალერსით მიგიღებთ, ანდრეი!“ — ეწერა ერთ-ერთ მათგანზე. შინ დაბრუნებულ „დინამოს“ ქომაგები შეეგებნენ. „ხელები შორს შევჩენკოსგან!“ — მუქარანარევი ლოზუნგი დაახვედრეს გულშემატკივრებმა კიევური გუნდის პრეზიდენტ გრიგორი სურკისს. ამან, ცოტა არ იყოს, შეაშინა სურკისი. „დინამოს“ ფანები შევჩენკოს გაყიდვის შემთხვევაში უწესრიგობითა და აყალმაყალით იმუქრებოდნენ. სურკისი „მილანის“ ხელმძღვანელობას დაუკავშირდა და სთხოვა, იქნებ უკრაინის ჩემპიონატის დამთავრებამდე ამ ტრანსფერის ოფიციალურ მხარეზე ხმამაღლა არ ვისაუბროთო. მოლაპარაკებები თითქმის საიდუმლო ვითარებაში გაგრძელდა. ერთი კვირის წინ სურკისს კვლავ მოუხდა „დინამოს“ ქომაგებთან დაპირისპირება. კლუბის პრეზიდენტმა ისინი დაამშვიდა — არაა გამორიცხული, შევჩენკო კიდევ ნახევარი წლით ჩვენთან დარჩესო.

იტალიის ჩემპიონის მესვეურები — გაგებით მოეკიდნენ სურკისის შეშფოთებას. მილანელებს კარგად ახსოვდათ, რა ამბები მოჰყვა თავის დროზე მათ მიერ „ტორინოს“ ფეხბურთელის, ჯანლუიჯი ლენტინის გადმობირებას. ტურინელმა ქომაგებმა მაშინ იმ ტრანსფერის გამო ანტიმილანური გამოსვლები მოაწყვეს.

ყველაფერ ამის გათვალისწინებით, შევჩენკოს იტალიაში ჩასვლა ყოველგვარი ცერემონიის გარეშე მოხდა. მილანის აეროპორტში შევჩენკოს გამოჩენას მხოლოდ ერთი აპენინელი ჟურნალისტი დაესწრო. უკრაინელ ვარსკვლავს „მილანის“ ქართველი სელექციონელი რეზო ჭოხონელიძე მეგზურობდა. სწორედ ჭოხონელიძეს უკავშირდება ყველა ის ფეხბურთელი პოსტსაბჭოური სივრციდან, ვისაც იტალიაში კარიერის გაგრძელება სურს.

არავის შეუნიშნავს სასტუმრო „ჯოლ ოტელის“ კარიდან გამოსული შევჩენკო. ყველაფერი სურკისის გასაიდუმლოებული გეგმით ხდებოდა. ერთადერთი შემთხვევა, რომელიც ხმაურიან ატმოსფეროში მოხდა, იყო უკრაინელი ვარსკვლავის პატივსაცემად მოწყობილი საზეიმო სადილი. „მილანმა“ სასტუმრო „პრინჩიპე დი სავოიას“ საბანკეტო დარბაზში გამართა წვეულება. სადილზე დაპატიჟეს მხოლოდ რამდენიმე ჟურნალისტი. კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ შევჩენკო რონალდოს, ვიერისა და ამოროზოს შეადარა. ის ბევრით არ ჩამორჩება ამ ფეხბურთელებს. „ინტერმა“ ორჯერ მეტი გადაიხადა ვიერის სანაცვლოდ. ამოროზო 35 მილიონი დოლარი დაუჯდა „პარმას“. ჩათვალეთ, რომ ჩვენც ჩინებულ საქმეს მოვაბით თავი“ — განაცხადა გალიანიმ.

შევჩენკოსა და სურკისს სილვიო ბერლუსკონიმაც უმასპინძლა საზეიმო ვითარებაში. გალიანი კიეველ თავდამსხმელს „მილანისთვის“ ლიბერიელი ვარსკლავის, ჯორჯ ვეას ღირსეულ შემცვლელად მიიჩნევს და თვლის, რომ მისი და ოლივერ ბირჰოფის დუეტი იდეალური იქნება. ამ შეხედულებას იტალიელი ფეხბურთის სპეციალისტებიც იზიარებენ. უსწრაფესი შევჩენკო და პოზიციის ზუსტად შერჩევის უნარის მქონე ბირჰოფი საუცხოო წყვილი იქნება შეტევაში — აცხადებენ ისინი.

შევჩენკოს ფეხები, ბირჰოფის თავი, ბობანის თვალები — ასეთი ფორმულით ახასიათებენ საგაისოდ „მილანის“ შემტევ ძალას.

პარასკევს ეს ტრანსფერი ოფიციალურად გაფორმდა. 22 წლის შევჩენკომ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. უკრაინელი ვარსკვლავი დღეში ოთხ საათს ანდომებს იტალიური ენის შესწავლას.

„მილანის“ მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი ფეხბურთელისგან სასწაულს არ ელის. იგი მზადაა, მშვიდად დაელოდოს შევჩენკოს ადაპტაციას ისეთ რთულ და ძლიერ ჩემპიონატში, როგორიცაა სერია A.

ამჟამად შევჩენკო იტალიის ჩემპიონთან ერთად კუნძულ სარდინიაზე იმყოფება შეკრებაზე.

ხვიჩა სანიკიძე

უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ყველაზე ძვირადღირებულ ტრანსფერთა სია, რომელშიც ანდრეი შევჩენკო მე-7 ადგილზე იმყოფება. სიას კი რომის „ლაციოდან“ მილანის „ინტერში“ ახლახან 50 მილიონ დოლარად გადაბარგებული იტალიელი კრისტიან ვიერი ლიდერობს.

კრისტიან ვიერი	1999	ლაციო	ინტერი	50	მილიონი
დენილსონი	1997	სან პაულუ	ბეტისი	35	მილიონი
მარსიო ამოროზო	1999	უდინეზე	პარმა	35	მილიონი
კრისტიან ვიერი	1998	ატლეტიკო	ლაციო	28	მილიონი
რონალდო	1997	ბარსელონა	ინტერი	27.9	მილიონი
რივალდო	1997	დეპორტივო	ბარსელონა	26.7	მილიონი
ანდრეი შევჩენკო	1999	დინამო კიევი	მილანი	25	მილიონი
ალან შირერი	1996	ბლექბერნი	ნიუკასლი	23.3	მილიონი
ჯანლუიჯი ლენტინი	1992	ტორინო	მილანი	21.5	მილიონი
დუაიტ იორკი	1998	ასტონ ვილა	მანჩესტერი	20.5	მილიონი
რონალდო	1996	პსვ ეინდჰოვენი	ბარსელონა	20	მილიონი
იან სტამი	1998	პსვ ეინდჰოვენი	მანჩესტერი	20	მილიონი
მარსელო სალასი	1998	რივერ პლეიტი	ლაციო	19.7	მილიონი
ხუან სებასტიან ვერონი	1998	სამპდორია	პარმა	19.7	მილიონი
ჯანლუკა ვიალი	1992	სამპდორია	იუვენტუსი	19.6	მილიონი
კრისტიან ვიერი	1997	იუვენტუსი	ატლეტიკო	19.3	მილიონი
ჟუნინიო	1997	მიდლსბრო	ატლეტიკო	19.3	მილიონი
სონი ანდერსონი	1997	მონაკო	ბარსელონა	19.3	მილიონი
ივან დე ლა პენია	1998	ბარსელონა	ლაციო	17	მილიონი
ენრიკო კიეზა	1996	სამპდორია	პარმა	15	მილიონი
ოლივერ ბირჰოფი	1998	უდინეზე	მილანი	14.1	მილიონი
დეიან სტანკოვიჩი	1998	ცრვენა ზვეზდა	ლაციო	14	მილიონი
იორგ ჰაინრიხი	1999	დორტმუნდი	ფიორენტინა	13.7	მილიონი
რობერტო ბაჯო	1990	ფიორენტინა	იუვენტუსი	13	მილიონი
სინიშა მიხაილოვიჩი	1998	სამპდორია	ლაციო	12.4	მილიონი
რონალდ დე ბური	1999	აიაქსი	ბარსელონა	11	მილიონი
ფრენკ დე ბური	1999	აიაქსი	ბარსელონა	11	მილიონი

ინტერტოტოს თასი. მეორე ეტაპი

პირველი მატჩები — 3-4 ივლისი

INTERTOTO CUP

პერუჯა (იტალია) 1:0 პობედა (მაკედონია)
1:0 რაბაიჩი (59)

არარატი (სომხეთი) 0:2 სენტ ტრუიდენი (ბელგია)
0:1 ფიერსი (17), 0:2 დირიკსი (41)

ბაზელი (შვეიცარია) 0:0 ბობი (ბრნო, ჩეხეთი)

ჩაჰლაული (რუმინეთი) 2:1 იედინსტვო (ბოსნია)
0:1 დიუმოვიჩი (34), 1:1 იონესკუ (48), 2:1 გროცავუ (66)

ცემენტარნიცა (მაკედონია) 1:1 როსტსელმაში (რუსეთი)
1:0 სავოვი (6), 1:1 მაციურა (35)

იოკერიტი (ფინეთი) 2:1 ფლორიანა (მალტა)
1:0 სუმიალა (35), 2:0 ჰიუკა (54), 2:1 ობა (69)

ყარაბახი (აზერბაიჯანი) 0:3 მონპელიე (საფრანგეთი)
0:1 სილვესტრი (20), 0:2 დელეი (35), 0:3 მაულია (42)

კოპენჰაგენი (დანია) 0:3 პოლონია (პოლონეთი)
0:1 კალიშანი (65), 0:2 გოლაშევსკი (72), 0:3 ბოლატი (80)

ვენტსპილსი (ლატვია) 1:1 ქოჯაელისფორი (თურქეთი)
1:0 ვდოვენკსი (50), 1:1 დირლიკი (86)

ჰამარბიუ (შვედეთი) 4:0 გომელი (ბელარუსი)
1:0 ანდერსონი (12), 2:0 ფურთი (53), 3:0, 4:0 ბერგრენი (74, 75)

ლოკერენი (ბელგია) 3:1 აპრანესი (ისლანდია)
1:0 ნიკჩევიჩი (40), 1:1 მატიანე (62), 2:1 სტალენსი (79), 3:1 ნიკჩევიჩი (86)

ჟილინა (სლოვაკეთი) 2:1 მეცი (საფრანგეთი)
1:0 რეიტერი (20), 2:0 რენტალი (45), 2:1 საჰა (68)

დუისბურგი (გერმანია) 2:0 ნური თაუნი (ჩრდ. ირლანდია)
1:0 სპიესი (50), 2:0 ბაიერლე (74)

ქსამაქსი (შვეიცარია) 0:2 ვაშაში (უნგრეთი)
0:1 არანიოში (21), 0:2 სილვესტერი (30)

რუდარი (სლოვენია) 1:2 ლუსტენაუ (ავსტრია)
0:1, 0:2 რეგტოპი (15, 37), 1:2 კრიეანიჩი (89)

ბრანი (ნორვეგია) 3:0 ვარტექსი (ხორვატია)
1:0, 2:0 ჰელანდი (2, 78), 3:0 ჰანსტვეიტი (87)

საპასუხო მატჩები 10-11 ივლისს გაიმართება

სად ჩატარდება ლიგის ფინალი?

ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის ფინალური მატჩების ჩატარების ადგილი ამიერიდან ერთი წლით ადრე დასახელდება — განაცხადა უეფამ.

„გადაწყდა, რომ ფინალთა მასპინძელ სტადიონებს ორწლიანი სისტემით განვსაზღვრავთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ორის ვინაობა წინასწარვე გვეცოდინება“ — უთხრა ჟურნალისტებს ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა აღმასრულებელი კომიტეტის ორდღიანი სხდომების შემდეგ — „ 2001 წლის ბოლოსთვის მომავალი ფინალების მასპინძელ ქალაქებს დავასახელებთ და იქვე შემდეგი გათამაშებისასაც ვიტყვით“.

აიგნერმა განმარტა, რომ ამ გზით ყოველი მომდევნო წლის მასპინძელი წინა ფინალის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში მიიღებს მონაწილეობას და გამორიცხება ის, რაც აქამდე ხდებოდა: ყოველ წელიწადს ახალ ქალაქს ერთი და იმავე საკითხების ახსნა და მოგვარება ჭირდებოდა.

გარდა ამისა, აღმასკომმა ჩამოაყალიბა შესაბამისი საკითხების მოგვარების მრჩეველთა კომიტეტი. ეს კომიტეტი უეფასთან ერთად როგორც ჩემპიონთა ლიგის, ასევე უეფას თასის პრობლემებზე იმუშავებს. კომიტეტში ავტორიტეტის გამო შევიდნენ „მანჩესტერ იუნაიტედი“, „იუვენტუსი“, „ბარსელონა“, „აიაქსი“ და „ბორდო“, ხოლო „პორტუ“, „სპარტაკი“ და „ოლიმპიაკოსი“ მათ იმიტომ შეუერთდნენ, რომ რეიტინგში 7-15 ადგილებზე იყვნენ,

გარდა ამისა უეფა შეჯიბრებებში დოპინგ-კონტროლის გამკაცრებას და გაზშირებას აპირებს.

გამოცხადდა ისიც, რომ ტელეშემოსავლის და სპონსორთა მოღვაწეობის ზრდის შედეგად ჩემპიონთა თასის მომავალი გათამაშება 527,7 მილიონ დოლარს მოიტანს. ამ თანხის დაახლოებით 75 პროცენტი 32 მონაწილე კლუბს გაუნაწილდება.

უეფას განცხადებაში წერია, რომ 19,12 მილიონი დოლარი მისი წევრი ქვეყნების ლიგებს დაეყოფა.

უეფამ გადაწყვიტა

უეფას გადაწყვეტილებით, ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ერთი შესარჩევი მატჩის შედეგი შეიცვალა — ირლანდიას მაკედონიასთან 3:0 მოგება ჩაეთვალა.

8 ივნისს, ირლანდიის ქალაქ გელვეიში, მასპინძელთა და მაკედონიის ახალგაზრდული გუნდების დაპირისპირება ფრედ 0:0 დასრულდა, თუმცა ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ დაადგინა, რომ მაკედონიელებს ისეთი მოთამაშე გამოუყვანიათ, რომელსაც მატჩში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა. ფაქტი, ცხადია, უმალ ეცნობა უეფას და ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს შესაბამისი რეაქციაც მოჰყვა.

უეფას განცხადებით, მაკედონიის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი ილირ ელმაზოვსკი სამი შეხვედრით იყო დისკვალიფიცირებული, თუმცა ირლანდიაში მხოლოდ ერთი მატჩის გამოტოვების შემდეგ ითამაშა.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ავსტრიის ჩემპიონატი. II ტური

6.07	აუსტრია — ზალცბურგი	1,8	2,9	4,2
7.07	ლუსტენაუ — ლინცერი	3,0	2,9	2,2
	რაპიდი — ბრეგენცი	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
	რიდი — გრაცერი	3,0	2,9	2,2
	შტურმი — ტიროლი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,1	3,0	2,3

შვეიცარიის ჩემპიონატი. I ტური

7.07	დელემონი — სერვეტი	3,4	2,9	2,0
	გრასჰოპერი — ლოზანა	1,7	3,0	4,7
	ლუგანო — ბაზელი	2,3	2,8	2,9
	ქსამაქსი — აარაუ	1,7	3,0	4,7
	სტ. გალენი — ლუცერნი	1,9	2,9	3,6
	ივერდონი — ციურიხი	3,6	2,9	1,9

რუსეთის ჩემპიონატი. XV ტური

7.07	სატურნი — ტორპედო	3,6	2,9	1,9
	ჟემჩუჟინა — როსტსელმაში	2,5	2,9	2,5
	ლოკომოტივი — როტორი	1,6	3,0	5,6
	დინამო — ცსკა	3,1	2,8	2,2
	კრილია — სპარტაკი	5,0	3,2	1,6
	ალანია — ზენიტი	1,8	2,9	4,2
	ურალანი — შინიკი	1,9	2,8	3,8
	ჩერნომორეცი — ნ. ნოვგოროდი	2,0	2,8	3,5

შვედეთის ჩემპიონატი. XIII ტური

6.07	მალმიო — ჰელსინგბორგი	3,2	2,9	2,1

ნორვეგიის ჩემპიონატი. გადადებული მატჩები

7.07	ვალერენგა — ტრომსო	2,1	2,9	3,2
	ლილესტრიომი — კონგსვინგერი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,2	2,8
	სტაბეკი — სტრომგოდსეტი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	ვიკინგი — მოლდე	2,8	2,9	2,3
	რუსენბორგი — ბრანი	1,35	3,8	7,0
	0:1	2,0	3,0	2,4

კოპა ამერიკა. III ტური

6.07	მექსიკა — ვენესუელა			
	ბრაზილია — ჩილე			
7.07	კოლუმბია — ეკვადორი			
	არგენტინა — ურუგვაი			

კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით

ქვეყნის ჩემპიონატები

გერმანია		**საბერძნეთი**	
ბაიერნი	1,3	ოლიმპიაკოსი	2,0
დორტმუნდი	4,0	პანათინაიკოსი	2,0
ლევერკუზენი	5,0	აეკ	3,0
კაიზერსლაუტერნი	6,0	პაოკ	8,0
ჰერტა	8,0	**ჩეხეთი**	
ინგლისი		სპარტა	1,6
მანჩესტერი	1,4	სლავია	2,3
არსენალი	3,5	სიგმა	8,0
ჩელსი	4,0	ტეპლიტე	8,0
ლივერპული	6,0	ბანიკი	8,0
ლიდსი	8,0	**პოლონეთი**	
საფრანგეთი		ვისლა	1,5
მარსელი	2,0	ლეგია	2,5
ბორდო	3,0	ვიძევი	4,0
მონაკო	3,0	ლეხი	8,0
პსჟ	4,0	პოლონია	8,0
ლიონი	6,0	**უკრაინა**	
ნანტი	8,0	დინამო კიევი	1,1
ლანსი	8,0	შახტიორი	6,0
იტალია		კარპატი	8,0
მილანი	2,5	ტავრია	8,0
ინტერი	2,5	**თურქეთი**	
იუვენტუსი	3,0	გალათასარაი	1,4
ლაციო	3,0	ფერენბაჰჩე	3,0
პარმა	5,0	ბეშიქთაში	5,0
ფიორენტინა	7,0	ტრაბზონი	7,0
რომა	8,0	**შოტლანდია**	
ესპანეთი		რეინჯერსი	1,6
ბარსელონა	1,6	სელტიკი	2,3
რეალი	2,3	**ავსტრია**	
ვალენსია	5,0	რაპიდი	1,8
ატლეტიკო	7,0	შტურმი	2,0
დეპორტივო	8,0	ზალცბურგი	4,0
სელტა	8,0	აუსტრია	5,0
ბილბაო	8,0	გრაცერი	8,0
მალიორკა	8,0	**შვეიცარია**	
სოსიედადი	8,0	გრასჰოპერი	1,8
პორტუგალია		სერვეტი	3,0
პორტუ	1,7	ციურიხი	4,0
ბენფიკა	2,5	ლოზანა	5,0
სპორტინგი	4,0	**დანია**	
ბოავიშტა	8,0	ბრონდბიუ	2,0
ჰოლანდია		კოპენჰაგენი	3,0
აიაქსი	2,0	ოლბორგი	3,0
ფეიენოორდი	2,5	სილკებორგი	5,0
ეინდჰოვენი	2,5	აკდემიკსი	5,0
ბელგია			
ბრიუგე	2,2		
ანდერლეხტი	2,2		
გენკი	3,0		
სტანდარდი	8,0		

ჩემპიონთა თასი

CHAMPIONS LEAGUE

რომელი გუნდი გაიმარჯვებს	
მანჩესტერი	2,5
მილანი	2,5
ბარსელონა	2,5
ლაციო	4,0
ფიორენტინა	5,0
პარმა	5,0
ბაიერნი	5,0
რეალი	6,0
არსენალი	7,0
ჩელსი	7,0
დორტმუნდი	10,0
ლევერკუზენი	10,0
მარსელი	10,0
ბორდო	10,0
ვალენსია	10,0
მალიორკა	15,0
ჰერტა	15,0
ლიონი	15,0
ფეიენოორდი	15,0
ეინდჰოვენი	15,0
პორტუ	15,0
დინამო (კიევი)	15,0
სპარტაკი	25,0
რუსენბორგი	25,0
კროაცია	25,0
პარტიზანი	25,0
გენკი	25,0
ოლიმპიაკოსი	50,0
აეკ	50,0
გალათასარაი	50,0
ბეშიქთაში	50,0
ბოავიშტა	50,0
ცსკა	50,0
რეინჯერსი	50,0

რომელი ქვეყნის ნარმოადგენელი გაიმარჯვებს

იტალია	2,0
ესპანეთი	2,4
ინგლისი	2,4
გერმანია	3,0
საფრანგეთი	5,0
ჰოლანდია	8,0
პორტუგალია	15,0
უკრაინა	15,0
ნორვეგია	25,0
რუსეთი	25,0
ხორვატია	25,0
ბელგია	25,0
იუგოსლავია	25,0
საბერძნეთი	50,0
თურქეთი	50,0
შოტლანდია	50,0

უეფას თასი

UEFA CUP

რომელი ქვეყნის ნარმოადგენელი გაიმარჯვებს

იტალია	2,5
ესპანეთი	3,0
ინგლისი	3,0
გერმანია	5,0
საფრანგეთი	8,0
ჰოლანდია	8,0
პორტუგალია	12,0
ბელგია	15,0
რუსეთი	25,0
იუგოსლავია	25,0
ხორვატია	25,0
შვედეთი	25,0
ჩეხეთი	50,0
ნორვეგია	50,0
თურქეთი	50,0
შვეიცარია	50,0
შოტლანდია	50,0
საბერძნეთი	50,0
რუმინეთი	50,0

რომელი გუნდი გაიმარჯვებს

იუვენტუსი	3,0
რომა	5,0
ლიდსი	7,0
ტოტენჰემი	7,0
ბოლონია	7,0
უდინეზე	7,0
აიაქსი	7,0
კაიზერსლაუტერნი	7,0
დეპორტივო	10,0
სელტა	10,0
ატლეტიკო	10,0
ნიუკასლი	10,0
ვერდერი	15,0
ვოლფსბურგი	15,0
ჰამბურგი	15,0
დუისბურგი	15,0
ვესტ ჰემი	15,0
მონაკო	15,0
ნანტი	15,0
ლანსი	15,0
რენი	25,0
მონპელიე	25,0
გენფიკა	25,0
სპორტინგი	25,0
ვიტებსკი	25,0
ლოკომოტივი (მოსკოვი)	25,0
ჰაიდუკი	25,0
ცრვენა ზვეზდა	25,0
ბრიუგე	25,0
ანდერლეხტი	25,0
სელტიკი	25,0
გიოტებორგი	50,0
პაოკ	50,0
პანათინაიკოსი	50,0
როდა	50,0
სლავია (პრაღა)	50,0
ზენიტი	50,0
ფენერბაჰჩე	50,0
გრასჰოპერი	50,0
ლიერსი	50,0
ლოკერენი	50,0
სტ. ტრუიდენი	50,0
სტიაუა	50,0
დინამო (ბუქარესტი)	50,0

გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება.
იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.

კროკოს ბიუროთა მისამართები:
თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.
ბათუმში — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

თუ ჩემპიონობა გსურს, მენეგინი უნდა გყავდეს

EURO BASKET 99 FRANCE

მამა-შვილს ჩემპიონობა ჯიშში აქვთ

REUTERS პარი ზიდან

ევროპის 1999 წლის ჩემპიონი იტალიის ნაკრები

მატჩის ბოლო წამები მიმდინარეობდა. იტალიის გაჩემპიონებაში აღარავის ეპარებოდა ეჭვი, გარდა, ესპანელთა ყველაზე თავგადაკლული გულშემატკივრებისა. ანგარიშში სხვაობა დიდი იყო და დრო კი ისე ცოტა რჩებოდა, პირინეელებს სასწაულიღა თუ იხსნიდათ. თუმც ისინი მაინც არ ნებდებოდნენ და ჯარიმას ჯარიმაზე იღებდნენ დროის მოსაგებად. ერთი სიტყვით, იბრძოდნენ. ალფონსო რეიესს კი ნამდვილად ზედმეტი მოუვიდა. მისებრ შეუბრალებლად, ალბათ, ესპანელი კონკისკადორებიც კი არ ექცეოდნენ ინდიელებს: ანდრეა მენეგინი ნახტომში თანაგუნდელისთვის პასის მიცემას აპირებდა, როცა რეიესი კორიდის გაცოფებული ხარივით დაეჯახა.

საბრალოო იტალიელმა გვარიან მანძილზე იფრინა, სანამ „ბერსის" დარბაზის იატაკზე დაენარცხებოდა. ცუდად, ძალიან ცუდად დაეცა. წამოდგომა ძლიერ გაუჭირდა. უმალვე გუნდის ექიმი და მეორე მწვრთნელი, მამამისი დინო მენეგინი მისცვივდნენ დასახმარებლად, სათადარიგოთა სკამამდე ძლივს მიიყვანეს. საბედნიეროდ, იგი სერიოზულად არ დაშავებულა და მატჩის დასასრულს მამასთან ხმამაღლა საუბარში უყურა, თან სიხარულისგან ხტუნაობდა.

ბადრი კეთილაძის ფოტო

1999 წლის 27 თებერვალი. თბილისის სპორტის სასახლეში მყოფმა იტალიის ნაკრების მეორე მწვრთნელმა დინო მენეგინმა ჯერ არ იცოდა, რომ მისი შეგირდები მისივე 16 წლის წინანდელ მიღწევას გაიმეორებდნენ

ჩემპიონი იტალია გახდა, ისევე როგორც 1983 წელს. ევროპის ჩემპიონატს მაშინაც საფრანგეთმა უმასპინძლა, ფინალში მაშინაც ესპანეთი დაუპირისპირდა იტალიას, რომელთა რიგებში მაშინაც თამაშობდა მენეგინი, უფროსი, დინო მენეგინი...

ტურნირის მთავარი ფავორიტის — იუგოსლავიის ნახევარფინალში ძლევის შემდეგ სპეციალისტთა უმრავლესობა ოქროს მედლებს აპენინელებს უწინასწარმეტყველებდა. მათაც პროგნოზები გაამართლეს და საკმაოდ იოლად შეძლეს მოწინააღმდეგის დამარცხება.

შეხვედრა იტალიამ მშვენივრად დაიწყო და მატჩის სადავეები ბოლომდე არ გაუშვია ხელიდან. პირველ თერთმეტ წუთში ესპანეთმა მხოლოდ 6 ქულის ჩაგდება მოახერხა. მისი ლიდერი ალბერტო ერეროსი, ეტყობა, ცუდ ფეხზე იყო ამდგარი, მის სროლათა უმეტესობა მიზანს ვერ აღწევდა. პირველ ტაიმში ხუთი ტყორცნიდან მხოლოდ ერთი ჩააგდო, ამას სამი საჯარიმო დაუმატა და ჯამში მხოლოდ ხუთი ქულით შეეწია თავისიანებს, რომლებსაც ძალიან, ძალიან უჭირდათ მეტოქის გამკლავება.

თუმც ციდან ვარსკვლავებს ვერც იტალიელები წყვეტდნენ, განსაკუთრებით შორი მანძილიდან უჭირდათ. 6,25 მეტრიანი ხაზის გარედან მათ რვაჯერ სცადეს ბედი, მაგრამ ერთხელაც ვერ აიღეს ერთბაშად სამი ქულა. ამის მიუხედავად, მაინც დაწინაურდნენ და ეს ძირითადად კარლტონ მაიერსის დამსახურება იყო.

ფარიდან ასხლეტილი ბურთებისთვის ბრძოლა ესპანეთის უპირატესობით დასრულდა. ის მოწინააღმდეგეს ძლიერ არც პასებში და ჩაჭრილ ბურთებში ჩამორჩენია და თუ ოქრო მაინც ვერ მოიპოვა, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ მისმა კალათბურთელებმა მეტოქეზე 9-ით მეტი ბურთი დაკარგეს.

შესვენების შემდეგ იტალია თავისი უპირატესობის შენარჩუნებაზე ზრუნავდა და ეს მშვენივრადაც გამოსდიოდა. ორივე ნაკრები კვლავინდებურად ბევრს სცოდავდა სროლებისას და ანგარიშიც იშვიათად იცვლებოდა. ეს კი აპენინელთა წისქვილზე ასხამდა წყალს. ცოტა ხნის შემდეგ მათ ოდნავ უმატეს ტემპს და უფრო დიდი უპირატესობაც მოიპოვეს. თან მათ თითქოს იღბალიც ეხმარებათ — აბიომ აუტში გადამსვლელი ბურთი გაჭირვებით გადაარჩინა და „შემთხვევით" მშვენიერი პასი მიაწოდა კიაჩიგს, რომელმაც ეს შესაძლებლობა მშვენივრად გამოიყენა — 47:28 (28-ე წუთზე).

ესპანელებმა ერეროსი და თავიანთ რიგებში ყველაზე შედეგიანი კორალესი სათადარიგოთა სკამზე დასვეს. იტალიასაც მეტი რა უნდოდა და საფინალო სირენამდე 9 წუთით ადრე ანგარიშში სხვაობამ ოც ქულას უწია. თამაშის ბედი ყველამ გადაწყვეტილად ჩათვალა. „სკუადრა აძურას" მწვრთნელი სიამოვნებისგან ხელებს იფშვნეტდა, თუმცა მოთამაშეებს შიგადაშიგ რაღაც დარიგებებს კიდევ აძლევდა. მენეგინი და აბიო გამარჯვებულის ღიმილს აღარ მალავდნენ...

ერეროსი და კორალესი მოედანზე დაბრუნდნენ. ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანმა კალათბურთელმა შორიდან ჩააგდო და მისმა გუნდმაც ცოტათი ამოისუნთქა (52:38, 35-ე წუთზე). შემდეგ კორალესმა მოიპოვა სამი ქულა, რასაც დუენიასის ჩატენვა მიჰყვა და ანგარიშში სხვაობა ცხრა ქულამდე შემცირდა — 52:43.

იტალიელებმა საფრთხე იგრძნეს და შეტევისთვის მიცემული 30 წამის ბოლომდე გამოყენება დაიწყეს. შეხვედრის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე კი საჯარიმოების სროლის დრომაც მოაღწია. მაიერსი თავისიანებს ათი ქულით აწინაურებს — 57:47 (38-ე წუთი). კორალესმა სამქულიანით და ერთი საჯარიმოთი უპასუხა და მისი გუნდი მეტოქეს წამოეწია — 57:51. თუმცა ეს პირინეელების ბოლო გაფართხალება იყო. დარჩენილმა დრომ მშვიდად ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით რეიესის გაცოფებას...

ჩემპიონი იტალია გახდა, ვერცხლი კი ესპანეთმა ირგუნა. ამ ორი ქვეყნის წარმატებამ ყველა გააჩუმა, ვინც კი მათი კლუბების ევროპულ გამარჯვებებს დიდ ფულად ნაყიდ უცხოელებს უკავშირებდნენ.

ტურნირის სიმბოლურ ნაკრებში სამი იტალიელი მოხვდა — კარლტონ მაიერსი, გრეგორ ფუჩკა და ანდრეა მენეგინი. ხუთეულში მათ გარდა იუგოსლაველი უნივერსალი დეიან ბოდიროგა და ესპანელი ალბერტო ერეროსი დასახელდნენ.

ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელად კი გრეგორ ფუჩკა აღიარეს, რომელმაც ფინალური მატჩი, ისევე როგორც მთელი შეჯიბრი, უმაღლეს დონეზე ჩაატარა — 10 ქულა, 10 მოხსნა, 2 ჩაჭრა და ერთადერთი დაკარგული ბურთი, ასე ჩაამთავრა ფუჩკამ ბოლო მატჩი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საუკეთესოდ ტყუილად არ დაასახელეს.

ევროპის ჩემპიონატი. ფინალი

ესპანეთი 56:64 იტალია

3 ივლისი. პარიზი. „ბერსი". I ტაიმი 24:32

მსაჯები: პასკალ დორიზონი (საფრანგეთი), იზტოკ რემსი (სლოვენია)

ესპანეთი	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	დაფ.	ფოლ	ქ.
როდრიგესი	16	0/3	0/1	0/0	0	0	0	0	3	0
ხიმენესი	11	0/0	1/1	0/0	2	0	0	1	1	3
ერეროსი	30	1/4	1/5	5/6	0	3	1	0	4	10
დე მიგელი	13	0/1	0/0	1/4	2	0	0	0	4	1
რეიესი	31	2/2	0/0	3/9	9	0	0	0	4	7
ანგულო	10	0/2	0/0	0/0	0	0	1	0	0	0
კორალესი	24	3/6	1/4	6/7	2	6	1	0	3	15
დე ლა ფუენტე	14	1/1	0/0	2/2	2	1	0	0	1	4
დუენიასი	26	2/5	0/0	3/6	11	0	0	0	1	7
რომერო	10	1/1	0/0	2/2	0	0	1	0	1	4
ესტელერი	14	1/2	1/3	0/0	2	0	0	0	5	5
სულ	-	11/27	4/14	22/36	30	10	4	1	27	56

იტალია	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	დაფ.	ფოლ	ქ.
მაიერსი	31	3/6	0/2	12/14	1	1	1	0	4	18
დე პოლი	23	1/1	1/3	2/2	2	1	1	1	2	7
მენეგინი	33	1/3	0/4	0/0	0	1	1	0	3	2
ფუჩკა	27	3/6	1/1	1/4	10	2	2	1	4	10
კიაჩიგი	20	3/5	0/0	3/5	2	0	0	0	3	9
ბაზილე	11	1/4	0/1	0/0	2	2	0	0	1	2
გალანდა	18	1/1	0/1	2/2	1	0	0	0	5	4
მარკონატო	12	1/1	0/0	0/0	2	0	0	0	2	2
აბიო	24	2/3	0/3	6/6	3	1	1	0	4	10
სულ	-	16/30	2/15	26/33	23	8	6	2	28	64



REUTERS პარი ზიდან

იტალიელმა კარლტონ მაიერსმა მორიგი ორი ქულა ჩაუგდო ესპანეთს

მატჩის შემდეგ

ლოლო საინსი (ესპანეთის მწვრთნელი): არაფერი გვეთქმის, იტალიამ აშკარად გვაჯობა. თუმც ჩვენ ვერცხლის მედლებითაც ძალიან კმაყოფილები ვართ. თამაში მოდუნებულებმა დავიწყეთ. ამით აიხსნება არაზუსტი ტყორცნები და ბურთის ხშირი დაკარგვა. წაგების მიზეზებს კი აგიხსნიდით, მაგრამ არ შემიძლია. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ძალიან ვნერვიულობდით და ჩვენი კალათბურთელების უმეტესობა საკმაოდ დაღლილი იყო. ჩვენი საუკეთესო მატჩი... ასეთი ორი იყო, ლიტვასთან და საფრანგეთთან.

ალბერტო ერეროსი (ესპანეთი): ორი კვირის წინ ვინმეს რომ ეთქვა, ვიცე-ჩემპიონები გახდებითო, ძალიან გაგვიხარდებოდა. არც ახლა ვართ იმედგაცრუებულნი, თუმცა არც მთლად უამისობაა. ამ შედეგის მიღწევა მთელი გუნდის მუხლჩაუხრელი შრომის ნაყოფია. ჩემი პირადი გამოსვლით კი მართლაც კმაყოფილი ვარ.

ბოგდან ტანევიჩი (იტალიის მწვრთნელი): ნამდვილად მშვენივრად ვითამაშეთ. ბედნიერები ვართ. გუნდი ყველა მატჩში ერთსულოვანი იყო. კალათბურთელებმა თავიანთი საუკეთესო თვისებები გამოავლინეს. იტალიის ნაკრებში ბევრი ძალიან ნიჭიერი სპორტსმენია. იმედია, მომავალი ტიტულის მოპოვებას კვლავ თექვსმეტ წელიწადს აღარ მოვანდომებთ.

გრეგორ ფუჩკა (იტალია): რაც ჩვენი მწვრთნელი ბოგდან ტანევიჩი გახდა, იტალიის ეროვნულმა ნაკრებმა ძალიან დიდი პროგრესი განიცადა. ყველა ჩვენი შედეგი და განსაკუთრებით, დღევანდელი წარმატება მისი დამსახურებაა, რისთვისაც მთელი გუნდის სახელით უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო.

EUROBASKET 99 FRANCE

ამ ბრინჯაოს ოქროს ფასი აქვსო

ევროპის ჩემპიონატი. III ადგილისთვის

საფრანგეთი 62:74 იუგოსლავია

3 ივლისი. პარიზი. „ბერსი“. I ტაიმი 26:33

მსაჯები: მიგელ ბეტანკორი (ესპანეთი), სტეფანო კაძარო (იტალია)

საფრანგეთი	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	დაფ.	ფოლ	ქ.
რიგოდო	35	3/6	2/5	4/6	0	1	2	0	5	16
ფშარე	24	1/3	2/5	3/4	0	2	1	0	2	11
დიგბო	6	0/1	0/1	0/0	0	0	1	0	1	0
ბილბა	34	3/5	0/1	1/2	6	2	0	0	1	7
ვეისი	29	1/6	0/0	0/0	6	0	1	0	5	2
სონკო	23	5/6	1/3	0/0	1	0	1	0	5	13
სპიარა	12	0/0	0/0	0/0	0	1	0	1	1	0
ფისაფე	21	3/4	1/5	0/1	4	2	0	0	2	9
ბადუ	5	0/0	0/0	0/0	1	0	1	0	0	0
ფულიენი	5	0/0	0/0	2/2	1	0	0	0	4	2
სმიტი	6	1/1	0/0	0/1	1	0	0	0	0	2
სულ	-	17/32	6/20	10/16	20	8	7	1	26	62

იუგოსლავია	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	დაფ.	ფოლ	ქ.
ლონჩარი	36	4/6	1/1	3/4	7	2	1	0	3	14
ბოდიროგა	36	5/7	0/0	5/7	6	5	0	0	4	15
დანილოვიჩი	32	1/5	1/2	4/4	5	1	0	0	4	9
გუროვიჩი	20	2/3	0/0	2/2	0	1	1	0	1	6
დიკაცი	30	4/9	2/2	5/8	4	3	0	0	3	19
ჭიკანოვიჩი	12	0/1	0/2	0/0	0	0	0	0	1	0
ტომაშევიჩი	8	0/0	0/0	0/0	2	0	0	0	0	0
ტარლაჩი	8	0/0	0/0	1/2	3	1	0	0	2	1
ტოპიჩი	17	2/2	2/4	0/0	1	0	0	0	1	10
სულ	-	18/33	6/11	20/27	28	13	2	0	19	74

REUTERS პარიზიდან

პრედრაგ დანილოვიჩმა (№5) და დეიან ბოდიროგამ ბრინჯაოთი გაიხარეს

„ჩვენს ქვეყანას დიდი უბედურება დაატყდა თავს. ჩვენს ნაკრებს სერიოზული პრობლემები ჰქონდა მოსამზადებელ პერიოდში. ჩემპიონატის განმავლობაში ტრავმებმა ჯანმრთელი მოთამაშე ლამის აღარ დაგვიტოვა. ყველაფრის გათვალისწინებით, ამ ბრინჯაოს მედალს ოქროს ფასი აქვს“ — თქვა მატჩის შემდეგ იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა. მანვე დასძინა, რომ მისმა ბიჭებმა, ნახევარფინალში იტალიასთან მარცხის მიუხედავად, შეინარჩუნეს მებრძოლი სულისკვეთება და იუგოსლავიას ნაკლებხარისხიანი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი მედალი მოუტანეს.

საფრანგეთის ნაკრების ფორვარდს, „საკრამენტო კინგზის“ კალათბურთელს ტარიკ აბდულ-ვაჰადს მუხლი ტკიოდა და ვერ ითამაშა (ისევე როგორც მისმა თანაკლუბელმა, იუგოსლავიელმა პრედრაგ სტოიაკოვიჩმა). ამ მიზეზის გამო ხუთეულში თამაში ზედიზედ მეორედ დაიწყო ალენ დიგბომ, რომელმაც სრულფასოვნად ვერ შეცვალა აბდულ-ვაჰადი. მე-5 წუთზე იუგოსლავია 8:4 იგებდა, ხოლო მას შემდეგ, რაც მილენკო ტოპიჩმა ორჯერ ზუსტად ისროლა, ანგარიში 29:18 გახდა. ფრანგები უგერგილოდ ირჯებოდნენ — ანტუან რიგოდომ ორი მარტივი ბურთი ააცილა, ვეისმა კი რამდენიმე გარბენი შეასრულა. არც იუგოსლავიელები იკლავდნენ მაინცდამაინც თავს და ტაიმის ბოლოს გააქტიურებულმა რისაშემ, ფუარემ და რიგოდომ სხვაობა შვიდ ქულამდე დაიყვანეს.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე რისაშემ და ლონჩარმა სამქულიანები გაცვალეს. ფრანგებმა თამაში ააწყვეს და 25-ე წუთზე სონკომ სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა (39:37). მერე ბილბამ და რისაშემ ფარქვეშ იმარჯვეს და ხანგრძლივი კომბინაცია რისაშემ სამქულიანით დააგვირგვინა. იუგოსლავია დიდხანს ვერ შეეგუა ერთქულიან ჩამორჩენას — ორჯერ ბოდიროგამ და ტოპიჩმა ანგარიში 47:40 გახადეს.

შემდეგ კი ანტუან რიგოდოს ჯერი დადგა. ფრანგმა გამთამაშებელმა ჯერ ბურთი ჩაჭრა და ზურგსუკანა პასით სონკოს ჩაატენინა. 30 წამის შემდეგ ვეისმა ბურთი მოხსნა და დანილოვიჩს მე-4 პერსონალური აჰკიდა. რიგოდომ თავადაც ჩაგდო სამქულიანი. მერე კი სონკომ ანგარიში გაათანაბრა — 47:47.

თანაფარდობა დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრეც იყო — 54:54. ორივე გუნდმა პრესინგს მიმართა. იუგოსლავიელებმა უფრო ადრე აუღეს სიტუაციას ალღო. ბოდიროგამ და დანილოვიჩმა ჩააგდეს. სონკოს სხვა გზა აღარ ჰქონდა, ბურთის ფლობისთვის განკუთვნილ ბოლო, 30-ე წამზე უაზროდ ისროლა და, ცხადია, ააცილა. ცენტრმა დივაცმა მატჩში მეორე სამქულიანი ჩააგდო. მანვე და ბოდიროგამ ჯამში სამი საჯარიმო ჩააგდეს. იუგოსლავიამ სოლიდური მარაგი შეიქმნა, მაგრამ ფრანგები არ ნებდებოდნენ და, ვინ იცის, რა მოხდებოდა, რიგოდოს მეხუთე პერსონალური რომ არ მიეღო...

საფრანგეთი მორალურად გატყდა და ბოლოს დაჯარიმებაზე გადავიდა. დივაცმა, ლონჩარმა და ბოდიროგამ ოთხი საჯარიმო ჩააგდეს და იუგოსლავია მესამე ადგილზე გავიდა.

ფრანგების ოცნება კი ნაწილობრივ ასრულდა. მართალია, 16-წლიანი პაუზის შემდეგ გუნდმა ოლიმპიადაზე თამაშის უფლება მოიპოვა, სამაგიეროდ ევროპის ჩემპიონატის მედალი მიუწვდომელი დარჩა. ბოლოს ფრანგებმა ამგვარ წარმატებას 1959 წელს მიაღწიეს. მაშინ მათ ბრინჯაო ერგოთ.

მეხუთე ადგილისთვის

რუსეთი 72:103 ლიტვა

(I ტაიმი 33:42)

რუსეთი: ავლეევი (8), კისურინი (4), კუდელინი (23), კურაშოვი (2), ნოსოვი (8), ზ. პაშუტინი (14), პანოვი (5), პეტრენკო (8)

ლიტვა: ადომაიტისი (17), ეინიკისი (13), იასიკევიჩუსი (11), კარნიშოვასი (18), კ. მარჩულიონისი (13), მასიულისი (2), პრაშკევიჩუსი (11), შტომბერგასი, ე. ჟუკაუსკასი (9), მ. ჟუკაუსკასი (9)

მეშვიდე ადგილისთვის

გერმანია 86:67 თურქეთი

(I ტაიმი 48:36)

გერმანია: ბოგოევიჩი (2), ფემერლინგი (18), ნეესი (5), ნოვიცკი (14), ნიურნბერგერი (6), ოკულაჯა (14), ტერდენგე (11), ტომიჩი (13), ვუხერერი (3)

თურქეთი: ბეშოქი (12), ერდენი (3), ქონუქი (3), ქუთლუაი (2), ოქური (11), ფარსი (13), თუნჩერი (6), თურქოღლუ (15), ილდირიმი (2)

საბოლოო მდგომარეობა

1	იტალია
2	ესპანეთი
3	იუგოსლავია
4	საფრანგეთი
5	ლიტვა
6	რუსეთი
7	გერმანია
8	თურქეთი

ვითას გეგმები

ფიბა-ს ვალების გასტუმრება, კორაჩის თასზე თამაში, რუსი ცენტრის ჩამოყვანა

მადაჭამაში მოდისო და ზედიზედ მეშვიდედ გაჩემპიონებულმა თბილისის „ვითამ“ ევროპაში გასასვლელად დაიჭირა თადარიგი. სურვილი ერთია და კორაჩის თასზე ასპარეზობის მოსურნე გუნდს უკვე წარდგენილიც უნდა ჰქონდა ფიბა-ში შესაბამისი განაცხადი. სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა და „ვითამ“, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც აფრინა თხოვნის წერილი ევროპული კალათბურთის მმართველ ორგანოში, აქაოდა, თქვენი გულისხმიერების იმედი გვაქვს, იქნებ გამონაკლისის სახით კორაჩის გათამაშებაში ჩაგვრთოთო.

გუშინ ფიბა-დან საპასუხო ფაქსი მოსულა, თანახმა ვართ, იმ შემთხვევაში, თუკი „ვითა“, 12 ივლისამდე სამონაწილეო თანხასაც ჩამოვა და ძველ ვალებსაც გაისტუმრებსო, ლაპარაკია 20 ათას გერმანულ მარკაზე, რომელიც „ვითას“ ფიბა-სგან ჯარიმის სახით დაეკისრა.

ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს და ამავდროულად კლუბ „ვითას“ მფლობელ თემურ დათიკაშვილს შევხვდით:

„ჩვენ ვაპირებთ ამ თანხის გადახდას. ჩვენი ახალი სპონსორი, რომლის ვინაობას ჯერ ვერ გაგიმხელთ, თანახმაა, დაფაროს „ვითას“ ყველა დავალიანება. ერთი სიტყვით, თუ სასწაული არ მოხდა, გუნდი მიიღებს მონაწილეობას კორაჩის თასზე“.

დათიკაშვილთან საუბარშივე გაცხადდა, რომ ხმები „ვითაში“ რუსი ლეგიონერის ჩამოყვანის თაობაზე სულაც არ გახლავთ უსაფუძვლო:

„უახლეს მომავალში ვაპირებთ გუნდი ნოვოსიბირსკის „ლოკომოტივის“ ცენტრით ოლეგ ბულანცევით გავაძლიეროთ. ბულანცევის თამაში მიხახავს, საკმაოდ კარგი მოთამაშეა, ადრე თამაშობდა პოლონეთში, შემდეგ ლიტვაში, ბოლოს კი ციმბირულ „ლოკომოტივში“ და ყველა მონაცემებით რუსი ცენტრების ხუთეულში შედის. 206-სანტიმეტრიან ბელანცევთან, ისევე, როგორც „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობასთან, წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეულია, ამ დღეებში ნოვოსიბირსკში „ვითას“ მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე გაფრინება და კალათბურთელს პირადად ნახავს საქმეში. თუ ყველაფერი კარგად იქნა, ბულანცევი თბილისში ჩამოვა და „ვითას“ კორაჩის თასზე შეეშველება.

იმედი მაქვს, ბულანცევი „ვითას“ კარგა ხანს შერჩება, რადგან კლუბს წლეულს სერიოზული მიზნები აქვს დასახული და ჯგუფში ჩარჩენას სულაც არ აპირებს“.

ამ დღეებში შვიდგზის ჩემპიონები მზადებას შეუდგებიან. კლუბის თავკაცობას გეზი ბაკურიანისკენ აუღია, სადაც ათდღიანი შეკრებაა დაგეგმილი.

გიორგი ბიკაშვილი

ევროპის ჩემპიონატის სტატისტიკა
(მითითებულია საშუალო მაჩვენებელი)

ქულა

ალბერტო ერეროსი	ესპანეთი	19,2
კარლტონ მაიერსი	იტალია	16,3
ანტუან რიგოდო	საფრანგეთი	15,5
დირკ ნოვიცკი	გერმანია	15,2
არტურას კარნიშოვასი	ლიტვა	14,2
ვასილი კარასიოვი	რუსეთი	14,2
დეიან ბოდიროგა	იუგოსლავია	14,1
იგორ კუდელინი	რუსეთი	13,4
არვიდას საბონისი	ლიტვა	13,3
ჰიდაიეთ თურქოღლუ	თურქეთი	12,4

მოხსნა

არვიდას საბონისი	ლიტვა	8,5
ჰუსეინ ბეშოქი	თურქეთი	7,4
ვიტალი ნოსოვი	რუსეთი	7,3
ალფონსო რეიესი	ესპანეთი	7,2
დეიან ბოდიროგა	იუგოსლავია	6,2
ჯიმ ბილბა	საფრანგეთი	6,1
დეიან ტომაშევიჩი	იუგოსლავია	6,0
მირსად თურქჯანი	თურქეთი	5,8
სერგეი პანოვი	რუსეთი	5,4
არტურას კარნიშოვასი	ლიტვა	5,3

პასი

ვლადიმერ ბოგოევიჩი	გერმანია	5,2
ქერემ თუნჩერი	თურქეთი	4,6
დეიან ბოდიროგა	იუგოსლავია	4,3
დარიუს მასკოლიუნასი	ლიტვა	4,1
ანდრეა მენეგინი	იტალია	3,6
შარუნას იასიკევიჩუსი	ლიტვა	3,5
ევგენი პაშუტინი	რუსეთი	3,4
კარლტონ მაიერსი	იტალია	3,3
არტურას კარნიშოვასი	ლიტვა	3,3
ვასილი კარასიოვი	რუსეთი	2,8

ჩაჭრა

ევგენი პაშუტინი	რუსეთი	1,9
ვლადიმირ ბოგოევიჩი	გერმანია	1,8
ჯიმ ბილბა	საფრანგეთი	1,7
ანდრეა მენეგინი	იტალია	1,7
სერგეი პანოვი	რუსეთი	1,7
საშა ობრადოვიჩი	იუგოსლავია	1,6
კაი ნიურნბერგერი	გერმანია	1,4
იგორ კუდელინი	რუსეთი	1,4
ტარიკ აბდულ-ვაჰადი	საფრანგეთი	1,4
მუსტაფა სონკო	საფრანგეთი	1,3

ევროპის 2001 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

3 ივლისს პარიზში გაიმართა ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა. 24 გუნდი 4 ჯგუფში განაწილდა. ჯგუფის ორი საუკეთესო გადის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ევროპის 1999 წლის ჩემპიონატის პირველ რვა გუნდს წინასწარ ჰქონდა განაღდებული ევრო-2001 ფინალურ ეტაპზე თამაში. ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი გაიმართება თურქეთში 2001 წლის 1-9 სექტემბერს.

A ჯგუფი	C ჯგუფი
ხორვატია	ისრაელი
უნგრეთი	ბოსნია
ინგლისი	შვედეთი
ლატვია	ბულგარეთი
სლოვაკეთი	ჰოლანდია
შვეიცარია	ფინეთი

B ჯგუფი	D ჯგუფი
ჩეხეთი	სლოვენია
საბერძნეთი	მაკედონია
პოლონეთი	შკრაინა
ესტონეთი	ბელგია
ბელარუსი	პორტუგალია
ავსტრია	ისლანდია

შესარჩევი ტურნირის მატჩები 1999 წლის 24 ნოემბერს დაიწყება და 2001 წლის 27 იანვარს დასრულდება

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

ზორდამ ლოკომოტივს პრემია არ გამოუწერა

ბადრი ჯალილაძის ფოტო

ზორდა — ლოკომოტივი 1. აუტისას მეორე სართულზე დიდი ხალხმრავლობა იყო

მეთერთმეტე ტური
თბილისი
4 ივლისი

ზორდა 6:15 (6:10) ლოკომოტივი 1

ზორდა: შველიძე (მაგრაქველიძე), ჭელიძე, ცაბაძე (ბერიაშვილი), მჭედლიშვილი, ზედგენიძე, დიდებულიძე (ობოლაძე), სორდია, ვართანიანი (დემურიშვილი), ხუციშვილი, ჯიმშელაძე, ჯანელიძე, მაისურაძე, მათიაშვილი, ჩანკვეტაძე, აბაშიძე
2ს — აბაშიძე
ლოკომოტივი 1: აბრამიშვილი (კვანტალიანი), ჯაველიძე (კერესელიძე), მაჭუტაძე, ჩადუნელი, მოგელაძე, კაცაძე, კობახიძე, კახიანი, სარიშვილი, კვინიხიძე, ბუგიანიშვილი, ალანია, ანდღულაძე, ასათიანი, იოვაძე (ძნელაძე)
2ლ — ალანია, ბუგიანიშვილი; 1გ და 1ს — კვინიხიძე
მსაჯი: რ. სანებლიძე
მეთვალყურე: ლ. მგელაძე

ამ გუნდების დაპირისპირება ყოველთვის გამოირჩეოდა დაძაბულობით, გამონაკლისი არც გუშინწინდელი მატჩი გახლდათ. სპეციალისტები და გულშემატკივრები ფავორიტად „ლოკომოტივი 1“-ს მიიჩნევდნენ და არც შემცდარან, თუმცა რკინიგზელებს დიდი ჯაფა დაადგათ ლეგიონერებით გაძლიერებული „ზორდას“ დასამარცხებლად, პრემიალური ქულის მოპოვება კი, დიდი მონდომების მიუხედავად, ვერ შეძლეს. ეს, უპირველეს ყოვლისა, რკინიგზელების მთავარ კონკურენტებს, ბათუმელ დათვებს გაახარებდათ, რომელთაც ამ ტურში „რუსთავის“ გათამაშებიდან მოხსნის გამო მუქთი 3 ქულა მიითვალეს.

ანგარიში მე-2 წუთზე კვინიხიძის მიერ ზუსტად შესრულებული საჯარიმოს წყალობით გაიხსნა, თუმცა ხუთ წუთში ივივე საპირისპირო კარისკენ მოხდა და ანგარიშიც გათანაბრდა. ამის შემდეგ 15 წუთში მეტოქეებს თითოთითოჯერ კიდევ მიეცათ საჯარიმოს დარტყმის უფლება, მაგრამ ვერც კვინიხიძემ ივარგა და ვერც ზორდელმა აბაშიძემ. აქამდე დაუმარცხებელ რკინიგზელებს, ცხადია, ამ მატჩიც გამარჯვება პრემიალური ქულის მოპოვებით ეწადათ, ამიტომაც ტაიმის შუაწელიდან მათ უფრო აქტიურად შეუტიეს და დამთავრებამდე რვა წუთით ადრე შედეგიანი იერიშიც განახორციელეს, რომელიც ალანიას ლელოთი დასრულდა. ბოლო წუთზე მასპინძელმა აბაშიძემ ამ მატჩში ბოლო ქულა მოუტანა თანაგუნდელებს.

მეორე ტაიმი პირველის მსგავსად დაიწყო. მე-2 წუთზე ლოკომოტივს დაწინაურების, 5 წუთში კი უკვე მეტოქეს მიეცა სხვაობის შემცირების შანსი, მაგრამ ორივე შემთხვევაში ანგარიში უცვლელი დარჩა. ათი წუთის შემდეგ რკინიგზელებს ორჯერ შეეძლოთ ლელო გაეტანათ — ჯერ ანდღულაძემ ვერ ივარგა, მერე — სარიშვილმა.

თუმც მატჩის ბოლომდე სტუმრებმა მაინც მოახერხეს ლელოს გატანა, რომელიც ბუგიანიშვილის ანგარიშზეა, მაგრამ ეს იყო და ეს. ასე რომ, რკინიგზელებმა „ზორდელებს“ პრემიალური ვეღარ დასტყუეს.

პაატა თოთაძე

მეთერთმეტე ტური
თბილისი
3 ივლისი

უნივერსიტეტი 15:12 (5:7) ლოკომოტივი 2

უნივერსიტეტი: წიკლაური (ქუთარაშვილი), ჯანუკაშვილი (ჯმუხაძე), რატიანიძე, ბიძინაშვილი (თავაძე), კობიაშვილი, ლაბაძე (ავსაჯანიშვილი), მჭედლიშვილი, მეავანაძე, ჭუმბურიძე, კიზირია, ელოშვილი, ახობაძე, ქირიკაშვილი, ჯაში, ჯავრიშვილი
3ლ — ქირიკაშვილი (2), მეავანაძე
ლოკომოტივი 2: ჯილაური, ჯიბლაძე, ჭელიძე, კვანტალიანი (კუტრიკაძე), მაღალთაძე, უდესიანი (კერესელიძე), სუჯაშვილი, ცხომელიძე, ბერიძე, ხუნწარია, ჩაჩანიძე, ცხადაია, ყაჯრიშვილი, სულთანიშვილი, გუგავა
2ლ — სუჯაშვილი; 1გ — ხუნწარია
მსაჯი: ლ. მგელაძე
მეთვალყურე: გ. ჯანაშვილი

ამ მატჩამდე გუნდებს თითოჯერ ემარჯვათ და ცხადია, ახლა მონაგრის გაორებას ეცდებოდნენ.

მატჩი სტუდენტთა შეტევებით დაიწყო, მაგრამ უნივერსიტეტელებს რკინიგზელთა კონტრშეტევა გაეპარათ და მდევრის როლში აღმოჩნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ლაბაძე თამაშობდა, სტუდენტები აუტებს ვერ იგებდნენ, ხოლო როდესაც ჭუმბურიძემ იგივეს გაკეთება სცადა, მდგომარეობა უკეთესობისაკენ შეიცვალა. მალე ქირიკაშვილმა შეძლო ლელოს გატანა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა. პირველი ნახევრის დარჩენილი დრო თანაბარ ბრძოლაში გაილია და საინტერესო აღარაფერი მომხდარა.

მეორე ტაიმი უკეთესი სანახავი იყო. უპირატესობას „უნივერსიტეტი“ დაეუფლა და იგრძნობოდა, რომ მალე ლელოსაც გაიტანდა. სტუდენტები კომბინაციური თამაშით ცდილობდნენ დაწინაურებას. მატჩის დასრულამდე ოცი წუთით ადრე მორკინალებმა გაათამაშეს ბურთი და მეავანაძემ ლელოც გაიტანა. რკინიგზელებმა მდგომარეობის გამოსწორება სცადეს, მაგრამ მათ შეტევებს სიმწვავე აკლდა. სტუდენტები ადვილად ახერხებდნენ მოწინააღმდეგის იერიშების შეჩერებას, ხოლო როდესაც თვითონ მოიცალეს თავდასხმისთვის, მიზანსაც მიაღწიეს — ქირიკაშვილმა რკინიგზელთა ნახევარი გადასერა და მეტოქის სალელოე მოედანზე დაამიწა ბურთი. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ „უნივერსიტეტმა“ ვერც ერთი ლელო ვერ გარდასახა. „ლოკომოტივი 2“ მარცხს შეურიგდა, თუმცა არც მეტოქეს მოუკლავს მაინცდამაინც თავი. თუ არ ჩავთვლით ლაბაძის რეიდს, რომელიც რკინიგზელთა მცველმა ბოლო წამს შეაჩერა. დარჩენილ დროში საყურადღებო არაფერი მომხდარა.

მეთერთმეტე ტური
თბილისი
4 ივლისი

ყორები 2:14 (13:14) აია

ყორები: ფირიაშვილი (ესაკია), კიკუაშვილი, პაპავა (ჭავჭავაძე), სულთანიშვილი, გუშარაშვილი, სოფრომაძე, ტყეშელაშვილი, ჭელიძე, ხელაძე (გიორხელიძე), ტეფნაძე, საკანდელიძე, ბარძიმიშვილი, პეტრიაშვილი, ლიპარტელიანი, მხეიძე (იმნაძე)
4ლ — პეტრიაშვილი, ფირიაშვილი, ჭელიძე, სოფრომაძე; 2გ — ტყეშელაშვილი
აია: ბუხაიძე, ბალანჩივაძე, კეკულაძე (კუხიანიძე), კოსტავა, ლეკვიძე (ორმოცაძე), გიორგიძე, ცნობილაძე, კიკვიძე, კიკაჩეიშვილი, გაბრიჩიძე, ჩორგოლიანი (სვინტრაძე), აშვეთია, ჩხაბერიძე, ტუკვაძე, ქობალია (შვანგირაძე)
2ლ — ცნობილაძე, კიკვიძე; 2გ — აშვეთია
მსაჯი: გ. აბაშიძე
მეთვალყურე: ა. ქურდობაძე

რამდენიმე წლის წინ „ყორები“ —„აიას“ შეხვედრა ტურის ცენტრალურ მატჩად ჩაითვლებოდა, წლეულს კი უსახსრობით გატანჯული ქუთაისელები ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ უწევენ ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდებს. კვირის მატჩშიც „ყორები“ იოლ გასეირნებას ელოდნენ, მაგრამ ამ თამაშის შემხედვარეს გეგონებოდა, რომ მოედანზე ორი თანაბარი ძალის გუნდი ბურთაობსო. მასპინძლებმა მხოლოდ და მხოლოდ უკეთესი ფიზიკური მომზადებისა წყალობით დაამარცხეს ქუთაისელები.

მატჩი რიგიანად დაწყებული არც იყო, როდესაც პეტრიაშვილმა თავისი გუნდი დაწინაურა. სტუმრებმა ორ წუთში გაათანაბრეს ანგარიში და აშვეთიას ზუსტად გარდასახვის შემდეგ დაწინაურდნენ კიდეც 7:5. საპასუხო ლელოს „ყორები“ უნდა გამოეფხიზლებინა და ასეც მოხდა. პირველი ტაიმის მეორე ნახევარში ფირიაშვილმა ძალისმიერ ბრძოლაში დაჩაგრა მეტოქის მცველები და ბურთი ქუთაისელთა ჩათვლის მოედანზე დაამიწა. მას არც ჭელიძე ჩამორჩა, ტყეშელაშვილმა კი ორივე ლელო გარდასახა. მაგრამ ტაიმის მიწურულს კიკვიძემ მატჩს ინტრიგა შეუნარჩუნა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა 14:19. „ყორების“ მთავარი მწვრთნელი მალხაზ ჭეიშვილი თავისი გუნდის თამაშით უკმაყოფილო იყო და მოთამაშეთა შეცვლით ცდილობდა მდგომარეობის გამოსწორებას.

მეორე ტაიმის დასაწყისში ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებდა უპირატესობის მოპოვებას. უნდა ითქვას, რომ ქუთაისელები გააზრებულ რაგბის თამაშობდნენ და იშვიათად თუ შეცდებოდნენ. მაგრამ მეორე ნახევრის შუაგულში მათ ვერაფერმა უშველა — გიორხელიძის ჩინებული გადაცემით სოფრომაძემ ისარგებლა და ცხადყო, რომ „ყორები“ გამარჯვებას ხელიდან არ გაუშვებდნენ. საერთოდ, ამ პასის გარდა მაყურებელს საინტერესო აღარაფერი უხილავს და ორივე გუნდმა მატჩი ინერციით დაასრულა.

გაჩო სვანიძე

საჩემპიონო ვითარება

	თ	მ	ფ	წ	ბ	ლ	პ	ქ
დათვები	10	9	1	0	340:98	49:9	9	28
ლოკომოტივი 1	9	8	1	0	347:111	51:9	6	23
ყორები	9	7	0	2	330:112	47:14	7	21
ასკ	7	4	1	2	136:133	20:20	6	15
ზორდა	9	4	1	4	184:120	27:14	4	13
უნივერსიტეტი	9	3	0	6	127:222	19:35	3	8
ლოკომოტივი 2	9	1	0	8	84:328	14:52	2	3
აია	8	1	0	7	49:178	4:29	0	1

რუსთავი მოხსნილია გათამაშებიდან.
„აიას“, „ლოკომოტივი 2“-ს და „უნივერსიტეტს“ დაკლებული აქვთ თითო-თითო ქულა

ის ურჩევნია პაპასა...

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის სოლომონ თუხარელის მემორიალური ტურნირი სხვადასხვა ასაკის ბავშვთა ჩაგბურთში შარშან პირველად გაიმართა. მაშინ სოლომონ თუხარელის შვილიშვილმა სალომე გველესიანმა მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ ერთი ცნობილი გამოთქმის პერიფრაზირების მიხედვით, ის ურჩევნია პაპასა, რომ...

და სალომე გველესიანი კვირას ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე გასრულებულ ამგვარ ტურნირზე ერთი საფეხურით დაწინაურდა. სალომემ თუ ასე გააგრძელა, მაშინ... ახლა კი გველესიანს აჯობა ტურნირის სტუმარმა, ერევნელმა ანა მოვსესიანმა, რომელიც მასპინძლებთან ერთად 1987-88 წლებში დაბადებულ ჩოგბურთელთა ტურნირში იბრძოდა.

სულ ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 150 ნორჩი სპორტსმენი, მათგან ბიჭები ხუთ, გოგონები კი ოთხ ასაკობრივ ჯგუფებად იყვნენ დაყოფილნი.

მოვსესიანის გარდა ტურნირში გაიმარჯვა კიდევ ერთმა ერევნელმა ტიგრან სიმონიანმა, რომელიც 1987-88 წლებში დაბადებულ ჩოგბურთელთა ასპარეზობაში გამოდიოდა და ფინალში ბათუმელ ვახტანგ მჭედლიშვილს სძლია.

დანარჩენი საპრიზო ადგილები თბილისელებმა დაიკავეს. გოგონებში თავიანთ ასაკობრივ ჯგუფებში გაიმარჯვეს: თიკა ასლანიშვილმა, მანანა შაფაქიძემ; თათია კახელიშვილმა. ბიჭებში უძლიერესნი იყვნენ: ვახტანგ ჭიღლაძე, დავით კვერნაძე, გიორგი ჯანიშვილი და მიხეილ მაჩაბლიშვილი.

გიგა გურასაშვილი

დიდებმა პატარებს სტამბოლი დაუთმეს

ახალგაზრდა ქართველ ძიუდოისტთა ნაკრები სტამბოლის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირიდან დაბრუნდა. ამ შეჯიბრებას პრესტიჟული არ ეთქმის, თუმცა ჩვენებიანად 14 გუნდმა იასპარეზა, მათ შორის ძლიერებმაც. ეს დიდების ტურნირი იყო, მაგრამ ჩვენმა ფედერაციამ იქ ახალგაზრდები წარგზავნა. მათ ოქტომბერში ევროპის ჩემპიონატი ელით და რადგან ფედერაცია მოსამზადებლად ვერსად აგზავნის, ამიტომაც აასპარეზეს დიდების ნაცვლად.

თურქეთში ახალგაზრული ნაკრების ყველა იასპარეზა. ჩემპიონი გახდა ზურაბ ზვიადაური (90), დავით ხაბულიანმა ჯერ მძიმე წონაში იჭიდავა და ვერცხლის მედალს დაეუფლა, მერე კი აბსოლუტურშიც სცადა ძალა და თავი არც იქ შეურცხვენია — მესამე ადგილზე გავიდა. ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ლაშა ფეიქრიშვილმა (100) და ბესიკ ორბელაძემ (66).

რაც შეეხება უფროსთა ნაკრებს, იგი ჯერჯერობით თბილისში ვარჯიშობს. ამბობდნენ, ივლისის შუა რიცხვებში საქართველოს ჩემპიონატიც უნდა ჩატარდესო, მაგრამ დეპარტამენტს ფედერაცია ვერ დაუფინანსებია. იმედოვნებენ, რომ ქვეყნის პირველობა შემოდგომაზე გაიმართება. შეიძლება ეს უკეთესიც იყოს. ოქტომბერში ხომ მსოფლიოს ჩემპიონატია, სადაც ოლიმპიური ლიცენზიებიც გაიცემა. ამიტომ ჩვენს ნაკრებს შინაური პირველობა მსოფლიოსთვის მოსამზადებლად გამოადგება. მანამდე კი, აგვისტოში, ნაკრების სამი კანდიდატი — დავით მარგოშვილი (66), მევლუდ ლობჟანიძე (100) და ალექსი დავითაშვილი (მძიმე) სამხედროთა მსოფლიოს პირველობაზე იასპარეზებს.

ირაკლი თამგაძე

„ფრიცი“: ხელეზი მაღლა!

ფრიცებში ვისაც ვგულისხმობდთ, მკითხველს კარგად მეხსენება, ხოლო წინა „სარბიელში“ „ფრიციც“ გაგაცანით. სახელოვანი „დიიპ ბლუს“ დარად ადამიანები ამ გერმანულმა საჭადრაკო პროგრამამაც დაჩაგრა. მართალია, დაჩაგრულები ურჩეულესთან კასტიდან არ იყვნენ, მაგრამ მათში ისეთნიც ერივნენ, ამ კასტაში მოხვედრის ყველაზე დიდი პრეტენზიები რომ აქვთ. ეს ამბავი ფრანკფურტში მოხდა.

სანამ „ფრიცის“ ქებას გავაგრძელებდეთ, ჯერ უფრო მთავარზე ვილაპარაკოთ. სწრაფ ჭადრაკში ფრანკფურტის საერთაშორისო ტურნირზე ჩამოყალიბებული სამი ჯგუფიდან („დევები“, „ოსტატები“ და დანარჩენები) ძირითადი ყურადღება „დევებისკენ“ იყო მიმართული. ორი წრის, ანუ ექვსი ტურის შემდეგ, მოგეხსენებათ, კასპაროვი ლიდერობდა, თუმცა არცთუ გამოკვეთილად და დარჩენილ პარტიებში ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. არაფერიც არ მომხდარა.

კასპაროვმა, ჩვეულებისამებრ, ფინიშზე კიდევ უფრო დაუჩქარა და ტურნირი მდევრებთან 1,5-ქულიანი სხვაობით დასრულა. ამასთან, რაც მნიშვნელოვანია, სამგზის მშვიდობიანი განშორების შემდეგ ბოლო წრეში თავისი ისტორიული მოსისხლე კარპოვიც დაამარცხა. ჩავინიშნოთ კასპაროვის მორიგი გამარჯვება და ახლა ფიდე-ს მსოფლიოს ჩემპიონზე გადავერთოთ. კარპოვმა თითქოს ურიგოდ არ დაიწყო, მერე მაინც ბოლოში მოექცა. ეგაა, იხტიბარს არ იტეხდა და მეტოქეებს სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდა. ფინიშზე გამძლეობამ უმტყუნა, ბოლო ტურის წინ ჯერ კრამნიკთან წააგო, მერე კასპაროვმა მოუგო და ბოლოს ანანდსაც მიჰბაძა დანარჩენ ახალგაზრდებს. ვეტერანი ჩემპიონის ბოლო ყაიმს არაფერი შეუცვლია; კარპოვი მყარად დამკვიდრდა ცხრილის უკანასკნელ პოზიციაზე. მეორე-მესამე საპრიზო ადგილები ანანდრა და კრამნიკს შორის განაწილდა.

ახლა „ფრიცს“ დავუბრუნდეთ. საერთოდ „ოსტატების“ ტურნირი, „დევებისგან“ განსხვავებით, ბევრად უფრო აგრესიული გამოდგა, რაზეც ყაიმების ერთობ მცირე ხვედრითი წილიც უთითებს — 30% („დევებთან“ — 67). მრავლად დაფიქსირდა უაზრო ავანტიურები, თავქარიანი სვლები და ა. შ. „ფრიცი“ თავიდან ნაკლებად პრეტენზიული ჩანდა და მისი პირველი ორი ყაიმის შემდეგ სენსაციების მოყვარული ჟურნალისტები იუდით პოლგარზე გადაერთვნენ, რომელმაც სტარტზე დაამარცხა მოროზევიჩი, სვიდლერი, ადამსი და 4 ტურის შემდეგ 3,5 ქულით დაწინაურდა. მაგრამ ეს სტარტზე, მერე კი პოლგარს ბევრმა გაუსწრო და პირველ რიგში „ფრიცმა“, მას სასწაულები არ მოუხდენია, ორი პარტია წაგო კიდეც (მოროზოვიჩთან და სვიდლერთან), სამაგიეროდ, შვიდი მოიგო და პატიოსნად გავიდა პირველ ადგილზე. მანქანას ცოტათი ჩამორჩნენ ლეკო და ტოპალოვი, დანარჩენები კი საკმაოდ. ყველაზე მეტად მაინც ადამსი ჩავარდა. ბოლო ხანებში საკმაოდ ნაყოჩაღარმა ინგლისელმა სწრაფ ჭადრაკში ვერ ივარგა და ერთპიროვნული და აშკარა აუტსაიდერობას დასჯერდა, რაც წერილის ბოლოს მოყვანილ ცხრილებში ნათლად ჩანს.

დავით გულუა

„დევების“ ტურნირი

1. კასპაროვი — 7,5;
2-3. ანანდი, კრამნიკი — 6,0;
4. კარპოვი — 4,5;

„ოსტატების“ ტურნირი

1. „ფრიც-6“ — 9,5;
2-3. ტოპალოვი, ლეკო — 9,0;
4. სვიდლერი — 7,5;
5-6. იუდით პოლგარი, ლუტცი — 6,0;
7. მოროზევიჩი — 5,5;
8. ადამსი — 3,5.

სამპრასმა წყალზე გაიარა

კაცები. ნახევარფინალი: პიტ სამპრასი (1, აშშ) — ტიმ ჰენმანი (6, ინგლისი) 3:6, 6:4, 6:3, 6:4; ანდრე აგასი (4, აშშ) — პატრიკ რაფტერი (2, ავსტრალია) 7:5, 7:6 (7:5), 6:2

ფინალი: სამპრასი — აგასი 6:3, 6:4, 7:5

თუ კაცებში წლევანდელი უიმბლდონის ფინალის მოკლე და საუკეთესო დახასიათების მოსმენა გსურთ, მასში დამარცხებული ანდრე აგასის ნათქვამზე უკეთესს ვერაფერს გაიგებთ: „დღეს პიტი წყალზე დადიოდა“.

დახედეთ ანგარიშს, წარმოიდგინეთ ჩოგბურთელი, რომელიც ღმერთივით თამაშობს და ამას არაფრის მიმატება აღარ სჭირდება.

კარგი იქნებოდა, წერტილის დასმა აქვე შეიძლებოდეს, მაგრამ...

ფინალამდე სამპრასი და აგასი განსხვავებული გზით მივიდნენ. პირველს თავი მანამდე ბევრით არაფრით გამოუჩენია: მარკ ფილიპუსისთან მეოთხედფინალში, ალბათ, წააგებდა კიდეც მეტოქეს უდროო ტრავმა რომ არ მიეღო, მერე ნახევარფინალშიც არ დააგებდა კარგი დღე, ტიმ ჰენმანს ჭისი პანიკური შიში რომ არ ჰქონოდა და მეორე ხელი ორი ორმაგი შეცდომით არ ეჩუქებინა.

აგასი სულ სხვა იყო: 6:0 მოგებული სეტები, ზედიზედ ორი მძლავრი მეტოქის, გუსტავო კუერტენისა და პატრიკ რაფტერის შთამბეჭდავად განადგურება, ზურგსუკან როლან გაროსის ისტორიული ტიტული, ორშაბათიდან განაღდებული კლასიფიკაციის პირველი ადგილი.

ერთიც და მეორეც მოუთმენლად ელოდა ამ მატჩს: პიტი და ანდრე ერთმანეთს ჯერ კიდევ ბავშვობიდან იცნობენ, 90-იანების დასაწყისში კი მათი მეტოქეობა სენა-პროსტის დუელების დარ სიძულვილ-სიყვარულს ჰგავდა, მათ სურდათ და თან არც სურდათ-ხოლმე შეხვედრა.

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ხოტორა ამერიკელმა ახლა მასავით გამელოტების გზას დამდგარი პიტი 1998-ში რომის ტურნირზე 6:2, 6:1 გაანადგურა და დაასკვნა, ეს ბიჭი კაპიკად არ ღირსო. ახლა პირად შეხვედრებში უკვე სამპრასია წინ — 14:10.

„ანდრემ მე უკეთეს ჩოგბურთელად მაქცია. იგი რომ დავამარცხო, ყოველთვის საკუთარ თავს უნდა ვაჯობო და ახალი რამეები ვისწავლო. ჩვენ ბევრით განვსხვავდებით, მაგრამ ამავე დროს ძალიან ვგავართ: ორივე თამაშს მოწყურებული, ბრძოლისუნარიანი ვართ და „დიდი სლემის“ ტურნირების მოგებაზე ვოცნებობთ“.

მაგრამ ეროვნული დამოუკიდებლობის დღეს გრავიტაციის ძალებს მხოლოდ ერთი ამერიკელი არ ემორჩილებოდა.

მატჩი ორმხრივი და თანაბარი შეტევებით დაიწყო. როგორც მოსალოდნელი იყო, სამპრასი მოწოდებაზე და ბადესთან მძლავრობდა, აგასი — მიღებასა და უკანა ხაზზე. მატჩის გადამწყვეტ, მეშვიდე გეიმამდე ორივეს თითო ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, რა თქმა უნდა, გამოუყენებელი.

იმ საბედისწერო გეიმში ხოტორა ამერიკელმა თავიდან სამი ბრწყინვალე გათამაშება მოიგო, სამი ზუსტი მიღება და შემოვლებული — 40:0, სამმაგი ბარეიკ-პოინტი, ერთი ქულაც და პირველი სეტი ფაქტობრივად, მოგებულია.

მაგრამ სამპრასის პასუხი კიდევ უფრო დამანგრეველი იყო: ზედიზედ ხუთი აუღებელი მოწოდება, 4:3.

სწორედ იმ მომენტიდან ანდრე ის ანდრე აღარ იყო, მანამდე ასეთი თავდაჯერებით რომ ურტყამდა ბურთებს, თითქოს ამ ხუთ ქულასთან ერთად გაქრა გამარჯვების რწმენაცა და ნაპერწკალიც თვალში.

შესვენების შემდეგ აგასი კორტზე უცნაურად დაბნეული და აჩქარებული დაბრუნდა, სწრაფად დაუშვა ორმაგი შეცდომა, სწრაფად გაახვია ბურთები ბადეში, წაგო საკუთარი მოწოდება, წაგო სეტი, წააგო საკუთარი მოწოდება და თვალის დახამხამებაში ანგარიში 3:6, 0:2 გახდა.

„პიტი ასე ირჯება. თითქოს თანაბარი მატჩი იყო, ხუთიოდ წუთში კი, ფაქტობრივად, ბოლო მომიღო. მისი ქარიშხალი უნდა დააცხრო, მხოლოდ მაშინ გაქვს გამარჯვების შანსი, მაგრამ დღეს ქარიშხალი ძალიან ძლიერი იყო“.



REUTERS ლონდონიდან

პიტ სამპრასი: ფული, დიდება და ტრიუმფი

მაგრამ ეს თურმე მხოლოდ დასაწყისი გახლდათ. მომდევნო 45-60 წუთის მანძილზე პიტმა სრულყოფილებასთან იმდენად მიახლოებული ჩოგბურთი უჩვენა, რამდენადაც ეს შესაძლებელია. მოწოდებას რომ თავი დავანებოთ, როლან გაროსის ჩემპიონი მან უკანა ხაზზე თამაშშიც დაჩაგრა, ერთი შეხედვით აუღებელი ბურთები უკან მართლა აუღებლად მიაბრუნა, თავისი სუსტი ბექჰენდითაც კი უამრავი ქულა მიითვალა.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელი მეორე ხელის შუაგულში ერთი გათამაშება იყო. აგასიმ საფირმო შემოვლებული ისეთი ძალით და სიზუსტით დაარტყა, ჩოგბურთელთა უმეტესობა რეაქციასაც ძლივს მოასწრებდა, პიტმა კი ბადის გასწვრივ ა-ლა-ბეკერის ნახტომი გაჭიმა, თან ბურთი მეორე მხარეს, მოკლეზე გადააგდო.

სანამ ერთი ამერიკელი თავის დასისხლიანებულ იდაყვს აკვირდებოდა, აგასი თავის ადგილზე თხევადაზოტგადაველებულივით იდგა, გაშტერებული და გაოცებული.

„პირველი სეტის ბოლოდან მეორეს ჩათვლით ისე ვითამაშე, როგორც, ალბათ, რამდენიმე წელია, არ მითამაშია. თითქოს რაღაც ზონაში ვიყავი, აცილება, უბრალოდ, არ შემეძლო“ — განაცხადა მოგვიანებით სამპრასმა.

მესამე ხელში ზეცისკენ კიბეს პიტი ცოტა ქვემოთ ჩამოუყვა, აგასისაც, რომელიც მთელი ამ ხნის მანძილზე მხოლოდ თანაგრძნობას იწვევდა, თითქოს შანსი მიეცა. მაგრამ 5:5-ზე ნერვებმა ისევ მას უმტყუნა, ორი ორმაგი, ბადე, აუტი და მორიგი კატასტროფა.

ანდრე ხავსს მაინც მოეჭიდა, 30:15-ით დაწინაურდა, მაგრამ პიტმა თავისი სათქმელი სწრაფადვე თქვა — ეისი, ეისი მეორე მოწოდებაზე მატჩ-პოინტზე და ერთეულთა ტურნირიც დასრულდა.

„არც კი ვიცი, როგორ მოვახერხე ყველაფერი. ეს იოლი სიტუაცია არ იყო, ჩვეულებრივზე მეტად ვნერვიულობდი. მაგრამ მაინც ... ანდრე პირდაპირ მაიძულებს, ფენომენალურ დონეზე ვითამაშო, ბორის ბეკერის გამოკლებით, მსგავსი მეტოქე არასოდეს მყოლია“.

უიმბლდონზე მეექვსედ (მე-20 საუკუნეში ყველაზე მეტჯერ) გაჩემპიონებით და საბანკო ანგარიშისთვის 724 ათასი დოლარის მიმატებით პიტმა კარიერის საპრიზოები 37 მილიონს გადააცილა, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ დიდი სლემის 12 ტიტულით იგი როი ემერსონის რეკორდს გაუთანაბრდა.

„ამ წუთისთვის ამაზე არ ვფიქრობ, მაგრამ როდესაც აშშ-ის ღია პირველობა მოახლოვდება და ყველა ისევ ალაპარაკდება, აუცილებლად შევეცდები, მე-13 სწორედ იქ მოვიგო“ — აღნიშნა სამპრასმა.

თუმცა გულხელდაკრეფილად ყოფნას არც აგასი აპირებს: „შევეცდები, ნიუ იორკში შური ვიძიო. ჩემი აზრით, პიტმა ყველაზე მეტს მიაღწია ჩოგბურთელებს შორის, ამაზე საუბარიც არ ღირს. მაგრამ საკუთარ თავს მაინც მის დამარცხებას ვთხოვ“.

REUTERS ლონდონიდან

შტეფიმ გრაფომანებიც დააღონა

ანდრე აგასი უკვე რევანშზე ფიქრობს

ისიც წავიდა

ქალები. ნახევარფინალი: შტეფი გრაფი (2, გერმანია) — მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია) 6:7 (3:7), 6:4, 6:3; ლინდსი დევენპორტი (3, აშშ) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 6:1, 6:1.

ფინალი: დევენპორტი — გრაფი 6:4, 7:5.

საყვარელ ტურნირს ასე მხოლოდ დიდი ჩემპიონი, დიდი ჩოგბურთელი შტეფი გრაფი შეიძლებოდა გამოსთხოვებოდა. არა, ფინალში წაგებას არ ვგულისხმობთ — უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონსა და ყველა დროის საუკეთესო მოთამაშეს კვირას მხოლოდ და მხოლოდ მოგება შეეფერება.

საუბარი იმაზეა, თუ როგორ დატოვა 30 წლის გერმანელმა ცენტრალური კორტი მასზე ჩატარებული უკანასკნელი მატჩის შემდეგ — ისე, რომ თავისი გადაწყვეტილება არავისთვის გაუმჟღავნებია, დემონსტრაციულად ხელი არ უქნევია და არც თვალზე ცრემლი მოსდგომია. მერეღა გაუმჟღავნა ჟურნალისტებს, რომ აქ, როგორც მოთამაშე, აღარასოდეს დაბრუნდებოდა.

„ეს ლინდსის დღე იყო. მე არ მინდოდა ამით მისთვის რაიმე მომეკლო“ — ძნელი დასაჯერებელია.

ფინალს გრაფი და დევენპორტი სხვადასხვა გუნებაზე შეხვდნენ. ლინდსიმ ნახევარფინალში ალექსანდრა სტივენსონი საათზე ნაკლებში გაანადგურა, მერე წყვილების გადამწყვეტ მატჩში თამაშის უფლებაც მოიპოვა პრესკონფერენციაც სულ ღიმილ-ღიმილით ჩაათავა.

შტეფის კი საქმე აწყობილი არ ჰქონდა — ჯერ იყო და წინადღით ბარბაყის მსუბუქი ტრავმა მიიღო და მატჩზე ფეხშეხვეული გამოცხადდა, ლუჩიჩმაც მოსალოდნელზე გაცილებით მეტი აჯახირა და აწვალა, თანაც მანამდე შერეული წყვილების ნახევარფინალში თამაშზე უარი განაცხადა და თავისი მეგობარი ჯონ მაკინროი მოიმღურა.

ნამდვილად უსიამოვნო თაგულია, ჰოდა, რაღა გასაკვირია, თუ გრაფის თამაშში ის სიხარული და სიამოვნება აღარ შეინიშნებოდა, როგორიც წინა მატჩებში, როდესაც საკუთარი თუ მეტოქის კარგი თამაში „რკინის ლედის“ ღიმილს იწვევდა-ხოლმე.

შტეფიმ მატჩი თავისთვის უსიამოვნოდ დაიწყო — პირველივე გეიმში საკუთარი მოწოდება დიდ ბრძოლაში დაკარგა.

თითქოს რა არის ერთი ბრეიკი ქალების ჩოგბურთში, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ლინდსი ვალის დაბრუნებას მატჩის ბოლომდე აღარ აპირებდა.

ბოლო ხანებში მობილურობა გაუმჯობესებული და ბარე 15 კილოდაკლებული დევენპორტი ფინალში ქვედაბოლოში გამოწყობილ სამპრასს ჰგავდა, თამაშის ერთ ელემენტში მაინც: იგი შესაშური სიძლიერითა და კიდევ უფრო დიდი სიზუსტით აწოდება მარცხენა თუ მარჯვენა კვადრატის ნებისმიერ კიდეში, პირველივე დარტყმიდან შეტევაზე გადადიოდა და როგორც წესი, იოლად იგებდა ქულებს.

ურიგოდ არც გრაფი ირჯებოდა: კარგა ბლომად საფირმო „მკვლელი“ ფორჰენდები, შეუდარებელი სისწრაფე, იმპროვიზირებული, ლამაზი გადაწყვეტილებები; მაგრამ ამავედროს იგი ბალახზე ასე საშიშ იარაღად გადაქცეულ საკუთარმა მოჭრილმა ბექჰენდმაც დაალალატა, რომელიც უმეტესად ბადეს ვერ სცილდებოდა.

როგორც წესი, გამოცდილი შტეფი მატჩში მნიშვნელოვანი ქულების უმეტესობას იგებს-ხოლმე, მაგრამ ამჯერად პირიქით მოხდა: დევენპორტმა ორი ბრეიკ-პოინტიდან ორივე გამოიყენა, შტეფიმ კი ამდენივედან ვერც ერთი, მისი მარცხის თავიც სწორედ აქ გახლდათ ჩამარხული.

მეორე ხელის ბოლოს, როდესაც ანგარიში 5:4 და 15:30 იყო გრაფის სასარგებლოდ, წვიმამ პირველად და, საბედნიეროდ, უკანასკნელადაც შეუტია ამ უქმეებზე „ოლ ინგლენდ კლაბს“, მატჩი ნახევარი საათით შეწყდა. თითქოს ამას გერმანელისთვის უნდა შეეწყო ხელი, მაგრამ პირიქით კი მოხდა.

„შესვენება დამეხმარა, დავწყნარებულიყავი და მშვიდად შემეხედა სიტუაციისთვის. ვიფიქრე, ღმერთო, ისე კარგად ვთამაშობ, მოგებასთან ახლოს ვარ, შემიძლია ეს გავაკეთო-მეთქი. ასეთი რამეებისთვის კორტზე დრო არ დამრჩებოდა“ — აღნიშნა მერე ლინდსიმ.

ხანმოკლე მოთელვის შემდეგ პირველი ქულა გრაფმა მოიგო, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ხელსაყრელი სიტუაცია გამოეყენებინა, არჩია, ისევ მეტოქის შეცდომას დალოდებოდა და დაისაჯა კიდეც — 5:5.

მატჩის მომდევნო, უმნიშვნელოვანეს გეიმში შტეფი 30:0 დაწინაურდა, მერე ორჯერ გეიმ-პოინტიც ჰქონდა, მაგრამ ჩვეული გრაფისგან განსხვავებით, ხელფეხი რატომღაც ისევ შეებორკა, რამდენიმე შეცდომა დაუშვა, იქით ლინდსიმ მძლავრი ფორჰენდიც დაურთო და — 6:5, ბრძოლა, ფაქტობრივად, მაშინ დასრულდა.

მატჩ-პოინტზე დევენპორტმა მორიგი ქულა მიითვალა მძლავრი მოწოდებით, მერე კი სახეზე ხელები აიფარა და სიხარულის ცრემლები გადმოაფრქვია.

„წარმოუდგენელია, მოგების დაჯერება სხვებზე მეტად თავად გამიჭირდა. ერთი სეტიც არ წამიგია თანაც საუკეთესო ბალახის ოსტატებს — ნოვოტნასა და გრაფს ვაჯობე. არადა, ერთ დროს ვამბობდი, აქ არანაირი შანსი არ მაქვს-მეთქი. ჯერ ვიფიქრე, მარტინას მსგავსად, ჩემიანების ლოჟაში ავმძვრალიყავი, მაგრამ მალევე გადავიფიქრე, ეს აშკარად ცუდი იდეა იყო. ჩემი ზომის ადამიანი...“

ლინდსი ისე არ ელოდა წარმატებას, რომ გამარჯვებულთა მეჯლისისთვის, თურმე, კაბაც კი არ ჰქონდა ნაყიდი.

კენტის ჰერცოგინიამ კი დაჯილდოების ცერემონიალზე მთავარი ჯილდო მექანიკურად ლამის გრაფს გადასცა, მერე კი უთხრა, არ მეგონა, შენთვის მეორეადგილოსნის პრიზის მოცემა თუ მომიხდებოდაო.

მერე იყო შტეფის განცხადება უიმბლდონთან გამოთხოვების შესახებ და ჟურნალისტების მიერ დაყრილი ათასი კითხვა: რატომ? როდის? აღარ დაბრუნდებით? გაისად სპორტს გამოეთხოვებით?

„...არა, აქ მოთამაშის რანგში აღარ დავბრუნდები, ეს გადაწყვეტილება გაცილებით ადრე მივიღე. ამ წუთში ძალიან სევდიანი ვარ, მაგრამ თავს გარკვეულწილად მაინც გამარჯვებულად ვთვლი. მოვა დრო, როდესაც სხვა რამეებს უნდა მივხედო, მაგრამ ამაზე მეტი საუბარი არ მსურს, არც ზუსტი თარიღის დასახელებას ვაპირებ“.

არა, ერთბაშად ორი დიდი გერმანელის დაკარგვა ტურნირისთვის მართლაც მეტისმეტი იყო.

კაცები. წყვილები: მაჰეშ ბჰუპატი და ლეანდერ პაესი (1, ინდოეთი) — პოლ ჰაარჰიუისი და ჯერედ პალმერი (8, ჰოლანდია და აშშ) 6:7 (1:7), 6:3, 6:4, 7:6 (7:4).

ქალები. წყვილები: ლინდსი დევენპორტი და ჰორინა მორარიუ (3, აშშ) — მარიან დე შვარდტი და ელენა ტატარკოვა (9, სამხრეთ აფრიკა და უკრაინა) 6:4, 6:4;

შერეული წყვილები: ლეანდერ პაესი და ლაიზა რეიმონდი (1, ინდოეთი და აშშ) — იონას ბიორკმანი და ანა კურნიკოვა (3, შვედეთი და რუსეთი) 6:4, 3:6, 6:3.

იუნიორი ბიჭები: იურგენ მელცერი (ავსტრია) — კრისტიან პლესი (დანია) 7:6 (9:7), 6:3.

იუნიორი გოგონები: ირინა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) — ლინა კრასნოროუცკაია (რუსეთი) 7:6 (7:3), 6:4.

ავთანდილ სვანიძე

მაპატიე, დედა!

მსოფლიოს რეკორდსმენს ხალხმა უღალატა

ამ უქმეებზე ევროპაში ფრიადი მძლეოსნური შეჯიბრებები გაიმართა. ჯერ იყო და მსოფლიოს საუკეთესო ათლეტებმა შვეიცარიულ ლოზანაში, მერე პარიზში, ბოლოს კი პრაღაში იქროლ-იხტუნეს და ბევრმა ისეთი შედეგი აჩვენა, სალაპარაკოდ რომ ღირს და ამიტომაც თქვენს ყურადღებას სწორედ მათკენ მივაპყრობთ. უპირველესად ჩეხ ათჭიდელ ტომას დვორჟაკზე მოგახსენებთ. დვორჟაკი მძლეოსნურ სამყაროში ცნობილი კაცია. იგი ატლანტის 1996 წლის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანია და ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზეც რიგიანად ასპარეზობს. კვირას კი ტომასმა მშრობლიურ პრაღაში ამერიკელი დენი ობრეინის 1992 წელს, საფრანგეთში დამყარებული მსოფლიოს რეკორდი — 8891 ქულა — გააუმჯობესა, ათი დისციპლინის ჯამში 8994 მოაგროვა და მსოფლიოს უპირველესი ათჭიდელიც გახდა. დვორჟაკის ოცნება 9000 ქულიანი მიჯნის გადაბიჯება ყოფილა და შეჯიბრების დასრულების მერე უთქვამს — „ადრე თუ გვიან, ამასაც შევძლებ, ახლაც ახლოს ვიყავი მიზანთან, მაგრამ ჩეხმა ქომაგებმა იმედები გამიცრუესო“ — საქმე ისაა, რომ პრაღის სტადიონზე გამართულ მძლეოსნურ შეჯიბრს ძალიან ცოტა მაყურებელი დაესწრო და მსოფლიოს ახალმა რეკორდსმენმა, ალბათ, ამაზე თუ დაიწუწუნა. ახლა კი ტომას დვორჟაკის მიერ ათივე დისციპლინაში ნაჩვენებ შედეგებს გავეცნოთ: 100 მ — 10,54 წმ; სიგრძეზე ხტომა — 7,90 მ; ბირთვის კვრა — 16,78 მ; სიმაღლეზე ხტომა — 2,04 მ; 400 მ — 48,08 წმ; 110 მ წინაღობებით — 13,73 წმ; ბადროს ტყორცნა — 48,83 მ; ჭოკით ხტომა — 4,90 მ; შუბის ტყორცნა — 72,32 მ; 1500 მ — 4.37,20 წთ.

ლოზანაში კი მძლეოსნები „გრან პრის“ მეექვსე ტურნირზე შეკრებილიყვნენ. გამორჩეულად უნდა ვთქვათ ლერი უეიდზე, მაიკლ ჯონსონზე, მერიონ ჯონსზე, ფალილამ ოგუნკოიაზე და ოსლეიდის მენენდესზე, რომლებმაც წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგები აჩვენეს.

ამერიკელმა ლარი უეიდმა წლეულს თავის სახელოვან თანამემამულეებს, ოლიმპიურ ჩემპიონ ალენ ჯონსონსა და მარკ კრიგს ბევრი თავსატეხი გაუჩინა, 110 მეტრზე წინაღობებით რბენაში ლარის ამჟამად ბადალი არა ჰყავს და ლოზანაშიც ჩინებულად იასპარეზა, დისტანცია 13.01 წამში დაფარა, მარკ კრიგი და ალენ ჯონსონი უკან მოიტოვა და გახარებულმა პრესკონფერენციაზე თქვა: „ძალიან მიყვარს ლოზანის სარბიელი, გაისადაც ვეწვევი შვეიცარიას და იმედია, დღევანდელზე უკეთ ვირბენო.“

ამერიკელმა მსოფლიოს რეკორდსმენმა მაიკლ ჯონსონმა 400 მეტრზე 74-ე ფინალურ გარბენში იასპარეზა და 72-ედ იმარჯვა (43.92 წმ). ჯონსონის გამარჯვება მით უფრო საოცარია, რომ მან ამასწინათ აშშ-ს ჩემპიონატი ტრავმის გამო გამოტოვა და ისიც კი თქვა, შეიძლება სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ვერ გამოვიდეო. თუმცა, როგორც ჩანს, ჯონსონს რიგიანად უმკურნალია, აბა, ასეთი შედეგის ჩვენება, დაშავებულ

ტომას დვორჟაკმა დაიქადნა, მალე 9000-იან ზღვარსაც გადავაბიჯებო

REUTERS პარი ზიდან

ევროპის რეკორდსმენ ანჟელა ბალახონოვას მსოფლიოს რეკორდის დამხობა ამოუჭრია გულში

მძლეოსანს კი არა, ჯელელ ბიჭებსაც კი უჭირთ.

ამერიკელი მსოფლიოს ჩემპიონის, მომხიბვლელი მერიონ ჯონსის დამმარცხებელი ჯერ ქალი არ ჩანს და ლოზანაშიც 100 მეტრზე მერიონი უსწრაფესი იყო (10.80 წმ), 400 მეტრი ნიგერიელმა ფალილატ ოგუნკოიამ ჩაიქროლა ყველაზე სწრაფად (50.01), ხოლო კუბელმა ოსლეიდის მენენდესმა შუბი ყველაზე შორს — 66,45 მეტრზე ტყორცნა.

ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ლოზანელ მაყურებელთა მზერა მაინც კაცთა 100 მეტრიან ბილიკისკენ იყო მიპყრობილი, სადაც მსოფლიოს რეკორდსმენი ამერიკელი მორის გრინი და 200 მეტრზე მსოფლიოს ჩემპიონი ტრინიდადელი ატო ბოლდონი ასპარეზობდნენ. შეჯიბრს ინტრიგას ისიც მატებდა, რომ ჯერ ერთი, მორისი და ატო მეგობრები არიან, მერე მეორე, გრინმა ათენში (ამერიკელმა საბერძნეთის დედაქალაქში დაამყარა მსოფლიოს რეკორდი) სწორედ ბოლდონს მოუგო და მესამეც, ახლახან ოსლოში დასრულებულ „ოქროს ლიგის“ პირველ ტურნირზე ატოს გამარჯვება არ ჩაუთვალეს და ცხადია, ლოზანაში იგი გაათკეცებული ძალით ირბენდა. ასეც მოხდა, ტრინიდადელმა 9,86 წამით იმარჯვა, გრინი კი 9,93-ით მეორე იყო.

„ოსლოში ასპარეზობის მერე ძალიან გულგატეხილი ვიყავი. ახლა კი ბედნიერი ვარ, დღევანდელი გამარჯვების შემდეგ კვლავ თავდაჯერებული გავხდი. ლოზანაში გამგზავრების წინ დედამ მითხრა — 9,86-ში აღარ ირბინოო, მეც დავპირდი, მაგრამ სიტყვა ვერ შევასრულე — მაპატიე დედა! — ბოლო ორი კვირის მანძილზე სამჯერ გავიმეორე პირადი რეკორდი, რაც, ვფიქრობ, ურიგო შედეგი არაა“ — უთქვამს გრინის დამარცხებით გახარებულ ბოლდონს. ისე კი, ტრინიდადელს დედის რჩევისთვის რომ ყური ეგდო, ალბათ, მსოფლიოს რეკორდსაც შეწვდებოდა.

მორის გრინმა კი დამარცხება ვაჟკაცურად გადაიტანა და ჟურნალისტებს განუცხადა: „ატო ბოლდონის ნაცვლად რომ სხვას მოეგო, ძალიან მეწყინებოდა, დღეს კი ჩემზე უკეთ ატომ ირბინა და ღირსეულადაც გაიმარჯვა.“

როცა ლოზანაში ამერიკელი და ტრინიდადელი ძმადნაფიცები ერთმანეთის ღირსებებზე საუბრობდნენ, ამ დროს პარიზის „სტად დე ფრანსზე“ ექს-რეკორდსმენი, ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონი, კანადელი დონოვან ბეილი 10,43 წამით ფინიშის ხაზთან მერვე მივიდა და ალბათ, დღეს ყველაზე ცუდად ვირბინეო, ასე თქვა, თუმცა მერე კი დაუმატა — ამჟამად ჩვეულ ფორმაში არ ვარ, ტრავმაც ბოლომდე ვერ მოვირჩინე, ისე კი, იმედი მაქვს თვის ბოლოს ყველაფერი რიგზე იქნება, სიდნეის ოლიმპიადისთვის კი ისევ ძველ ბეილის იხილავთო.

პარიზული სარბიელი ფეხ და ჭოკბედნიერი გამოდგა უკრაინელი ანჟელა ბალახონოვასთვის, რომელიც 4,55 მეტრზე გადებულ თამასას იოლად გადაევლო და ევროპის რეკორდი დაამყარა. ანჟელას გამარჯვება მით უფრო ფასობს, რომ მან ეს შედეგი ავსტრალიელ მსოფლიოს რეკორდსმენ ემა ჯორჯთან პაექრობაში დაამყარა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ 100 მეტრზე მორბენალი უკრაინელი ჟანა პინტუსევიჩის (10,97) გამარჯვება, რომელმაც შებერებულ იამაიკელ ლამაზმანს მერლინ ოტის გაუსწრო.

100 მეტრზე წინაღობებით რბენაში კი ყაზახმა ოლგა შიშიგინამ, თვით ლეგენდარული გეილ დივერსი დაამარცხა და 12,47 წმ-ით სეზონის საუკეთესო დრო აჩვენა.

სოსო კოტორეიშვილი

REUTERS ლოზანიდან

ოსლოში დისკვალიფიცირებულ ატო ბოლდონს (№33) ლოზანაში მორის გრინმაც ვერ აჯობა



ფინიშთან ყველა მათგანს „კოკა-კოლა“ ელის, გამარჯვებულებს კი — პრიზებიც

ზიგმუნდ ზილბერშტეინი „კოკა-კოლას“ პრიზებს აგროვებს

ამ გოგონების ეს სერტიფიკატები უბრალო არ გეგონოთ — სამარანჩის ხელმოწერილია

400 მილიონის ნაწილმა თბილისშიც გაიარა

ვერ ვიხსენებთ სხვა ისეთ მასობრივ სპორტულ ღონისძიებას, როგორიც ოლიმპიური რბენის დღეა. საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი ამგვარი რბენის დღე ტრადიციულად ეწყობა ყველა ქვეყანაში, სადაც კი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი არსებობს, ასეთი კი ლამის ყველა სახელმწიფოშია. როგორც ამას წინათ სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ტოგაი ბაიათლიმ გვითხრა, წლევანდელი ოლიმპიური რბენის დღეს 400 მილიონი კაცი გამოსულა სტარტზე.

ამ 400 მილიონის ერთმა ნაწილმა, უფრო ზუსტად 6000-მდე კაცმა საქართველოში ირბინა, ამათგან შაბათს 1500-ზე მეტი მორბენალი თბილისის ქუჩებში ვიხილეთ. უფროსებმა საქართველოს სპორტის აკადემიასთან აიღეს სტარტი და თავისუფლების მოედანზე დაასრულეს. ბავშვებმა და ინვალიდებმაც იქვე დაასრულეს დისტანცია, ოღონდ მათ ფილარმონიის მოედნიდან დაიწყეს ასპარეზობა.

თბილისში გამართულ ოლიმპიური რბენის დღეს ახსოვს უცხოელთა მონაწილეობაც, მათ შორის საფრანგეთის ყოფილი ელჩის, ბერნარ ფასიესი. უცხოელი შარშანაც გამოჩნდა დისტანციაზე — გაეროს წარმომადგენელი ონეილი, ვინც თავის ნახევრადქართველ წლინახევრის შვილთან, სანდროსთან ერთად ირბინა, ოღონდ მამაშვილს ეტლით მოარბენინებდა. მამაშვილმა ახლაც ირბინა, ამჯერად — ეტლის გარეშე.

შეჯიბრების ინვალიდ მონაწილეთა შორის შევიცანით ყოფილი აკრობატი, მსოფლიოს თასის მფლობელი ჯონდო მარიდაშვილიც, რომელმაც ამ 12 წლის წინათ ხერხემლის მძიმე ტრავმა მიიღო და სარეცელს მიეჯაჭვა, მაგრამ იგი ამას ვერ შეეგუა, არ გატყდა და შეჯიბრებაში ინვალიდის ეტლით ჩაება. მის გარდა ასპარეზობაში 8 ინვალიდი გამოვიდა სტარტზე.

ფინიშთან მისულთ ელოდათ სოკ-ის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის ხელმოწერილი სერტიფიკატები, ამ ღონისძიების სპონსორ „კოკა-კოლა“ გამაგრილებელი სასმელები (ფანტა, სპრაიტი, კოკა-კოლა) და პრიზები.

პრიზი გამარჯვებისთვის მეექვსედ მოიპოვა ახალციხელმა ზიგმუნდ ზილბერშტეინმა, რომელიც ვაჟებში არავის უთმობს პირველობას. ქალებში იმარჯვა ნანა კაპანაძემ, გოგონებში — თამრიკო ესებუამ, ბიჭებში — ვალენტინ ციგულოვმა. ყველა მათგანს და საერთოდ მონაწილეებს სახსოვრად დარჩათ „კოკა-კოლას“ საფირმო ნიშნით და სეოკ-ის ემბლემით დამშვენებული მაისურა. ეს მაისურა კი განსაკუთრებულია, რადგან იგი შესაბამისი აღნიშვნით საგანგებოდ დამზადდა სეოკ-ის ათი წლისთავის აღსანიშნავად.

ავთანდილ ბუკვიშელი

ავტორის ფოტოები

ჯონდო მარიდაშვილი არ ტყდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

99 LE TOUR DE FRANCE

შაბათს ველოსიპედისტთა უმთავრესი შეჯიბრი „ტურ დე ფრანსი“ დაიწყო. მრბოლებმა უკვე მოასწრეს პროლოგსა და ორ ეტაპზე ასპარეზობა. თუ ვინ გახდება გამარჯვებული, ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, თუმცა რამდენიმე ფავორიტს უკვე უმუხთლეს ბედმაც და კოლეგებმაც...

პირველი ხელი კაზინოსია



REUTERS შალანიდან

ესტონელი იან კირსიპუუ (შუაში) დღევანდელი ეტაპის სტარტზე ლიდერის ყვითელი მაისურათი დადგება

თავისი ქვეყნის ეროვნული დღესასწაულის დღეს, 4 ივლისს, ამერიკელმა ლანს არმსტრონგმა „ტურ დე ფრანსის“ პირველი ეტაპი ლიდერის ყვითელი მაისურათი დაიწყო. და ეს იმიტომ, რომ წინა დღეს გამართულ პროლოგში იგი ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა.

სამიოდ წლის წინ სათესლე ჯირკვლების კიბოსგან სასწაულებრივად განკურნებულმა ამერიკელმა საშუალოდ 50 კმ/სთ სიჩქარით იქროლა ვანდეის (გახსოვთ ვიქტორ ჰიუგოს „ოთხმოცდაცამეტი წელი“?) პატარა ქალაქის გარშემო და საკმაოდ ძნელ გზაზე პირველობა ირგუნა.

27 წლის ტეხასელი პირველად შეიმოსა „ტურის“ ყვითელი მაისურათი. მან, რომელიც 1993 წელს ველოსპორტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ამ ტურნირთან სამწლიანი განმარების შემდეგ დაამტკიცა, რომ საკმაოდ კარგ ფორმაშია და საბოლოო წარმატებისთვისაც იბრძოლებს. მით უმეტეს, რომ თავისი გუნდის „პოსტალის“ ლიდერია და თანაგუნდელებიც დიდად დაეხმარებიან. ეს არმსტრონგის მესამე გამარჯვებაა საფრანგეთის გზებზე 1993 და 1995 წლების შემდეგ.

პროლოგმა თითქმის ყველა მრბოლს მისთვის ადრევე გათვალისწინებული ადგილი მიუჩინა საერთო ჩათვლაში. ერთადერთი იმედგაცრუება, ალბათ, ჰოლანდიელი მიკაელ ბოოგერდის 146-ე ადგილი იყო. ივი გამარჯვებულს წუთზე მეტით ჩამორჩა. მთებში რბოლის მოყვარულები და მცოდნეები ძალიან ეცადნენ, ეტაპის გამარჯვებულს ბეერით არ ჩამორჩენოდნენ და ეს მეტ-ნაკლებად გამოუვიდათ კიდეც. ტურნირზე უკანასკნელ მომენტში დაშვებულმა რიშარ ვირანკმა (საფრანგეთი, პოლტი) 51 წამი წააგო, მისმა იტალიელმა თანაგუნდელმა და წლევანდელ „ჯიროზე“ მარკო პანტანის მოხსნის შემდეგ ჩემპიონად ქცეულმა ივან გოტიმ კი 47 წამი. შარშანდელი „მთის გრან პრის“ მოგებულმა და „ტურის“ ერთ-ერთმა ფავორიტმა კრისტოფ რიერმ (საფრანგეთი, კოფიდისი) დისტანციის დაფარვას არმსტრონგზე 58 წამით მეტი მოანდომა.

მშვენივრად გამოიყურებოდნენ შვეიცარიელი ლორან დიუფო და რუსი ალეკ ტონკოვიც. მართალია, ისინი ათეულში ვერ მოხვდნენ, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ და მხოლოდ პროლოგი იყო.

„ტურ დე ფრანსის“ პირველი ეტაპი ესტონელმა სპრინტერმა იან კირსიპუუ მოიგო. ეს მის კარიერაში ჯერჯერობით ყველაზე დიდი წარმატებაა. ბალტიისპირელმა, ვისაც ველოსიპედის ტარება ათი წლის ასაკში უსწავლია, ისეთ ძლიერ პეპლებს აჯობა ფინიშზე, როგორებიც ბელგიელი ტომ სტეელსი და გერმანელი ერიკ ზაბელი არიან. ესტონეთის ჩემპიონმა გამარჯვება შეიფერა და განაცხადა, ახლა, ეჭვიქრობ, სპრინტებში უძლიერესებთან მეტოქეობა ისევე შემიძლია, როგორც ტოლ-სწორსო.

„კაზინოს“ და მისი სპორტული დირექტორის ვენსან ლავენიუს ერთგულმა (1992 წელს პროფესიონალად გახდომისთანავე კირსიპუუ „კაზინოს“ ღირსებას იცავს) ამ ფრანგული გუნდის მონაგარი კიდევ უფრო გაამდიდრა. 36 მოგებული ეტაპით „კაზინო“ წლევანდელ „ტურში“ მონაწილე ყველა სხვა გუნდს სჯობს.

დღის გამორჩეული ფიგურა კი „ბიგ მატის“ ფრანგი ტიერი გუვენუ იყო. ნორმანდიელმა წვიმასა და ქარში 114 კილომეტრი იქროლა პელოტონს მოწყვეტილმა და ერთი ხანობა ექვსი წუთითაც შეძლო დანარჩენების ჩამოტოვება, მაგრამ შალანამდე 16 კილომეტრი რჩებოდა, კაპიტულაცია რომ გამოაცხადა.

მისი წამოწევისთანავე ბელგიის ჩემპიონმა ლუდო დირკქსენსმა (ლამპრე) გადაწყვიტა იერიშზე გადასვლა და ათიოდ კილომეტრი რბოლის სათავეშიც მოექცა, მაგრამ ძლიერი სპრინტერების თანაგუნდელები პელოტონს სათავეში ჩაუდგნენ, სიჩქარე გაზარდეს და მისი გარჯა წყალში ჩაყარეს. მერე კი სპრინტი იყო.

საერთო ჩათვლაში ლიდერობა ლანს არმსტრონგმა შეინარჩუნა.

მეორე ეტაპზეც სპრინტერებმა გამოიჩინეს თავი, ბევრ ფავორიტს კი ფაქტობრივად საბოლოო გამარჯვების ყველანაირი იმედი გადაეწურა. სენ ლაზერში ფინიშის ხაზი კვირას მეორე ადგილზე გასულმა ბელგიელმა ტომ სტეელსმა გადაკვეთა. პირველ ეტაპზე გამარჯვებული ესტონელი იან კირსიპუუ კი ამჯერად მეორე იყო. მესამე ადგილზე პეპელათაგან ერთ-ერთი უძლიერესი, მრავალი ასეთი ეტაპის მოგები იტალიელი მარიო ჩიპოლინი გავიდა.

საპრემიო წამების წყალობით ლიდერის ყვითელ მაისურას დღეს გასამართ ეტაპზე კირსიპუუ ჩაიცვამს.

პელოტონში პირველი არეულობა გზის 34-ე კილომეტრზე მოხდა, როცა რამდენიმე მრბოლი წაიქცა. ამის შედეგად სპორტსმენთა ხუთი ჯგუფი წარმოიქმნა, მაგრამ დაახლოებით 25 წუთის შემდეგ ყველანი გაერთიანდნენ და რბოლაც ერთად გააგრძელეს.

ასე ერთიანად პელოტონმა მხოლოდ ნახევარი საათი გაძლო, მერე კი კვლავ წაქცევები და კვლავ დანაწევრება. ცოტა ხანში ორი ჯგუფი შეიქმნა, პირველს „ონსელები“ წინამძღოლობდნენ, მეორეს — „ფრენსეზ დე ჟოს“ წევრები. მათ შორის სხვაობა თანდათანობით იზრდებოდა, სანამ ბოლოს ექვს წუთს არ გადააჭარბა. ჩამორჩენილებს შორის შვეიცარიელი ალექს ცულე (ბონესტო), ჰოლანდიელი მიკაელ ბოოგერდი (რაბობანკი) და იტალიელი ივან გოტიც (პოლტი) იყვნენ, იმედგადაწურულ ფავორიტებში სწორედ ისინი ვიგულისხმე.

ტურნირი კი უკვე ორმა მრბოლმა მიატოვა — ამერიკელმა ჯონათან ვაუგტერსმა (პორტალი), ვინც ლანს არმსტრონგისთვის მომუშავე ერთ-ერთი საუკეთესო „გრეგარია“ და ბელგიელმა მარკ ვაუტერსმა (რაბობანკი).

რაც შეეხება სტეელსის წარმატებებს „ტურზე“, შეგახსენებთ, რომ მან შარშან აქ ოთხ ეტაპზე იმარჯვა.

გაიოზ თალაძვაძე

REUTERS პიუ დიუ ფუდან

ლანს არმსტრონგი



პროლოგი

პიუ დიუ ფუ, 6,8 კმ

1 ლანს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) — 8 წთ 02 წმ
2 ალექს ცულე (შვეიცარია, ბანესტო) — +7 წმ
3 აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) — +11 წმ
4 კრისტოფ მორო (საფრანგეთი, ფესტინა) — +15 წმ
5 კრის ბორდმენი (დიდი ბრიტანეთი, კრედი აგრიკოლი) — +21 წმ
6 რიკ ვერბრიუგე (ბელგია, ლოტო) — +18 წმ
7 ალექსანდრე ვინოკუროვი (ყაზახეთი, კაზინო) — +21 წმ
8 სანტოს გონსალესი (ესპანეთი, ონსე) — +21 წმ
9 ლორან ბროშარი (საფრანგეთი, ფესტინა) — +21 წმ
10 ჟილ მენიანი (საფრანგეთი, კაზინო) — +23 წმ

პირველი ეტაპი

მონტეგი — შალანი, 209 კმ

1 იან კირსიპუუ (ესტონეთი, კაზინო) — 4 სთ 56 წთ 18 წმ
2 ტომ სტეელსი (ბელგია, მაპეი)
3 ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი)
4 სტიუარტ ო გრედი (ავსტრალია, კრედი აგრიკოლი)
5 სილვიო მარტინელო (იტალია, პოლტი)
6 ჯიმი კასპერი (საფრანგეთი, ფრანსეზ დე ჟო)
7 ნიკოლა მინალი (იტალია, კონტინა ტოლო)
8 ჯორჯ ჰინკეპი (აშშ, პოსტალი)
9 ფრანსუა სიმონი (საფრანგეთი, კრედი აგრიკოლი)
10 კრისტოფ მორო — ყველას იგივე დრო.

მეორე ეტაპი

შალანი — სენ ნაზერი, 176 კმ.

1 ტომ სტეელსი — 3 სთ 45 წთ 32 წმ
2 იან კირსიპუუ
3 მარიო ჩიპოლინი (იტალია, საეკო)
4 ერიკ ზაბელი
5 ჯიმი კასპერი
6 ჯორჯ ჰინკეპი
7 იან სვორადა (სლოვაკეთი, ლამპრე)
8 სილვიო მარტინელო
9 სტიუარტ ო გრედი
10 ფრანსუა სიმონი — ყველას იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 იან კირსიპუუ — 8 სთ 49 წთ 38 წმ
2 ლანს არმსტრონგი — +14 წმ
3 სტიუარტ ო გრედი — +22 წმ
4 აბრაამ ოლანო — +25 წმ
5 კრისტოფ მორო — +29 წმ
6 ტომ სტეელსი — +31 წმ
7 ჯორჯ ჰინკეპი — +32 წმ
8 ალექსანდრე ვინოკუროვი — +35 წმ
9 სანტოს გონსალესი — +35 წმ
10 ანდრეა პერონი (იტალია, ინსე) — +37 წმ

სად ვეძებოთ მომავალი ჩემპიონი

პროლოგისა და ორი ეტაპის შემდეგ, თან ისეთი ეტაპებისა, სადაც მთის ნასახიც არ არის, რაიმე პროგნოზისმაგვარიც კი ერთობ სარისკო საქმეა. და მაინც ზოგიერთი ველომრბოლის შედეგიდან გამომდინარე ერთი დასკვნის და შესაძლოა ტურის საკარაუდო მსვლელობის მონიშვნაც სავსებით რეალური საქმეა.

წლევანდელი ტური შარშანდელის და თუნდაც შარშანწინდელისგან განსხვავებით შედარებით რბილია. სიტყვა რბილი აქ უფრო იოლის მნიშვნელობით არის ნახმარი და უწინარეს ყოვლისა მთის ეტაპებს ეხება. და რადგან ოცდაერთიდან მხოლოდ სამი ეტაპის ფინიშია მთაში, ჩემპიონობის პრეტენდენტებმა მართალია ოდნავ, მაგრამ მაინც გადაანაცვლეს აქცენტები ინდივიდუალური რბოლის სასარგებლოდ. ეს რბოლები გაიმართება მერვე და მეოცე ეტაპებზე.

ტურის საკარაუდო მსვლელობაც ამ მომენტების გათვალისწინებით არის შესაძლებელი. გამარჯვების ერთ-ერთი სერიოზული პრეტენდენტის ვინაობა გაირკვევა მერვე ეტაპზე მეცხრე 50 კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლის შემდეგ. თითქოს ასპროცენტიანი ჩემპიონობა კი მეთორმეტე მთიანი ეტაპის დამთავრებისთანავე.

პროლოგში ამერიკელი არმსტრონგის გამარჯვება, ცხადია, ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, მაგრამ შვეიცარიელი დიუფოს, ესპანელი ოლანოს, ამერიკელი ჯულჩიხისა და რუსი ტონკოვის კარგი შედეგები უკვე რაღაცის მთქმელია. მომავალი ლიდერიც ალბათ მათ შორისაა საძებნელი.

ირაკლი ბერიაშვილი

ტურის ლეგენდები

1903 წელი

გამარჯვებული მორის გარენი

დასაწყისი

ივნისის ბოლო საღამოა. დღის სიცხით გათანგულმა პარიზმა მზის ჩასვლის შემდეგ ოდნავი შვება იგრძნო. თითქოს ცხოვრება ახლა იწყება. ხალხი ქუჩებში გამოეფინა სასეირნოდ და გრილი ჰაერის სასუნთქად.

„ფობურგ მონმარტრის“ ერთ-ერთ შენობაში კი უჩვეულო ხალხმრავლობაა. გაზეთ „ოტოს“ (ავტო) რედაქციაში კვლავ ცხელა და იქ შეკრებილებიც ოფლში იწურებიან, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევს.

ერთ მაგიდას ორნი მისხდომიან და ყვითელ სამკლაურებსა და წითელ ბალთებს არიგებენ. სულ სამოც-სამოცი ცალი აქვთ გასანაწილებელი, რადგან ისტორიაში პირველი „ტურ დე ფრანსის“ მონაწილეც სამოცია. „სპორტსმენთა“ (მაშინ ახალდამკვიდრებული ტერმინი იყო) პატარა ჯგუფი მაგიდას შემოხვევია. რედაქციის წინ კი „კოკოს“ გამყიდველები (ცხრაასიან წლებში ძირტკბილისგან დამზადებული ეს სასმელი ძალიან პოპულარული იყო), ქუჩის მომღერლები და მანდოლინის დამკვრელები ირევიან.

მეორე დილით ანუ 1903 წლის 1 ივლისს ველოსიპედისტები უდიდესი ველოტურნირის ხიფათით აღსავსე გზებს გაუდგებიან. მათ 19 დღის განმავლობაში 2500 კმ უნდა დაფარონ, ეტაპების რაოდენობა კი სულ ექვსია. შეჯიბრების, რომელიც კონკურენტ გაზეთ „ველოს“ ჯობნის მიზნით დაიბადა, ორგანიზატორებს ანრი დეგრანჟის მეთაურობით („ოტოს“ მთავარი რედაქტორი) სტარტამდე ეჭვი ეპარებოდათ თავიანთი პირმშოს სიცოცხლისუნარიანობაში.

სტარტი კი კაფე „რევეი მატენთან“ იყო დანიშნული. იქ თავმოყრილ მრბოლთაგან მაშინდელი საზოგადოება რამდენიმეს ძალიან კარგად იცნობდა: „მრისხანე“ იპოლიტ ოკუტიურიე, კეტჩისტის შესახედაობით და ფოლადის ფეხებით; „საკვამურის მწმენდავი“ მორის გარენი, ლანსში მცხოვრები იტალიელი ემიგრანტი, ვისაც ყველა დიდი კლასიკური რბოლა უკვე მოგებული ჰქონდა; უძნელესი შეჯიბრებების სპეციალისტი, გერმანელი ჩემპიონი იოზეფ ფიშერი. იგი გრასოლელ (პატარა სოფელი მონტობანთან) მჭედელ დაგრასის, ვისაც ველოსიპედის ტარება მხოლოდ ორი თვის ნასწავლი აქვს, ემასლაათება. აქვეა მრბოლი-ტურისტი დეკაჟი, რომლისთვისაც მთავარი გამარჯვება კი არა, ქვეყნის დათვალიერებაა...

გაგი გურული

შვედეთი

დიურგარდენი 0:1 იორებრო
ფრიოლუნდა 0:1 აიკ



REUTERS ტრავემუნდედან

კატარღოსნები

პირველი კლასის გიჟმაჟ და ბზუილა კატარღათა წყალრბოლა პირველად ჩატარდა გერმანიაში. გამარჯვება არაბებმა მოიპოვეს, დუბაის მკვიდრნი ხალფან ჰარიბი და მოჰამედ ალ-ღაითი ამგვარ კატარღათა მართვაში სწორუპოვარნი ყოფილან. მეორეზე საიდ ალ ტაიერისა და ფელიქს სერალესის წყვილი გასულა, მესამეზე — ალი ნასერისა და რენდი სკიზმისა.

ქორწილში არ დაგვპატიჟებენ?

ქვედა ფოტოზე „მანჩესტერ იუნაიტედის" გულშემატკივარი ლატრელსტაუნის ციხეკოშკის ჭიშკართან აყუდებულა და ჯანიან მცველთა თვალის ახვევას ცდილობს. ამ გოგონამ იცის, რომ მისი გულის ჯიგრის, დევიდ ბექემისა და სპაისგოგო ვიქტორია ადამსის ქორწილი სწორედ ამ ალაყაფს იქეთაა. ლატრელსტაუნი ირლანდიის დედაქალაქ დუბლინის ახლოა აშენებული, მაგრამ, როცა კოტე ჯვარს იწერსო, მანძილი ვის შეაშინებს?

ამ ბიჭის პრობლემის დარი არ შეხვედრიათ მისტერ დევიდ სიმენსა და მის ცოლ დების (ზედა ფოტოზე), რომელნიც დუბლინში ჩაფრინდნენ და მოსანწვევებით ხელდამშვენებულებმა აუარეს გვერდი მცველებს. ქორწილში კი, როგორც ამბობენ, მოლხენა დიდი ყოფილა...

REUTERS დუბლინიდან

აი, ქვითარი

მალაიზიის ქალაქ კუალა ლუმპურში ბადმინტონის ღია პირველობა დასრულდა. ეს შეჯიბრი მსუბუქი ჩოგნის მოყვარულთათვის თითქმის იგივეა, რაც მძიმე ჩოგნის ტრფიალთათვის უიმბლდონი. ფინალში ჩინელები გავიდნენ: დაი იუნი(მარცხნივ) და გონგ რუინა. იქაური წესით, გადამწყვეტი თამაშის წინ ფულადი პრიზის პრეზენტაცია შედგა. ეს გახლავთ ქვითარი, რომელშიაც საპრიზო თანხაა ჩაწერილი. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ქვითარი დაი იუნმა წაიღო სახლში რახანღა 11:6 და 11:3 მოუგო გონგს.

REUTERS კუალა ლუმპურიდან

კასპაროვი — მსოფლიო

მე-7 სვლაზე კასპაროვის მეფემ უკვე მოძებნა მყუდრო თავშესაფარი.

შავი მეფე კი ჯერაც ცენტრშია. შავების ბოლო სვლას მსოფლიოს ნაკრების წევრთა 65,46%-მა დაუჭირა მხარი, რაც შავების ბანაკის ერთსულოვნებაზე მეტყველებს.

1	e2-e4	c7-c5
2	მg1-f3	d7-d6
3	კf1-b5+	კc8-d7
4	კb5:d7+	ლd8:d7
5	c2-c4	მb8-c6
6	მb1-c3	მg8-f6
7	O–O	g7-g6 .



მაგიდაზე ჩვენც მაგრები ვართ

არგენტინის ნაკრების მეკარე გერმან ბურგოსი ძალიან კარგ ხასიათზე იყო კოლუმბიელებთან მატჩის წინ და მაგიდის ფეხბურთსაც სიამოვნებით თამაშობდა. რა თქმა უნდა, გერმანმა არ იცოდა, რომ მეორე დღეს სამ გოლს გაუშვებდა და თავისი გუნდის „კოპა ამერიკას" მეორე ეტაპზე გასვლას სათუოს გახდიდა. თუმცა, რა მოეთხოვება მეკარეს, როცა არგენტინელთა გრძელფეხება ლიდერმა მარტინ პალერმომ იმ თამაშში სამი პენალტი გააფუჭა.

REUTERS ასუნსიონიდან

როგორც ძველად

მიუნხენის ახლოს, კალტენბერგში ისტორიული თამაშობანი მიმდინარეობს. ამიტომაც მორთულან მოთამაშენი რაინდულად და ერთმანეთს ძველი დროის სახელოვან ჩუბინთა დარად ეჯიბრებიან. ჩვენთვის უცნობია, ვინ მოიპოვა ოქროს მედლები, ის კი შევიტყვეთ, რომ ლაღობა და ლუდის სმა ამ შეჯიბრს გვარიანი მოჰყვა.

REUTERS კალტენბერგიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი,
IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29